



825
1991



ກະຊາວຄ

ກະຊາວຄ 1991 24

24

N° 24

PARIS

1991

FEVRIER

შესავალი ლირიკული პოემიდან „უ დ ე ლ ო“



სამშობლოს ვახტანგის, დავითის, თამარის,
რაც მტერმა უდმერთოდ ცრემლები აღინა,
ზღვად გადასწვდებოდა ბახტრიდან არანისა,
ნიკოფისით დარუბანდს აგრეთვე აღვილად...

მაგრამ ჭირს ყოველგვარს როგორლაც გავუძელთ,
ხოლო, რაც რუსეთმა იმ დღიდან გვარგუნა,
სისხლის ტბად ევლება ივერთა ნაფუძრებს,
და მიდის ლიახვად, ქსნად და არღუნად.

ვერ მოთვლის პოეტი, ვერც მეისტორიე
ამბავთა მზარავთა სისრულეს ნუსხებით,
ნუ ფიქრობთ დაკრათ არწივებს კლანჭები
და სისხლით წმინდანის, ყორნებო, ნუ ძღებით!..

თორემ თვით ღვთისმშობელს, ვისიც წილხვედრია
ეს მიწა შემკული ამღენი ღირსებით,
მსაჯულად ურჩხულის ჰყავს წმინდა მხედარი
და თქვენც სანაცვალო ხვედრით აღივსებით!

მიხეილ დანიშავიშვილი

1990 წელი ქრისტეშობის 29

თბილისი

(140)





ეროვნული გლობის 70 წლისთვის

ეს სტრიქონები, ჩვენო მკითხველო, თებერვლის სუსტიან დღეს იწერება და სწორედ სამოცდათი წელი შესრულდა საბჭოთა რუსეთის ჯარის მიერ ჩვენი სამშობლოს დაპყრობა-ოკუპაცია-ანექსიიდან. ჩვენ აქ დაწვრილებით არ შეუდგებით იმ ომის აღწერას, ვიტყვით მხოლოდ, რომ მტერი სრულიად უმიზეზოდ შემოესია ჩვენს ქვეყანას და არც ქართველი ხალხის არავთარ აჯანყებას არ ჰქონებია ადგილი, როგორც ამას უსირცხვოდ ცრუობდა საბჭოთა პროპაგანდა და თვით ისტორიოგრაფიაც კი. არა! 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი წმინდა წყლის იმპერიალისტური, დიდი ისაგან პატარის, ძლიერისაგან სუსტი ქვეყნის დაპყრობა გახდათ, რომელიც გახვეული იყო სოციალისტური რევოლუციის ბრძევიალა ფრაზეოლოგიაში. ის ფაქტი, რომ შემოსეულთა შორის თთო-ოროლა ქართველიც ერია და რომ მათ თანშემოყოლილი ეგრედ წოდებული „საქართველოს რევოლუციური კომიტეტი“ იდეოლოგიისა და ხელისუფლების წყურვილისაგან გზააბნეულ ქართველებისგან შედგებოდა, — ეს ომის ხასიათს არ ცვლის. სხვა რომელი ომი იცის ადამიანობამ, რომლის დროსაც ადგილი არ ჰქონებოდეს ღალატს?

ჩვენც იმათ აზრს ვიზიარებთ, ვინც ამბობს, რომ 1921 წლის ხუთკვირიანი ომის დროს ქართულმა ლაშქარმა სრულყოფილად ვერ გამოამუდავნა ისტორიულად ცნობილი მისი გმირული სული და შემართება, მაგრამ ეს მდგომარეობა, ვფიქრობთ, ყველაზე უკედ ახსნა დამკომის და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმების წევრმა აწ განსვენებულმა იასონ ჯავახიშვილმა:

„დამპყრობელ რუსეთის წინააღმდეგ, როგორც ერთი კაცი, ადგა საქართველო, ქართველმა ერმა საკადრისი პასუ-



ხი გასცა შემოსეულ მტერს ... ჩვენს მატიანეში პატიონის და ფურცლებითაა შეტანილი ტაბახმელას, კოჯორის, გომის, მუხადირის, გაგრის, სოხუმის, ათონის, საჯავახოს ბრძოლები და, თუ მტერმა გვძლია — არა იმიტომ, რომ ერს არ უნდოდა ბრძოლა, როგორც ამას ბრძანებს საზოგადოებრივი ბრალმდებელი, მთავრობამ ვერ გამოიჩინა შორსმჭვრეტელობა, არ მიიღო დროზე თადარიგი, ვერ გამოიყენა ერის ძალები. დამარცხდა მთავრობა და არა ერი“. (სიტყვიდან უზენას სასამართლოში, 31 ივნისს 1925 წ.)

ეს შეხედულება დასტურდება ამ ომში მონაწილე თვალსაჩინო უმაღლესი ოფიციალური და არასოციალისტი პოლიტიკური ლიდერების მოგონებებით. პირველ ჩიგში კი — მთავარ სარდალ ლენერალ გიორგი კვინიტაძის მოგონებებით.

ხელისუფალთა მოუმზადებლობის და სიდამბლის ასახსნელად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ 117 წლის განმავლობაში საქართველო რუსეთის უბრალო პროვინცია იყო, მას დავიწყებული ჰქონდა სახელმწიფოებრივი ტრადიციები, აღარ გააჩნდა სახელმწიფო სტრუქტურა და, მაში, არც სახელმწიფო კადრები. რაც შეეხება მხედრობას, ღენ. გ. კვინიტაძის არ იყოს, საქართველოს იმ დროს ჰქონდა საჭიროზე მეტი მხედართმთავარი, ლენერალი თუ პოლკოვნიკი და მათ პატრიოტიზმში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მხოლოდ შეიძლება ითქვას, რომ მათ სამხედრო განათლება და საომარი წართმა რუსეთში ჰქონდათ მიღებული, მათ გამჯდარი ჰქონდათ მიღიონიანი არმიების მანევრირება, რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე და „ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ ისინი უძლურნი აღმოჩნდენ პატარა საქართველოს დაცვაში.“

სამაგიეროდ, ქართველმა ხალხმა ბრწყინვალედ დაიჭირა პატრიოტიზმის გამოცდა. ის არ შეუჩიგდა არც გარეშე და არც შინაურ მოძალადეს და წლობით გააგრძელა გმირული წინააღმდეგობა. 1921 წლის ბრძოლის ველზე დამარცხებიდან 1924 წლის აგვისტოს საყოველთაო აჯანყების დამარცხებამდე, სისხლში ჩახრჩობამდე, შეუპოვარი, შეი-



ძლება ითქვას, თავზე ხელაღებული

განმაფნეობული კანონის

ბელი ბრძოლები აწარმოვა.

საქმარისისა ზოგიერთი ეტაპის

აღნიშვნაც კი, რომ ქართველი კაცის გული სიამაყით აჩქროლდეს:

— 1921 წლის 16 მარტს, დამარცხებული ქართული ლაშქარი უკანასკნელ გმირულ ომს გადაიხდის, ამჯერად მოღალატურად თავდამსხმელ თურქეთის ჯარების წინააღმდეგ, მათ დაამარცხებს, უკუაგდებს და საქართველოს, თუნდაც „გასაბჭოებულს“, ქ. ბათუმსა და აჭარას შეუნარჩუნებს. ბრძოლის ველზე დამარცხებული დემოკრატიული საქართველოს მთავრობა ფარხმალს არ ყრის, მტერს არ ნებდება, 17 მარტს ბათუმს სტოვებს, ევროპაში მიემგზავრება, რათა იქედან გააგრძელოს უფლებრივი ბრძოლა საერთაშორისო არენაზე.

— იმავე წელში თბილისა და სხვა დიდ ქალაქებში ფართოდ იშლება საპროტესტო გაფიცვები, მიტინგები, მანიფესტაციები.

— იმავე წელს ადგილი აქცის მთელი სევანეთის აჯანყებას, რომლის წინააღმდეგაც უძლური აღმოჩნდება საოკუპაციო ხელისუფლება და დროებით თავს მიანებებს.

— 1922 წელს კუთხური პარტიზანული ბრძოლები კახეთში, ქართლში, გურიაში, სამეგრელოში, ზემო-იმერეთში. ქართული წითელი არმიის ქართველ მეთაურთა შეთქმულება რუსების საოკუპაციო ჯარის გასათარიღებლად ანდა გასანადგურებლად, ქაშეული ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმისა და ქართლისა და ფშავების აჯანყებულთა შეხამებული მოქმედებით. შეთქმულება ჩაიმარა, შეფიცულთა რაზმა და ფშავების მამაკა წინააღმდეგობა გაუწიეს რეგულიარულ დამსჯელ ჯარს. შეთქმული მხედრები ჩეკამ დააპატიმრა და 1923 წლის 25 მაისს დახვრიტა თხუთმეტი დიდებული მამულიშვილი, გენერლები და პოლკოვნიკები. ის მათი ძგირფასი სახელები და მათი დახასიათება სისხლიანი „ჩეკის“ მიერ: მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი: 1. ანდრონიკაშვილს ალექსანდრეს სიმონის ძეს, 51 წ. ყოფილი თავადი, ყოფილი გენერალი, საბჭ. საქ. სკოლის მასწავლებელი. ამ თანამდებობაზე იყო როდესაც შევიდა სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში და მონაწილეობს საქ. საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადებაში და ბანდიტურ მოძრაობაში. 2. წუ-

ლუკიძე ვარდენ გრიგოლის ძე, 57 წ. ყოფ. თავადი, ყოფ. გენერალი, ლი, იყო საქ. წითელი არმიის მოსახლეობის ჯარის უფროსი და აქა ვე დროს ფაქტურად ხელმძღვანელობდა სამხედრო ცენტრის მუშაობას, სამხედრო ცენტრის დასტურით, მუსხელიშვილთან ერთად შეიმუშავა და ინტერპარტიული აპარატით დაგზავნა ადგილობრივ ხალხის და იარაღის მობილიზაციის გეგმა; 3. აბხაზე კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს, 55 წ. უმაღლესი სამხედრო განათლების, ყოფ. თავადი, ყოფ. გენერალი, ყოფ. მარშალი, საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, შევიდა სამხ. ცენტრში და მონაწილეობდა საქ. საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადების ხელმძღვანელობაში, ნაციონალ - დემოკრატიულ პარტიის ცეკაში, საერთო აჯანყების საკითხის დროს. მან ხმა მისცა დაუყოვნებელ შეიარაღებულ აჯანყებას. 4. ხიმშიაშვილს გიორგი ნიკოლოზის ძეს, 31 წ. ყოფ. პოლკოვნიკი, საბჭ. საქ. ბრიგადის სამოსწავლო ბატალიონის უფროსი, იგი იყო წითელ არმიაში, როდესაც მიიღო მენშევიკების წინადაღება, იყოს წარმომადგენელი მათი პარტიის სამხედრო ცენტრში, ის მონაწილეობას იღებდა საბჭ. საქ. რეპარატურული ბანდიტურ მოძრაობის ხელმძღვანელობაში; 5. მუსხელიშვილს როსტომ ილიას ძეს, 35 წ., გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, საქ. საბჭოთა დივიზიის შტაბის უფროსი, იგი იყო ამ თანამდებობაზე, როდესაც შევიდა სამხ. ცენტრში და მუშაობდა მენშევიკებისა და ნაც. დემოკრატების კარნახით, აწვდიდა მათ საიდუმლო სამხედრო ცნობებს და დუშეთის აჯანყების დროს საექსედიციო ჯარის შტაბის უფროსის თანამდებობაზე მყოფი კავშირში იყო ბანდიტთან და ხელმძღვანელობდა მათ; 6. ზანდუკელს ზიხეილ ნიკოლოზის ძეს, 39 წ., ლუშეთის სამხ. კომისარიატის სამნეო ნაწილის გამგე, მენშევიკური პარტიის დუშეთის კომიტეტის წევრი, 1922 წ. შეაღინა ორი ბანდა დუშეთის მაზრაში, ჰერონდა კავშირი მუსხელიშვილთან, რომელიც იმ დროს იყო საექსედიციო რაზმის უფროსი;

7. ბაგრატიონ-მუხრანსკის სიმონ ლევანის ძეს, 27 წ., ყოფ. ოფიცერი, ყოფ. თავადი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას წინადაღებით მუშაობდა გარეკახეთის რაიონში აჯანყების მოსახლებლად, ხელმძღვანელობდა მენშევიკების მიერ შედგენილ ლაშქარა-შვილის რაზმს გორის მაზრაში. 8. ყარალაშვილს ფარნაოზ რევაზის ძეს, 24 წ., ყოფ. ოფიცერი, საქ. წითელი არმ. I პოლკის

უფროსის თანაშემწე; 1922 წ. სექტემბერში ის იყო ძეგლის ზღვა
 ზე მყოფ ტკვიის მფლრქვევალთა რაზმის უფროსად და აჩავე ღროს
 დაიკავა კავშირი ლაშქარიშვილის ბანდასთან და დასთანხმდა მა-
 სთან შეერთებაზედ. 9. კერძელიძეს იასონ მათეს ძეს, 32 წ.,
 ეროვ.-დემოკ. პარტიის წევრი, რომლის წინადაღებით კავშირი
 ჰქონდა ჩოლოყაშვილთან; 10. ქუთათელაძე ივ. გრიგ., 40 წ., ერ-
 ოვ.-დემოკ. პარტიის სამხედრო ორგანიზაციის მონაწილე, ერ.-
 დემოკ. ცეკას წინადაღებით ადგენდა ოფიცირების კონტრლევოლუ-
 ციონურ ჯგუფებს. 11. ჭიაბრიშვილს სიმონ ეგორ. 42 წ., ვაჭარი,
 ერ.-დემოკ. პარტიის წევრი. იღებდა აქტიურ მონაწილეობას ბან-
 დებში ლუშეთის მაზრაში 1922 წ. 12. მაჭავარიანს ალექ. მიხ.
 51 წ., ყოფ. პოლკოვნიკი, ქართული დივიზიის I პოლკის უფროსი,
 ერ.-დემოკ. სამხედრო ორგანიზაციაში უახლოეს მონაწილეობას
 იღებდა ჩოლოყაშვილის აჯანყების დროს, მსახურობდა წითელ არ-
 მიაში და ამ დროს გადასცა ერ.-დემოკ. პარტიის ც. კომიტეტის
 განკარგულებანი საექსპედიციო რაზმის უფროს როსტომ მუსხელი-
 შვილს. 13. გულისაშვილს ელიზბარ ზაქარიას ძეს, 32 წ., ყოფ.
 პოლკოვნიკი, ერ.-დემოკ. პარტიის სამხ. ორგანიზაციის უახლოესი
 მონაწილე, საქ. წით. არმიაში პასუხისმგებელი აღგილი ეჭირა და
 ამავე დროს მიქონდა ცნობები ჩოლოყაშვილთან. 14. ძლიმიაშვილს
 ლევან ირაკლის ძეს, 26 წ., წით. არმიის ოფიცერი, ერ.-დემოკ.
 პარტ. ცენტ. კომ. დავალებით აგრძელებდა და გზავნიდა ჩოლოყაშ-
 ვილთან ოფიცირებს. 15. ჩრდილელს დიმიტრი ნიკოლ., 29 წ., ყო-
 ფილი პოლკოვნიკი, საქ. წით. არმიის საარტილერიო დივიზიონის
 უფროსი, ეროვ.-დემოკ. სამხედრო ორგანიზაციის უახლოესი და
 მომქმედი წევრი. ოფიცირების ჯგუფის დავალებით სამხ. ცენტრს
 უკავებდა მოხსენებებს, რომ მზადაა მის განკარგულებაში მყოფი
 ბატარეა გადასცეს ჩოლოყაშვილს.

— და ბოლოს, ამ ბრწყინვალე, ჭეშმარიტად სახალხო, ბრძოლებს
 აგვირგვინებს 1924 წლის აგვისტოს სრულიად საქართველოს აჯან-
 ყება, რომელსაც ინტერპარტიული დამოუკიდებლობის კომიტეტი ხე-
 ლმდღვანელობდა. გამცემლობის და მის შედეგად საოკუპაციო საბ-
 ჭოთა ხელისუფლების მიერ წინასწარ მიღებული სამხედრო ლონის-
 ძიებათა გამო ეს ეროვნული გამანთავისუფლებელი გამოსვლაც



სისხლის მდინარებში იქმნა ჩახრჩობილი.

ეროვნული
უცნობისა

აგვისტოს აჯანყების დამარცხება ერთგვარი შეკლვამყოფი ქედია ორი განსხვავებული ყოფის, ეროვნულისაც და პიროვნულისაც, რომებიც მჭიდროდ არიან ყოველთვის ურთიერთზედ გადაჯაჭვულია. ოთხი წლის განუწყვეტელი ბრძოლებისა და უსაშველო რეპრესიებისაგან ქართლისიანთა ნაშიერი მისი საუკეთესო შვილების სისხლისგან იცლებოდა. გარედან დახმარება? – იკითხავენ ვიუთნი. „არსა იდან ხმა, არსით ძახილი!“ სამართლიანად ბრძანებს აწესვენებული აღექსანდრე ასათიანი: „1924 წლის აჯანყების დროს, ძალთა საბჭორი მის (საბჭოთა რეჟიმის. გ. წ.) მხარეზედ იყო გადახრილი. სტალინის ტირანია სწრაფად მკვიდრდებოდა საბჭოებში და მისი დამრღვევი მუშაობა გზას იკვლევდა მთელი მსოფლიოს სივრცეზედ. ხოლო ეს დემოკრატიული მსოფლიო უდარდელად შესცემროდა ბოლშევიზმის უმაგალითო ზრდას და პატარა რევოლუციონური ბანდის მსოფლიო საშიშროებად გადაქცევას. ზოგნი კიდევ მას ფარულად ეხმარებოდენ და ზოგნი – ახდილადაც. საქართველოში თანდათან შენელდა და ბოლოს მთლად შეწყდა შეიარაღებული ბრძოლა. ერმა იგრძნო ინსტიქტურად და ასევე სხვა ერებმაც, რომ ამიერიდან ამ მსოფლიო საშიშროების დამარცხება მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით წარმოებული ბრძოლითაა შესაძლებელი“. (იხ. „ივერია“ №-ის დამატება)

აღნიშნული ოთხი წლის პერიოდი უდავოდ ერთ-ერთი უშესანიშნავესია, თავისი ამაღლებული სახალხო პატრიოტიზმითა და უშურეველი თვითმიდღვნილობით, როცა მას საფუძვლიანად შეისწავლის და დააფასებს ჩვენი ეროვნული ისტორიოგრაფია, დარწმუნებული ვართ, რომ ბრწყინვალე ფურცლებად შევა იგი „ქართლის ცხოვრების“ მატიანეში.

რა თქმა უნდა, თავისუფლების ცეცხლი შემდეგაც მუდამ დაოდა და ქართველი კაცის გულში, ისე როგორც ბუხარში დანაკვერცხლებულ მუხის კუნძში, მაგრამ ჩვენი ხალხი თითქოს თანდაყოლილი ინსტიქტით მიხედა, რომ ძლიერი და დაუნდობელი მტრის მიმართ საჭიროა ტაქტიკის შეცვლა, აშკარა დაპირისპირების მაგივრად, ერთს ფიზიკურად გადარჩენისათვის, დროებით საჭიროა წაწოლა, წითელი რუსული დათვისათვის დაწრუბუნება, „ბაბაიას“ დაძახება. ჩვენი ახალგაზრდობა სამშობლოში იზრდებოდა „დიდი ოქტომბრის



სოციალისტური რევოლუციისა“ და „დიდი სამამულო ომისათვის“ იყის ატმისფეროში. ამ შავგნელ დროში ჩვენი ეროვნული დროშა ჩვენმა ეროვნულმა ემიგრაციამ ზიდა უცხოეთის მიწებზე. თუმცა სქელი რკინის ფარდა გვაშორებდა„ მაგრამ ხანგამოშვებით მაინც ისმოდა იქ ჩვენი გამამხნევებელი ყაუინა. იმ ხნის განმავლობაში, იმედის მომცემ ამბებთან ერთად, იყვენ ღრმა შავი ფიქრების და სასოწარკვეთის აღმძგრელი მომენტებიც. „ვა თუ ...“ ვაზბობდით ჩვენ და შიშით ვერ ვამთავრებდით შეშფოთებულ აზრთა დინებას. რამდენი ჩვენი თანამემამულე ამ ფიქრებით დამძიმებული წავიდა ამა სოფლიდან. ჩვენ, ვინც ამ უკანასკნელი წლების თავისუფლების მსოფლიო ქარიშხალს შევესწარით, ბედნიერი ვართ იმით მაინც, რომ ჩვენს აზრს ვეღარ დაღრღნის უმედობის ჰია, რომ ვერავითარი ფარდა, ვერარა დილეგი და საკანი ვერ დააკავებს თავისუფლებას და რომ საბოლოოდ: „კეთილმან სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია“ უნდა გამართლდეს.

დიახ, ეს ასეა. კაცობრიობას გეზი აქვთ აქვს აღებული. ქართულ ჩანარებულ გვირაბშიც მოჩანს სინათლე, მალე გვირაბის და სასრულის მაუწყებელი, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით თუ როდის გავეხვევით თავისუფლების ჩახჩახა მზის სხივებში, რადგანაც ჯერ კიდევ მძიმედ არის ჩახერგილი იქნით მიმავალი გზა.

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ გასული წლის ოქტო ჩვენმა ხალხმა აირჩია მისი უმრავლესობის ნება-სურვილის გამომხატველი ე.წ. „გარდამავალი ხანის“ ხელისუფლება. თვით სახელწოდებიდანაც ცხადია, რომ ქართველმა ხალხმა, გარევიულ დროში, მათ დაავალა, მათ მანდატი მისცა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს განხორციელებისა და მის შემდეგ დამოუკიდებელი ეროვნული საკრებულოს არჩევნების მოწყობისა. საქართველოს ამ გარდამავალ ხელისუფლებას ჰყავს მჭებარე ოპოზიცია ეროვნული კონგრესის სახით, მაგრამ არც ეს და არც ახლად შექმნილი საქ. კომუნისტური პარტია არ არიან დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი. ქართველი პოლიტიკური პროტაგონისტები მხოლოდ ერთმანეთს ეცილებიან, თუ რომელი გზა უკეთესად მიგვიყვანს ეროვნული განთავისუფლების ტაძარში. საქმეში ჩაუხედავმა შორს მყოფმა გულუბრყვილობმ შეიძლება იკითხოს: თუ კი ეს მართალია, მაშ, რაღა აბ-

რკოლებს ამ დამოუკიდებლობასთ. ის, რაც მუდამ აბრუოლებზე არ
70 წლის განმავლობაში – ასი ათასზე მეტი, უკანასკნელი საოცაო
ტექნიკით შეიარაღებული და უიარალო მოსახლეობის ხოცვა-ულეტა-
ში გაწაფული მოსკოვის საოკუპაციო ჯარი, ხოლო თუ საჭიროებამ
მოითხოვა, მილიონობით არმიები. მარქაფში ყავს მას. მუდამ ყველა
ფერი აკლდა საბჭოთა ქვეყანას, მაგრამ არასოდეს – ხალხთა თავი-
სულების დამთრგუნველი ჯარი და პოლიცია. სანამ ეს მრისხანე
საშიშროება დამოკლეს ხმალივით ჰკილია ქართველი ერის სახუ-
მალზე, მანამ „ერის სუვერენობა“ მუდამ რჩება თავის მოსატუ-
ბელ ფიქციად, მან არ შეიძლება, რეალური მნიშვნელობა შეიძინოს.
ამიტომ საქართველოს ნებისმიერმა მთავრობამ, ქართველი ხალხის
პოლიტიკურმა პარტიებმა და თუნდაც არაპოლიტიკურმა საზოგადო-
ებებმა თუ წარმოება დაწესებულებებმა ენერგიულად უნდა დაგმონ
ეს გაუთავებელი ოკუპაცია და საერთაშორისო ორგანიზაციების წი-
ნაშე აღძრან საჩივრები, რათა მოსკოვის მთავრობამ ჩვენი ქვე-
ყნიდან გაიყვანოს მისი ჯარები.

რაც კი ჩვენ, სამშობლოდან უცხოეთში გადმოხვეწილებს შეგვა-
ხება, როგორც წარსულში, ახლაც არ დავაკლებთ ცდას, რომ მსო-
ფლიონ საზოგადოებრიობასა და მთავრობებს მოვაგონოთ ჩვენი უმი-
ზეზოდ დაპყრობილი და წამებული ერის ბედი, მოვთხოვთ, რომ
თანაგრძნობით მოეციდონ და მხარი დაუჭირონ ქართველი ხალხის
სამართლიან მოთხოვნილებებს.

ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ, ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში,
პრეზიდენტი გორბაჩივი (უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ჯერჯერობით
თვითმარტვია პრეზიდენტია, რადგანაც მისი არჩევა მოკლებულია
დემოკრატიის კლემენტარულ პრინციპებს) და მისი მთავრობა მოი-
მიზეზებს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების
პრობლემებს. ჩვენ შეგვიძლია, რომ ეს ბარონი „პუმანისტები“ და-
ვამშვიდოთ: თქვენ ნუ იწუხებთ თავს ამაზე საბჭოთა ჯარების
შემოსევამდე ქართველ ხალხს არ ჰქონია კონფლიქტები საქართვე-
ლოში მცხოვრებ სხვა ხალხების წარმომადგენლებთან, საქართველოს
მთავრობა მშვენიერად ახერხებდა სამოქალაქო მშვიდობისა და წე-
სარიგის დამყარებას და ფიქრი ნუ გაქვთ, როცა თქვენი ჯარი და დამნგ-
რევი სიღმულო ორგანოები დასტოვებენ საქართველოს მიწა-წყალს,
ქართველი ხალხი და მისი არჩეული მთავრობა ისევ ადვილად შე-

ხე ძლებს მშვიდობისა და წესრიგის დამყარებას. გახსოვდოთ რომ ქართველ ერს 2500 წლის ისტორია აქვს, რასაც ვერ დაიქადეს რუსი ერი. რაც შეეხებათ საქართველოში მცხოვრებ რუსებს, არც ნამათი ბედი შეიძლება, იყოს შემაშფოთებელი. რასაკვირველია, რომ რუსებს პრივილეგიური პირობები არ ექნებათ, მაგრამ რუსები, რომლებიც დამოუკიდებელ საქართველოში გადაწყვეტინ დარჩენას, არავითარი განსაკუთრებული შიში არ შეიძლება ჰქონდეთ. ქართველი ხალხი საკუთარი ეროვნული უფლებებისათვის ებრძვის რუსეთის მთავრობას, რა ღერისა და იდეოლოგიისაც არ იყოს ის, მაგრამ მას არავთარი მტრობა და მძულვარება არა აქვს თვით რუსების მიმართ. ამის თავდებია, თუ გნებავთ, დამოუკიდებლობის პერიოდი (1918-21 წ.), რომლის დროსაც არც ერთ ეროვნული ხასიათობის ინცინდენტს არ ჰქონებია ადგილი, პირიქით, რუსეთში მძვინვარე სამოქალაქო ხოცვა-ულერიას გამოქცეული რუსები თავს აფარებდენ ჩვენს ქვეყანაში.

სანამ კალამს დაგასვენებდეთ, გვინდა, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ იმ საერთაშორისო კრიზისს, რომელიც ამჟამად მთელი კაცობრიობის გულისყურს იპყრობს. ეს გახლავთ ერაყის ჯარების მიერ გასულ წელს პატარა ქუვეითის სახელმწიფოს დაპყრობა და ანგქისია, რომელიც დაგმო გაერომ და მოსთხოვა ერაყის მისი ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა როცა ერაყის დიქტატორი სადაც ჰუსეინი სიტყვით ვერ დაითანხმეს, ჯერ ემბარგო დაუწესეს და მერე ულტიმატუმი წაუყენეს, რომ თუ ამ 15 იანვრამდე ნებით არ დასტოვებდა ქუვეითს, ძალით დაატოვებინებდენ. მაგრამ არც ამ მუქარამ გასცრა და მაშინ გაეროს კოალიციამ ამერიკის შ. შტათობრივი სამიარი მპერაციები გააჩაღა, საერთაშორისო სამართლიანობის დასაცავად. ჯერხანად ბრძოლა გრძელდება, მაგრამ ჯიუტი დიქტატორის სასტრიკი დამარტება გარდუვალია.

ეს საერთაშორისო აქტი ორმაგად საინტერესოა ყველა სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მყოფ ერებისათვის და კერძოდ ქართველებისთვის. თავდაპირველად, საერთაშორისო მშვიდობის ორგანომ ერაყის მით შექმნა პრეცენდენტი და იძულებული იქნება, რომ იყი გაავრცელოს ყველა ანექსირებულ ქვეყნებზე. მეორე და მეტად საინტერესო, ესაა ის, რომ პატარა ქუვეითის დამოუკიდებ-



ლობის შელახვის დამგმობთა შორის საბჭოთა კავშირის მთხვევის
ბაც აღმოჩნდა. თუმცა მას დამპყრობელი ერაყის წინააღმდეგ ითვა-
ლი არ აღუმართავს, მაგრამ ასეთ საერთაშორისო არენაზე სიტ-
ყვასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გაეროში საბჭოთა დიპლო-
მატია აიძულეს, რომ ერთა საყოველთაოდ აღიარებული უფლება-
ბის დამცველად გამოსულიყო, ჩვენც, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ
ანექსირებულმა რესპუბლიკებმა ერთობლივი სოლიდარული მოქმე-
დებით, უნდა ვაიძულოთ ბ-ნი გორბაჩივი, რომ სახელმწიფოს შიგ-
ნითაც იგივე პრინციპებით იხელმძღვანელოს, როგორც საერთაშო-
რისო ურთიერთობაში, ესე იგი უფლებით და არა ძალით.

რედ.

*** *** ***

ათი წლისთავზე

ქართველი ერი

სრულდება ათი წელი ქართველი ერის ტყვეობის, საქართველოს
დამპყრობის და დამონების; წელი მეტად მწარე, მეტად სისხლია-
ნი, ტანჯგით და ცრემლით საესენი.

ქართველ ერს უნახავს უცხო ურდოთა შემოსევა, განუცდია უც-
ხო ძალთა ჩატარება და ძალმომრეობა, მაგრამ მას არასოდეს არ უნ-
ახავს, არასოდეს არ განუცდია ის ტანჯვა-ეაბა, ის სასტიკი უბ-
ედობა, რაიცა მას თავს დაატყდა ამ უკანასკნელ ათ წელიწადს.
წინეთ დამპყრობელთა ნიაღვარი გადაივლიდა, ქვეყანა ისევ გამო-
ილვიძებდა, მისი მზე ამოანათებდა და თავისუფლების ყვავილები
გაიშლებოდა. დღეს დამპყრობელთა ნიაღვარი მუდმივად დაგუბდა
ჩვენს ქვეყანაში, ის ყოველ ცისმარა დღეს ანადგურებს ერის სი-
მდიდრეს, მის ნივთიერ და სულიერ საუნჯეს; ის ყოველ დღე, ყო-
ველ საათში ცელავს საუკეთესო შეიღებს, ერს კვეთს საუკეთესო
თავებს, აძვეებს სამშობლოდან ხალხის მესვეურებს.

მტერი დაბანაკდა ჩვენს საკუთარ მიწა-წყლზე და შეიარაღ-
ბული ეწევა მუდმივ, შეუჩერებელ ომს უიარალო მცხოვრებთა
წინააღმდეგ.

ათი წელია სწარმოებს ეს ბრძოლა საქართველოს მოსასპობად,


ქართველობის დასამორჩილებლად, ქართველი ეროვნული მუსიკურატურის
დაცვისა და სახელმწიფო სამსახურის მიერ გადასაქცევად.


მოსკოვის ტირანები ათი წელია ძღებიან ქართველი ერის
სისხლით და ვერ გაძლენ, იტაცებენ მის საზრო-საბადებელს და
ვერ გაათავეს, ავსებენ თავდადებულ მოღვაწეებით ციხეებს, სარ-
დაფებს, ბნელ საკანებს, შორეულ გადაკარგულ კუთხეებს და ვერ
გაავსეს. დიდია ქართველი ხალხის ეს ტანჯვა, განუზომელია ეს
მისი ამოღება წვალება, მწარეთა ეს ხანგრძლივი მისი დევნა.

მაგრამ დიდი აღმოჩნდა ქართველი ერის გამძლეობა, არ შეირ-
ყა მისი სულიერი სიმტკიცე და რაინდული მხნეობა. მას მოსტა-
ცეს თავისუფლება, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს, მას წაართვეს თა-
ვისთავის ბატონობა, მაგრამ ვერ დაიმონეს.

ქართველი ერი ამ მეთა წელსაც ისე მაგრათ დგას თავისი უფ-
ლების, თავისი სამშობლოს სადარაჯოზე, როგორათაც ის იდგა
თავიდანვე, შემოსევის პირველ წელიშადს. დროთა ბრუნვამ ის
ვერ მოსტება, გზა-კვალი ვერ აუბნია, მტერი მოყვარეთ და მო-
ყვარე მტრათ ვერ მოაჩვენა. ის დგას თვალიანული, გონება ნა-
თელი, მტროთან მტრულათ განწყობილი. დევნა მას აკაუებს, თავ-
დასხმა ავაუკაცებს.

მტრის ბანაკი გარიყულია, ის უკმაყოფილო ერით შემოქალტუ-
ლია, მათ შორის ყველა შემაერთებელი ძაფები დაწყვეტილია და
მხოლოდ მტრობა მათი მოციქულია.

განა ეჭვია ვინ გაიმარჯვება! ისტორიის ჩარხს უკულმა ვინ
დააბრუნებს? მოსკოველთა საქმე წაგებულია, ისინი ისტორიის
მიერ განწირულია. დროს რა მნიშვნელობა აქვს, იქნება ადრე თუ
გვიან – ეს დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, მთავარია ის,
რომ მტერის დამარცხება აუცილებელია, უჭიველია, მისი დასას-
რული გარდაუვალია. რა არის ათი წელი ხალხთა ცხოვრებაში?
ის ერთი წამია, ერთი შეფრქვევაა. ქართველი ერი სწორედ ასე
შორს იხედებოდა და ამიტომ ქედი არ მოიხარა გამარჯვებულთა
წინაშე. ის დარწმუნებულია მტრის დაცემაში, მის დარღვევაში,
მისი ბოროტების აღმოფხრაში და ეს აწმენა მას ამხნევებს,
ასალკლდევებს ეს ათი წელიშადია. და გამართლდა მისი ეს შორს-
მჭიდრეობა, ახლა აშკარა გახდა ბრძოლათვისაც ეს მისი აწმენა.



გავიდა ათი წელი და ჩას ვხედავთ? ვხედავთ მტერს დასცეცენ
ლებულს, უკურნებელი იარებით დაავადებულს, გახრწნილს, თავის
შინაგან წინააღმდეგობათა ბადეში გახლართულს და სასიკვდილოთ
გამზადებულს. ვხედავთ მის მოსაფლავეთ, დევნილ და წამებულ
ხალხებს გამხნევებულთ, იმედით აღსავსეთ, უკანასკნელი ბრძოლი-
სათვის გამზადებულთ. ჩვენ მარტონი აღარა ვართ, ჩვენ ვვერა-
ტება ახალი მოკავშირენი; ისინი კი, პირიქით, მარტოვდებიან, კა-
რგავენ ძალას, შორდებიან მთელ ქვეყანას და უფსკრულისაკენ
მიექანებიან. მოსკოველთა დღე დათვლილია, მათი მზე ჩადის, ჩვ-
ენი მზე ამოდის, განთიადი მოახლოვებულია.

საქართველოს კანონიერი მთავრობა, უცხოეთში გადმოხვეწილი
და აქ ერის დაკარგული უფლებისათვის მებრძოლი, ამ ათი წლის
თავზე შორიდან უძღვის სალამს მთელ ქართველობას და მას უთ-
ვლის: ჩვენ აქ ძველებურად მაგრად ვდგავართ ერის სადარაჯოზე,
ჩვენი გული სცემს თქვენ გულთან ერთად, თქვენი სული გვაძლევს
აღფრთოვანებას. მომავალ დიად გადატეხას შევხდეთ მთლიანათ,
საერთო ნებისყოფით, საერთო სულისკვეთებით და სხვა ჩვენებრ
დატანჯულ ხალხებთან ერთად აღმართოთ ჩვენი დროშა, დროშა
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის, კავკასიის
ხალხთა კონფედერატიული კავშირის დაარსების და სხვა საბჭოთა
ულლისაგან განთავისუფლებულ ხალხებთან ძმური დამოკიდებულ-ზ
ბის და კეთილი მეზობლობის დამყარების.

მოწინავე კაცობრიობა თქვენ თავდადებულ ბრძოლას შეყურებს!

პარიზი	საქართველოს ეროვნ. მთავრობის თავ – რე
თებერვალი 1931	ნოე ჟორდანია
***	***

ო რ მ ო ც დ ა ა თ წ ლ ი ს თ ა ვ ზ ე

პარიზი 1971 წლის მარტის 19

ქართ. ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაციის საზოგადო კრების

*** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის

საქ. დაპყრობის 50 წლისთავზე ქართული პოლიტიკური და სამსახურის მისი მიმალებზე, რასაც ქარგად გრძნობს მტერი, რომელიც ამაռდ ცდილობს მის გაბზარვის. ემიგრაცია ბოლომდე დარჩება ჭეშმარიტი გამომხატველი ქართ. ერის მისწრაფებათა, იბრძოლებს მისი დამოუკიდებლობისათვის, დაიცავს საქართ. საერთაშორისო უფლებებს, მის სასიცოცხლო ინტერესებს.

ამ გლობის იუბილუდღეს ჩვენ ქვედას ვიხრით მსხვერპლთა წინაშე, რომლებიც ქართ. ხალხმა გაიღო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში, აჯანყებებში და ცახე-ციმბირში დაღუპულთა საფლავების წინაშე.

სამგლოვიარო კრება თავის ღრმა აღშოთებას და პროტესტს გამოთქვამს ცივილიზებულ ქვეყნების წინაშე, რომ მოსკოვის ხელისუფლება და მისი ერთგული ადგილობრივი მმართველობა, რუსთის მიერ საქართველოს დაპყრობის თარიღს ერის დღესასწაულად აცხადებს, ერის ჩაგრას – თავისუფლებად, რაც უსაშინელესი შეურაცხყოფაა ჩვენი ერის სულიერი კულტურის და რაც განათლებული ქვეყნების ისტორიაში უცნობია,

კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად მუდმივი რეპრესიული ზომებისა და ყოველგვარი ხელოვნური დაბრკოლებებისა, ჩვენი ერის კულტურული მაჯისცემა შეუჩირებელია, რაც აშკარავდება ყველა დარღვევი, შედეგია სამიათასწლოვან კულტურის, ახალთაობათა ეროვნული შეგნების და დაძაბული ენერგიული შრომის. ჩვენ გვწამს, რომ თავისუფლი კაცობრიობა, რომელიც არასოდეს არ ცნობდა და არც ცნობს რუსეთის უფლებას, თავისუფალ ერს მოახვიოს ძალით თავისი სისტემა და მოაქციოს ის საბჭოთა იმპერიის რყალში, როცა დრო და უამი დადგება, თავის მორალურ სიმპათიებს და აქტიურ დახმარებას არ მოაკლებს ტუვებიდან განთავისუფლებულ ერებს.

დასასრულ, სამგლოვიარო კრება მოუწოდებს ქართველებს: ღრმად სწამდეთ, რომ საქართ. დღევანდველი ეროვნული ჩაგრა წარმავალია, რომ კვლავ აღსდგება თავისუფალი საქართველო, და მასთან ერთად – კაცებისის მოძმე ერები, და ყველა დღეს რუსეთის ტყვეობაში მყოფნი სახელმწიფოები და ხალხები.

ჩვენ კი გვმართებს საქართველოს მსახურება „ ვიჭყვა „ მისურის „ ერთგული და იმედოსილი შევყურებდეთ მომავალს.

დიდება ქართველ მხენე ერსა.

გაუმარჯოს თავისუფლებას.

* *

*

რეზოლუცია ერთხმად იყო მიღებული სათვისტომოს საგანგებო ქრების მიერ. ვადასტურებ კრების თავმჯდომარე ლევან ზურაბიშვილი

ტაბახმელის გმირებს

დღეს 24 თებერვალია, სისხლის ცრემლებით ვიგონებთ
წარსულს,
შალვას, ბიძინას, მერაბს და ოთარს, გმირულ ბრძოლებში
დაღუპულ მამულს,
დედას თალქებში, მუდამ ცრემლიანს, სამგლოვიაროდ
ლოყებ-დაკაწრულს;

მამადავითზე თვით წმინდა მამის ლანდსა ვხედავდით
ხელებ-აბყრობილს,

მხურვალე ლოცვით ღმერთს ავედრებდა მამულისათვის
თავდადებულებს.

ოი, მამულ! უფალმან უწყის რომ მზად ვიყავით
თავი დაგვედო,

საშვილიშვილოდ, როგორც წინაპართ, გარდაუგალი
ძეგლი აგვეგო.

ბევრი შეგცოდა ...ჩვენმა თაობამ, არ გსურს დაგვზოგ.
მამულო ტურცავ, გვჯერა, რომ შენი დიდება ძველი
კვლავაც აღსდგება,

რომ ქართველობა თვალებს გაახელს, ბორკილებს დასწყვეტს
და მობეზრდება მტრის ფეხქვეშ გება, მისი მონება.

დღეს 24 თებერვალია, ტაბახელისა ვიგონებთ გმირებს,
ვფიქრობთ, რომ იქაც, საქართველოში მათ საფლავებზე
მოფენენ ვარდებს

და ჩუმად ვინმე ააწყარუნებს სიონის ტაძრის დამტკმულებელი
ზარებს.

ვ ა ნ თ ბ ა ქ რ ა ძ ე,

ტაბახმელის ბრძოლების მონაწილე იუნკერი.

ს ა მ თ ც წ ლ ი ს თ ა ვ ზ ე

პარიზი. 1981 წლის 29 მარტი.

რ ე ზ თ ლ უ ც ი ა ,

ერთხმად მიღებული პარიზის 1981 წლის 29 მარტის ქართველ ლტოლვილთა კრების და საზღვარგარეთ არსებული ყველა ქართული პოლიტიკური, კულტურული, ჰუმანიტარული, საკულტო ბეჭდვითი პერიოდული გამოცემების, საზოგადოებების და დაწესებულებების მიერ, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობილან სამოცი წლის შესრულებისა გამო.

ისარგებლა რა რუსეთში გამეფებული პოლიტიკური არეულობით და ხელსაყრელი საერთაშორისო პირობებით, საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს და გახდა სრულუფლებოვანი საერთაშორისო სახელმწიფო, როგორიც ის მუდამ არ სებობდა მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში. მალე ის იურიდიულად და ფაქტობრივად იცნეს უმრავლესმა სახელმწიფოებმა და თვით საბჭოთა რუსეთის მთავრობამ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით აღიარა საქ.-ს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სუვერენობა და ვალდებულება ითო არ ჩარეცლიყო მის შინაურ საქმეებში.

მაგრამ, ლენინის მთავრობამ სულ მალე ფეხშვეშ გათელა მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება და საქართველოს მიმართ პიროველად გამოიყენა დაპყრობის მეთოდი, რომელიც შემდეგ კლასიკური გახდა და ავღანისტანი, მრავალ სხვათა შემდეგ, წარმოადგენს ყველაზე უკანასკნელ მაგალითს.

1921 წლის 11 თებერვალს, ომის გამოუცხადებლად, საბჭოთა



რუსეთის ჯარები თავს დაესხენ და სისხლისმღვრელი უფრთხესაში
რო მოის შემდეგ დაპყრეს მთელი საქართველოს მიწას და კანონს განვითარებენ გამოაცხადეს ქართ ხალხის მიერ დემოკრატიული და
არჩეული ეროვნული საკრებულო, ლეგალური მთავრობა, ყველა ეროვნული საზოგადოება და დაწესებულება და ქართველ ხალხს ძალით თავს მოახვიეს რუსეთში არსებული საბჭოთა რეჟიმი.

აქედან მოყოლებული დღემდე, ამ სამოცი წლის განმავლობაში, კრემლის მმრდანებლები აწარმოებენ ქართველი ხალხის ფიზიკურ-ად განადგურების, ეკონომიკური ძარცვის და ეროვნული ასიმილაციის უხეშ და ბარბაროსულ პოლიტიკას.

ქართველი ხალხი არასოდეს შეჩინებია მოძალადე უცხო ერის ბატონობას, არც მის საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს, რაც მან საქვეყნოდ დაამტკიცა შეუწყვეტელი წინააღმდეგობით, საჯარო საპროტესტო მანიფესტაციებით და არაერთი შეუბრალებლად სისხლშიჩამხრჩვალი აჯანყებებით, რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ქართ ერი დღესეც ჯიუტად იბრძვის თავისი დედაენისა და თავისი ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად, თუმცა ბრძოლის გზები და საშუალებები იცვლება. ამ ბრძოლების გამოძახილი ხშირად არ აღწევს თავისუფალ სამყარომდე, საქართველო სრულ იზოლაცია-შია გარე სამყაროსგან, საერთაშორისო მეთვალყურეთაგან, ქართველი ერი პირაკრულია, მას უფლება და საშუალება არა აქვს, მსოფლიოს განუცხადოს მისი გულნადები, მისი ურყევი გადაწყვეტილება. ამიტომ თავისუფალ ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ გადმოხვეწილებს და მათ შვილებს მართება და უფლებაც აქვთ ილაპარაკონ მათი სახელით, იყვენ საქართველოს ხმა თავისუფალ სამარავში. ამ შეგნებით ვაცხადებთ ჩვენი და მთელი ქართველი ხალხის სახელით:

საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ქართველი ხალხი არასოდეს არ აიღებს ხელს მის ურყევ გადაწყვეტილებაზე: აღიდგინოს თავისუფლება, ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენობა, ყველა იმ უფლებებით, რომელიც ამასთანაა დაკავშირებული.

პროფ. გიორგი შარაშიძე, საინიციატივო კომისიის და საერთო კრების თავმჯდომარე, გიორგი წერეთელი, მდივანი



ქართ. მწერალთა და უურნალისტთა კავშირი,
ქართ. უურნალი „გ უ შ ა გ ი“



პარიზი 25 თებერვალი 1991

მ ე მ თ რ ა ნ დ უ მ ი

დღეს 70 წელი შესრულდა საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი სამშობლო საქართველოს დაყრობა-ანექსიიდან. ამ საკმად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართველი ხალხი დაუცხრომლად იბრძოდა და იბრძვის ამჟამადაც დამომრეობით შელახული მისი საერთაშორისო უფლებების აღსაღენად, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველთვის სისხლის მორეგული ჩაახრის ყველა მისი მშვიდობიანი თუ შეიარაღებული ცდა. თვით დემოკრატიაც კი ნათელჰყოფს იმ შემზარავ მსხვერპლს, რაც ჩვენმა ხალხმა საბჭოთა მკურობელობაში განიცადა – ნორმალური განვითარებით ქართველები უნდა იყვნენ ამჟამად სულ ცოტა 8-9 მილიონი. სინამდვილეში კი ქართველობა ძლივს სამნახევარი მილიონია. განა ეს გენოციდი არ არის!

არა! ქართველი ხალხი არ ეძებს წარსულის ზღვევინებას! თუმცა ემართლება რუსებსა და სისხლიან კომუნისტებს, მაგრამ მაინც იგი არაა შურისძიებით შეპყრობილი. ის მხოლოდ საკუთარ არსებობის უფლებას მოითხოვს. რუსებმაც და მსოფლიომაც უნდა შეიგნონ: ქართველი ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო ორალიციების მჭონე ამაყი ერია, რომელმაც ამ უკანასკნელი სამი ათასი წლის ისტორიული ცხოვრების მანძილზე გაუძლო უამრავ დამპყრობელთ, მძლავრ იმპერიებსა თუ მომთაბარე გამპარტახებელ ურდოებს, მტკიცედ შეინახა ყველასაგან განსხვავებული ენა, მაკმაღიანურ სამყაროში ქრისტიანული სახმეულოება, თავისებური კულტურა, ზნე-ჩვეულებები და ბოლოს, თუმცა შავრენის ტყავივით შემცირებული, მაგრამ მაინც ეროვნულად საარსებო მამაპაპისეული მიწა-წყალი.

ვერც საბჭოთა რუსეთმა დათრგუნოს ქართველობის ღრმვა თავისუფლებისა, თავის-თავადობისაკენ!

დღეს, ჩვენი ეროვნული ტრადიციის 70 წლისავზე, ერთხელ კიდევ ვგმობთ ენერგიულად საბჭ. ხელისუფლების მიერ ჩადენილ საერთაშორისო ბოროტებას ქართველი ერის მიმართ, დაბჯითებით მოვითხოვთ, რომ ახლა მაინც იქნეს გაყვანილი მისი ჯარი საქარ-

თველდან და მით ნება მიეცეს ქართველ ხალხს, რომ, უმრავლესობის საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ, ყოველგვარი გარეგანი თუ შინაგანი ზემოქმედებისაგან დაზღვეულმა, თვითვე მოაწყოს თვისი საქართველოს სახელმწიფო, რომელიც თვითვე შეიმუშავებს თვისი საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკას.

არ შევცდებით თუ ვიტვით, რომ ამ მემორანდუმით ჩვენ გამოვჭვამთ აზრს, თუ მთელი ქართველი ხალხისას არა, მისი დიდი უმრავლესობისას მაინც. ამ გაგებით, უმორჩილესი ოხვნით მივმართავთ: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და გენერალურ მდივანს ბ-ნ ხავიე პერეზ დე კუელარს, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებს, პარლამენტებს და პოლიტიკურ პარტიებს და ბოლოს ყველა კეთილი ნების ადამიანს მსოფლიოში, რომ მხარი დაგვიჭირონ ჩვენ და ჩვენ ქართველ ხალხს ამ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებში.

ღრმა პატივისცემით და წინასწარი მადლობით:

გიორგი წერეთელი, თავმჯდომარე
ნიკოლ - ეთერი შენგელია, მდივანი

II დ დ ე ჭ ა ნ დ ე ჭ ლ ო ბ ა

ო ს უ რ ი ხ ა ფ ა ნ გ ი

რუსმა იმპერიალისტებმა ოსური ხაფანგი ლამის ოსურ სა-
საკლაოდ გადაგვიქციონ. სულ უფრო და უფრო გაბშირდა
დასავლეთში გადმოცემული ინფორმაციები ქართველებისა და
ოსების სისხლიანი კონფლიქტების შესახებ. მაგალითად 21 -22
თებერვალს გადმოსცეს, რომ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხ-
ინვალში, სადაც სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული,
მას შემდეგ რაც საქ. უზენაესმა საბჭომ სამხ. ოსეთის ავტ-
ონომიური ოლქი გაიაუქმა, მოკლულია 25 კაცი და მრავალიც
დაჭრილიო. ამ მცირე განცხადებაში ყველაფერი ემსახურება
საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, ისე რომ, ტყუილში გა-
მოჭერაც გაგიჭირდება. მითითებული არ არის არც მკვლელე-

ბის, არც მსხვერპლთა ეროვნება, მღელვარების მიზნების სახელებულია ავტონომიის გაუქმება და, ჩაც მთავარია, მოსკოვის ინტერვენცია დასაბუთებულია.

მთლად ბრძანა ან ბრიყვი უნდა იყო, ვერ მიხვდე, რომ სამხრეთ ოსეთის ნომენკლატურა ჩვენში იგივე როლს თამაშობს, რასაც გაგაუზებისა მოლდავეთში (რუმინეთის ბესარაბია), რუსპოლონელებისა ლიტვაში, მთის ყარაბაღი აზერბაიჯანსა და სომხეთში. რა თქმა უნდა, ყარაბაღი სხვა ორაგულია, რომელიც ლიფსიტა თევზებს ვერ შეეღრება. ყარაბაღის პრობლემა რომ არ იყოს ბატონი გორბაჩივი ვერაფრით ვერ გაამართლებდა მისი ჯარების მიერ ამიერკავკასიის კუპაციას.

ჩვენ პრინციპულად არ გვინდა, რომ რუსის ხალხს, როგორც ნაციის, შეურაცხყოფა მივაყენოთ, მაგრამ დიდმა ერმა (და რომ იგი ასეთია, ამაში მას ეჭვი არ ეპარება) სიმართლე შეურაცხყოფად რად უნდა მიიღოს. სიმართლე კი ისაა, რომ თითქმის ყველაფერი, რითაც რუსი ამაყობს და თავს იწონებს: ანბანიდან დაწყებული მარქსიზმამდე უცხოეთიდან, კერძოდ ევროპიდან აქვს გადმოღებულ-შეთვისებული. სამწუხაროდ ჩვენდა, მათ ჩინებულათ შეითვისეს აგრეთვე მსოფლიო იმპერიალიზმის ვერაგი პოლიტიკა: დაყავი, გადაკიდე ერთი-მეორეს და იბატონე.

ჩვენი, დამორჩილებული ერების უბედურება იმაშია, რომ, თუმცა ჩვენც კარგად ვიცით ეს უამრავი ხმარებით გამცვთარი მახე. მაინც უნებურად ვყოფთ თავს შიგ და ვიხლართებით, ვფაფხურობთ, ვვინდა როგორმე თავი დავალწიოთ, მაგრამ ამაოდ... სისხლი სისხლს ითხოვს, შურისძიება შურისძიებას. საბოლოოდ კი ერთმანეთს ვღუპავთ.

რა გვეთქმის ადგილობრივად დატრიალებულ ცოდვასა და გაუკითხაობაზე, როცა აგერ ჩვენს გვერდში პარიზში მცხოვრები, ჩამომავლობით ოსი და ქართული ოჯახის დედა სრულებით იზიარებს ოს სეპარატისტთა და რუს იმპერიალისტთა ვერსიას, სრულ პასუხისმგებლობას ქართ. ხალხის მიერ ახლად არჩეულ მთავრობას აკისრებს და, მაშ. ლოლიკურად გორბაჩივმა ხვალ საქართველოში სამხედრო ინტერვენცია რომ

ერთობელი

განახორციელოს მან აღფრთოვანებული ტაში უნდა უდინებელი გვერ, რასაკვირველია, პირველ რიგში ქართული ტკივილი გვტკივა და საქართველოს განთავისუფლების საქმის დაბრკოლება გვაღელვებს, მაგრამ არც ოსი ხალხის გაჭირვება, ტანჯავა, წამება გვტოვებს გულგრილად საუკუნეებით ერთად ცხოვრებამ და შეიძლება ბრძოლებმაც გადაგვაბა ერთმანეთს, დაგვაკავშირა. რამდენია დღეს შერეული ოს-ქართული ოჯახები? ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ბევრი მათგანი ამჟამად შიმშილობს გორბაჩივის მაკიაველურ პოლიტიკის საპროტესტოთ. ამ დედების ბრძოლამ, საღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს და იზეიმოს. მრავალეროვანი და მრავალაღმსარებლობის კავკასია ღმერთის თუ ბუნების ერთიანი შემოქმედებაა, იგი ან ერთად გადაარჩება და ამაღლდება, ანდა ერთად ჩაიძირება და შთაინთქმება რუსულ-სლავიანურ ოკეანეში.

პ ა პ უ ნ ა

საფრანგეთში ისთა საზოგადოების თავმჯდომარეს*)
ქალბატონ ნასყიდაშვილ-ბითაროვს

ქალბატონო თავმჯდომარევ, როგორც თქვენი შერილიდან ჩანს, თქვენს ხელთ მყოფი ინფორმაცია დაზუსტებას მოითხოვს. ამიტომ თაგს ვალდებულად ვთვლით, მოგაწოდოთ რამდენიმე ცნობა ყოფილი სამხრეთ ისეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე უკანასკნელ ხანს განვითარებული მოვლენების შესახებ.

1990 წლის 20 სექტემბერს სამხ. ისეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ თვითნებურად გამოაცხადა მას სამხრეთ ისეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად სსრკ-ს შემადგენლობაში. ამ ანტიკონსტიტუციური აქტის საპასუხოდ საქ. სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, 1990 წლის 21 სექტემბერს ბათილად სცნო ეს გადაწყვეტილება.

*) როცა ფრანგულიდან სიტყვა „პრეზიდენტს“ ვთარგმნით, მხოლოდ ორ შემთხვევაში: რესპუბლიკის და მეცნიერებათა



საქ.-ში ჩატარებული მრავალპარტიული დემოკრატიული რეგნების ჩატარების შემდეგ, 1990 წლის 9 დეკემბერს, სამხ. ოსეთის ოლქში ჩატარდა არაკანონიერი (საარჩევნო კანონის გარეშე) არჩევნები, ხოლო 11 დეკემბერს თვითმარჯვია „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს“ სესიამ დაადგინა დაემორჩილებინა ადგლობრივი სახელმწიფო ბრივ-სამართლებრივი სტრუქტურები საბჭოთა კავშირისათვის, დაარღვია რა ამით როგორც სსრკ-ს, ისევე საქ.-ს კონსტიტუციები. სსრკ-ს უზენაესმა საბჭომ და პრეზიდენტმა ამ ანტიკონსტიტუციურ აქტებზე არავითარი რეაგირება არ მოახდინეს. იმავე დღეს საქ.-ს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იძულებული შეიქნა გაეუქმებია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ეს იყო აღნიშნულ რეგონში სიტუაციის სტაბილიზაციის ერთ-ადერთი საშუალება.

საქ.-ს რესპუბლიკაში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გარეთ, თითქმის ორჯერ მეტი ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს, ვიდრე ყოფილ ოლქის ტერიტორიაზე, მაგრამ არსად არავითარ კონფლიქტს აღგილი არა აქვს. შიდა ქართლშიც კონფლიქტის გაჩენის ერთადერთი მიზეზს ხელოვნურად შექმნილი ავტონომია წარმოადგენდა, და რომ არა კრემლის მიერ შეგულიანებული ექსტრემისტი ლიდერები სიტუაციის ამგვარი გამძაფრება შეუძლებელი იქნებოდა.

ცხინვალის ბლოკადაზე საუბარი მხოლოდ ამ საკითხში გაუთვითცნობიერებლობას შეიძლება ეყყარებოდეს, ხოლო რაც შეეხება სათბობისა და რესურსების ნაკლებობას, მას განიცდის მთელი საქ.-ს მოსახლეობა და ანალოგიური მდგომარეობა ცხინვალში სულაც არ არის დაკავშირებული წარმოქმნილ კონფლიქტთან.

ამჟამად ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 145 ზოგადსაგანმარტლებლო სკოლა, რომელთაგან 90 -ში სწავლება ოსურ ენაზეა, არის

აკადემიის პრეზიდენტი უნდა ვთარგმნოთ როგორც პრეზიდენტი, ყველა სხვა შემთხვევაში როგორც თავმჯდომარე. რედ.

ოსთა საზოგადოების თავმჯდომარეს საფრანგეთში



ოსური უმაღლესი სასწავლებელი, მეცნიერებათა აკადემიის სამუშაოების ნუოფალება, ისური თეატრი. ნომენკლატურული თანამდებობების და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელ აღგილებზე ძირითადად ოსი ეროვნების პირები მუშაობენ. აბსოლუტურად განსხვავებული სურათია ოსი ხალხის სამშობლო ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომლის დედაქალაქში ბოლო დრომდე არ იყო არცერთი ოსური სკოლა და არ ასებობდა ოსური კულტურისა და ტრადიციების განვითარებისა და შენარჩუნების არავითარი გარანტიები. ვდიქრობთ, კარგი იქნებოდა დიდად პატივცემულობა-ნო თავმჯდომარევ, თქვენი შესაძლებლობები და ძალის-ხმევა მიგემართათ ოსი და ქართველი ხალხის საერთო მტრის, კრემლის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ და დაგეცემა მშობელი ხალხის ინტერესები მისსავე სამშობლოში – ჩრდილოეთ ოსეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმა ექსტრემისტებმა გამოიჩინეს უმაღლერობა, მიაყენეს ქართველ ერს შეურაცხყოფა და თავიანთი უგუნური ქმედებით გამოიწვიეს სისხლის ღვრა, რითაც ტრაგიკული ფურცელი ჩაწერეს ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიაში. გვსურს დაგარწმუნოთ, რომ არავინ აპირობს წაართვის შიდა ქართლის ოსურ მოსახლეობას ეროვნულ-კულტურული ავტონომია, რითაც ყოველთვის ფართოდ სარგებლობდნენ და ეხლაც სარგებლობენ საქ.-ში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობანი. ამასთანავე, შიდა ქართლის ოსურ მოსახლეობას, რომელიც ეროვნული უმცირესობის კლასიკური მაგალითია, არა აქვს პრეტენზიის უფლება თვითგამორჩვევისა და სუვერენული სახელმწიფოს შექმნაზე. ასეთია საყველთაოდ აღიარებული კანონი, რომელიც ასახულია „სამოქალაქო უფლებების პაქტის“ 27-ე მუხლში, „პარიზის ქარტია-ში ახალი ევროპისაკენ“ და სხვა საერთაშორისო აქტებში.

პატივისცემით საქართველოს უზენაესი საბჭოს
პრე-ცნოტრი



საქართველო

„გ უ შ ა გ ი ს“ რ ე დ ა ქ ც ი ა ს პ ი ტ ი კ ი მ ი ს ი ს

ბატონი გიორგი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და მისი მთავარი კომიტეტის სახელით თქვენ და საფრანგეთის მთელს ქართულ ემიგრაციას გილოცავთ 1990 წლის 28 ოქტომბრისა და 11 ნოემბრის არჩევნებში ეროვნული მოძრაობის ბრწყინვალე გამარჯვებას, გილოცავთ ახალ 1991 წელს და გისურვებთ წარმატებებს ჩვენი საერთო სანუკვარი მიზნის – საქართველოს სრული ეროვნულ-სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ძნელად სავალ გზაზე.

მტკიცებ გვწამს, ყოველგვარი სიძნელე დაძლეული იქნება და ეს წელი მნიშვნელოვან ფურცელს ჩაწერს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. ამისთვის კი, პირველყოვლისა, აუცილებელია სრულიად საქართველოს ურღვევი ერთობა, დაძლევა იმ კონფლიქტაციული სიტუაციისა, რომელსაც ადგილი აქვს ეროვნული მოძრაობის ორ ფრთას შორის. ჩვენ, როგორც პოლიტიკურ ცენტრისტულ ბლოკ „თავისუფლების“ შემადგენლობაში შემავალი ნეიტრალური ორგანიზაცია, მოვითხოვდით და კვლავაც მოვითხოვთ ურთიერთის მიმართ ქრისტიანულ მიმტევებლობას და ორ ბანაკს შორის ურთიერთობას. დარწმუნებული ვარ, რომ არსებული წინააღმდეგობა დროებითი მოვლენაა. საბჭოთა იმპერიაში ამჟამად არსებული ფეთქებადი მდგომარეობა, ტოტალიტარული მექანიზმის ესოდენ მძლავრი ამოქმედება (რაც დამახასიათებელია იმპერიის არსებობის უკანასკნელი ეტაპისათვის) თითოეულ ჩვენთაგანს მოვგანიჭებს უნარს ყოველი პირადულის დავიწყებისას და შეკავშირებისას. კრიტიკულ მომენტებში ერთ მუშტად შეკვრა მუდამ ახასიათებდა ქართველ ერს.

ახლა კი ორიოდე სიტყვით იმ ურთულესი სიტუაციის შესახებ, რომელიც შექმნილია საქართველოს რესპუბლიკასა და მთელს იმპერიაში.

პრეზიდენტ გორგაჩოვის ა. წ. 7 იანვრის ბრძანებულების შემდეგ საკავშირო ტელევიზიისა და ცენტრალური პრესის



მიერ გაჩაღდა აშკარა დეზინფორმაცია ყოფილ სამსტურებლოში ეთის ავტონომიურ ოლქში, ისტორიულ სამაჩაბლო-საციციანო-ში შექმნილი ვითარების შესახებ. საკმარისია აღინიშნოს გაზ. „იზვესტიას“ პუბლიკაციები, საკავშ. ტელევიზია „ვრემი-ასა“ და „ტესენ“ -ის ბოლოდროინდელი გამოშვებები, რომლებ-შიც ხდება საქართველოში „ვრემიას“ -ს სპეც. კორესპონდენ-ტის ქ-ნ ნ. ღონლაძისა და კონცუნქტის კოლექტივის მიერ მომზადებული მასალების შექრეჭა-დამაზიჯება, რაზეც არა-ერთგზის გამოხატა თავისი გულისწყორმა საქ. -ს რეპ. უზ-ენაესმა საბჭომ, ეროვნულმა ტელევიზიამ და პრესამ. რეალუ-რი ვითარება კი ასეთია:

აშკარაა იმპერიული ძალების მხარდაჭერა ოსი ექსტრემის-ტებისადმი, რომლებიც ინტენსიურად იღებენ იარაღს, არა მა-რტო ავტომატებისა და რევოლვერების, არამედ ჯავშანტრან-სპორტიორებისა და რაკეტების სახით. ამ მხრივ განსაკუთ-რებით აღსანიშნავია ს. უ. კ. ის გენერლის, ეროვნებით ოსის კიმ ცაგოლოვის „მოლვაწეობა“. ჩაც შეეხება ანტიქართულ, საბჭოთა რეჟიმის ხელშეწყობით შეკოწიწებულ ორგანიზაცი-ას „ადამინ ნიხასს“, მისი ლიდერები და მათ შორის ალან ჩიხჩიევი იმაღლებიან საკავშირო შინაგან ჯარებში აშკარად შეიმჩნევა მხარდაჭერა ექსტრემისტებისადმი, რაც ხშირ შემ-თხვევაში სრული უმოქმედობით გამოიხატება. დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვი ქართველებს შორის ბევრად მაღალია (და-ღუპულია 20 -მდე, ხოლო დაჭრილი ასზე მეტია). არიან უს-ახლკაროდ დარჩენილნიც. დამწვარი და განაღებურებულია ქარ-თული კულტურის კერები - დამწვარია ცხინვალის ერთეული ქართული სკოლა, დახურულია ქართულენოვანი პრესა, ყოველ-ხშირი ავიტროებენ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ქართული ეროვნების თა-ნამშრომლებს. აი, ასეთი გახლავთ რეალური სურათი (აღმა-რებს მიერ იგი უფრო შერბილებული სახითაა წარმოდგენილი).

საგულისხმოა, რომ ოს ექსტრემისტთა და მათ წამქეშებელ-თა ნამოქმედარმა დიდი გულისწყორმა გამოიწვია სამაჩაბლო-საციციანოს საზღვრებს გარეთ, საქ. -ს სხვადასხვა რეგიონებ-

ში მცხოვრებ ოსებში, რომელთა რაოდენობა საგრძნობრივია აღმატება ყოფილი ოლქის ოსურ მოსახლეობას.

საკაგშირო რადიო-ტელევიზიისა და პრესის მიერ მოვლენა-თა მიზანდასახული გაყიდების ტენდენცია (ვგულისხმობთ სამაჩაბლოს მოვლენებს) ოდნავ მინელდა ორმეტ იანვრის შემდეგ - ლიტვის სუვერენულ რესპუბლიკაში ცენტრის მიერ განხორციელებული ამაზრზენი ხოცვა-ელეტის გამო (ლიტვური პრესის მონაცემებით დაღუპულია ოცამდე, დაჭრილი 331, ხოლო უგზო-უგვლოდ დაკარგულია სამოცამდე ადამიანი).

აქვე აღვნიშნავ, რომ ამ სისხლიანი აქციის ჩატარებისთანავე სრულიად საქართველომ, ეროვნულმა პარლამენტმა და კონგრესმა ერთხმად გამოხატეს აღშფოთება და პროტესტი საბჭოთა პრეზიდენტისადმი. ევროპისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის სამარცვინო ლაქაა ის ფაქტი, რომ ეს პირისისხლიანი დიქტატორი მშვიდობის დარგის ნობელის პრემიის მფლობელია!

საკაგშირო პრესამ და ტელევიზიამ „ბალტიისპირეთის ფრონტზე“ „ისახელა“ თავი. ცინიზმის უურნალისტური ეთიკის დარღვევის ეტალონურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს „ვრემია“ და „ტე-ეს-ენ“ -ის ინფორმაციები, ლენინგრადის ტელევიზიის „600 წამის“ საოცრად ტენდენციური, ცალმხრივი გადაცემა, მიმართული ჯალათთა დასაცავად. ამ შემთხვევაში ნათლად განცხადდა (ვინ იცის მერამდენეგზის?!?) იმპერიული პარლამენტის „დემოკრატიულობა“ - სესიის მონაწილეთა უმრავესობის მოთხოვნით ეს გადაცემა სრული სახით გაუშვა საკავშელებით. როგორც „მეტად ობიექტიური და მართლი“ ინფორმაცია. გარდაქმნა და საჯაროობაც ასეთი უნდა! ასევე ცინიზმითაბ გაფლენთილი პრეზ. გორბაჩივის განცხადებანი, თითქოს იგი არ იყო მომხდარი საქმის კურსში. როგორც ვხედავთ მეორდება თბილისის ცხრა აპრილის ტრაგედიის სცენარი. ოც იანვარს მოსკოვში, მანეჟის მოედანზე გაიმართა ოციათასიანი საპროტესტო მიტინგი, იმავდროულად მრავალათასიანი აქცია ჩატარდა ლენინგრადში.

საკაგშირო ტელევიზიამ აკრძალა ერთადერთი ნორმალური

და ობიექტური პროგრამა „ვზგლიადი“, რომლის ხელშეწყობის შემთხვევაში ლმა, რუსეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ალ. ლიუბიმოვმა პოპულარული ქართ. გაზეთის „7 დღის“ კორესპონდენტს (იხ. ა. წ. 18 იანვრის ნომერი) განუცხადა: „საკავშირო სახ-ტელერადიო ახლა ერთ პიროვნებაზე მუშაობსონ“. დაითხოვეს საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსი“, პრეზიდენტმა ვეტო დაადო ადრე მის მიერვე გამოცხადებულ პრესის თავისუფლებას! ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა სუნი უდის ყოველი-ვა ამას!

დღეს სისხლი იღვრება ლიტვასა და საქართველოში, ხვალ იგივე ბედი ელის ლატვიას, ესტონეთს ...

საკავშირო პრესაში უკვე დაიწყო ლაშქრობა რუსეთის ფე-დერაციის მეთაურის ბორის ელცინის წინააღმდეგ, რაც გა-მოწვეულია ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხელმძღვანელ-ბთან ერთად „გაერო“ -სადმი ერთობლივი მიმართვით (იხ. „იზვესტიას“ ა, წ. 19 იანვრის ნომერი). მოსკოვში ეწყობა კრემლის მიერ ინსპირირებული ელცინის საწინააღმდეგო შეკ-რებები.

ახლა საქ.-ს დაცუბრუნდეთ. კრემლი კვლავ აქტიურად ცდი-ლობს ისედაც რთული ვითარების შემდგომ დესტაბილიზაციას. 15 იანვარს სამაჩაბლოში (ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონ-ში) საკავშირო თავდაცვის სამინისტროს მითითებით შეუვა-ნილია მედესანტეთა დაუნდობლობით ცნობილი ნაწილები, თი-თქოსდა „იქ განლაგებული სამხედრო ობიექტების დასაცავად“. ცხადია, ამ ნაწილებს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარ-დლობასა და იმპერიულ თავდაცვის სამინისტროს სულ სხვა მიზნები ამოძრავებთ.

მდგომარეობას ართულებს ერაყ-ქუვეითის კონფლიქტი და ახლად დაწყებული ომი, რაღაც გორბაჩივმა და მისმა გარე-მოცვამ შეიძლება ისარგებლოს ამით და ახალი მძლავრი დარ-ტყმა განახორციელოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებ-რძოლ რესპუბლიკებზე. ადამიანი, რომელმაც 9 აპრილის ტრა-გედიის შემდეგ კვლავ დაღვარა სისხლი, აღარაფრის წინაშე აღარ დაიხევს გადასასაჩეხად გამზადებული ბოროტების იმპე-



რიის გადასარჩევად.

ზემოთ ქმულს ერთვის ე. წ. „თურქ-მესხთა“ (უფორ ცოროვე კი- მესხეთელ თურქთა) საკითხი, საკითხი პროთურქული გა- ნწყობილი მასისა (ქართული ორიენტაციის მქონენი აშკარად უმცირესობას შეადგენენ, რაც დააღასტურა როგორც საარქი- ვო დოკუმენტებმა, ისე ჩვენს მიერ და სხვა სპეციალისტთა მეონებით სიტუაციის ადგილზე შესწავლამ, რომლის უდიდე- სი ნაწილი (დაახლოებით 95%) თურქულ ეთნოსს განე- კუთვნება. ისინი არც მაღავენ ამას. ყოველივე ამაში შნიშვ- ნელოვანი როლი შეასრულა სისხლის აქტიურმა აღრევამ. მეტ- იდ სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ არა თუ 1918 - 1920 წლე- ბში, არამედ გასულ საუკუნეშიც ქართული მოსახლეობის, ქრი- სტიანული მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებული სისასტი- კით სწორედ გამუსულმანებული, გათურქებული მესხები გამო- ირჩეოდნენ, რაც დააღასტურებულია მრავალრიცხოვანი ღოკუ- მენტური წყაროებით. გარდა ამისა, მათ ლიდერებთან შეხვე- დრებმა ცხადჰყო, რომ ისინი მოითხოვენ მხოლოდ და მხოლ- ოდ ისტორიულ „სამშობლოში“ – სამცხე-ჯავახეთში კომპაქტ- ურად ჩასახლებას, თურქული სკოლებისა და მეჩეთების, თურ- ქული გაზეთების გახსნას. მათივე მოთხოვნას შეადგენს თურქ მესხთათვის ავტონომიის მინიჭება.

ჩვენ ქრისტიან-დემოკრატები ყოველთვის ვიყავით და კვლა- ვაც ვიქნებით მიმტევებელნი, წინააღმდეგნი ყოველგვარი ერო- ვნული დაპირისპირებისა იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე არ გმუქრება ქართველი ერის ინტერესებს მშობლიურ მიწა-წყა- ლზე. ზემოთ ქმული კი გვაიძლებს ვიქონიოთ ჩვენი მკაცრად ჩამოყალიბებული პოზიცია ხსენებული პრობლემისადმი.

სსრკ -ს ახლადარჩეულმა ვიცე-პრეზიდენტმა იანაევმა და სა- კაგშირო ტელევიზიის პოლიტიკურმა მიმომხილველმა ი. ფესუ- ნენკომ, ა. წ. 19 იანვრის გადაცემაში, არაორაზროვნად გვ- აგრძნობინეს, რომ ცენტრს კარგად ახსოვს „თურქ მესხთა“ საკითხი!

ბ. რედაქტორო, მოგმართავთ თხოვნით, რომ სწორი ინფო- რმაცია მიაწოდოთ საფრანგეთის პრესას, საზოგადოებრიობას.

ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია

*** 29
*** არავალი ურუბაზე, თბილისი

უღრმესი პატივისცემით,

ლ ვ 3 ა ნ ურუბაზე, თბილისი

საქ.-ს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მთავარი კომი-
ტეტის წევრი, ისტორიის მეც. განდიდატი.

მოკლე ცნობები ს. ქ. დ. კ. შესახებ

საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი არის
ქრისტიანობის ზოგადსაკაცობრივი იდეებსა და დემოკრატიულ
პრინციპებზე დაყრდნობული პოლიტიკური გაერთიანება, რომ-
ლის უზენაესი მიზანია ქრისტიანული სიყვარულის საფუძველ-
ზე სრულიად საქართველოს გაერთიანება, ბრძოლა ჩვენი ქვე-
ყნის 1921 წლის ანექსია-ოკუპაციის შედეგად დაკარგული
სრული ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღ-
დგენისათვის.

კავშირის აგებულობა. ს. ქ. დ. კავშირის უმაღლესი ორგა-
ნოა მისი ყრილობა, რომელიც ჩვეულებრივად ყოველ ორ წე-
ლიწადში ერთხელ იქრიბება. დიდი საბჭოს წევრთა ორიმესა-
მედის გადაწყვეტილებით დასაშვებია რიგგარეშე ყრილობის
მოწვევა. ყრილობებს შორის კავშირის აღმასრულებელი ორ-
განოა მისი მთავარი კომიტეტი 7 პირის შემაგენლობით, არ-
ჩეული ყრილობის მიერ ფარული კენჭისყრით ორი წლის ვა-
დით. საქ. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის უკანასკნელი
ყრილობა ჩატარდა თბილისში, 1990 წ. 27 დეკემბერს. მან
აირჩია მთავარი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ბადრი მაჭავარიანი (კავშირის თავმჯდომარე), ამირან ძოწე-
ნიძე (თავ - ის მოადგილე), ზვიად ლოლიძე (პრეს-ცენტრის დი-
რექტორი), ლევან ურუბაძე (პრეს-ცენტრის მთავ. რედაქტორი,
მეცნიერებისა და განათლების კომისიის თავ - რე), დავით
გამყრელიძე (საგარეო ურთიერთობათა მდივანი). ვაჟა დურმი-
შიძე (ბლოკ „თავისუფლების“ წევრ ორგანიზაციებთან ურთი-
ერთობის კომისიის თავ - რე), გიორგი ბურჯანაძე (თბილისის
კომიტეტის თავ - რე).

სარევიზო კომისიის თავმჯდომარე: პაატა ნაცვლიშვილი.

ს. ქ. დ. კ. ზრუნავს აღამიანთა უფლების დაცვისთვის,

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მიზნისათვის“

საქ.-ში უკვე ფეხმოკიდებული მრავალპარტიული დამოუკიდებლობის მმართველობის შემდგომ სრულყოფისა-თვის, კერძო საკუთრების, როგორც პიროვნების თავისუფლების გარანტის, განვითარებისათვის. კავშირი პრინციპულად მიუღებლად თვლის ყოველგვარ ძალადობას და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებათა შებღალვის და ასე შემდეგ ...

რედ.

* * *

* * *

* * *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

მ ი მ ა რ თ ვ ა

გაეროს, მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს

უკვე რამდენიმე თვეა, რაც შიდა ქართლის, ყოფილი ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრს, ქართველი ხალხის ისტორიულ სამშობლოს, სულიერი და მატერიალური კულტურის აკვანს წარმოადგენს, – მიმდინარე პროცესებს სარკ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საზღვარგარეთის მთელი რიგი სააგენტოები აშუქებენ, როგორც ეთნოკონფლიქტს, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკის ახალი მთავრობა ცდილობს ოს ხალხს ეროვნული ავტონომია წაართვას. ეს სიცრუეა და მონაგრნი, რომელსაც თან ახლავს ცენტრი. ტელევიზიის მიერ ფალისიფიცირებული ვიდეოინფორმაცია, რომელიც მიახლოებითაც კი ვერ ასახავს რეალობას.

სინამდებილეში შიდა ქართლში მიმდინარეობს ცენტრის – საკავშირო მთავრობის გამოუცხადებელი ომი რესპუბლიკისათან, რომელმაც უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს „განახლებული ფედერაციის“ შექმნაში და ხელი მოაწეროს სამოკავშირეო ხელშეკრულებას. სწორედ ოს ბიუროკრატიაზე დაყრდნობით, რომელმაც მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია 1922 წლს უკანონოდ შექმნილ ავტონომიურ ოლქში, ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“, ცდილობს დღეს ცენტრი ხელფეხი შეუბორკოს 1921 წ.

საქ. უზენაესი საბჭოს მიმართვა



დალით წარმეული სრული სახელმწიფო დამოუკიდებლური სახელმწიფო დაგენისაკენ მიმაგალ ქართველ ხალხს.

ოსი მოიერიშეების მოქმედებაში ცენტრის აქტიური მონაწილეობა აშკარაა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ რეგიონში განლაგებული სსრკ შინაგანი სამინისტროს ჯარები ხელს უწყობდნენ მათ თავდასხმებს ქართ. მილიციასა და მშვიდობიან მოსახლეობაზე, ხოლო უახლესი ტიპის იარაღით, რაკეტებითაც კი, მოიერიშეები რეგიონში განლაგებული სამხედრო ნაწილიდან მარაგდებიან.

ოსი ექსტრემისტების, საჯარისო დანაყოფებისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, განსაკუთრებით კი სსრკ ცენტრალური ზონის კოორდინირებული მოქმედება იმას მოწმობს, რომ საქ.-ს რესპუბლიკას დილემის წინაშე აყენებენ – ან ხელი მოაწეროს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ანდა დაკარგოს შიდა ქართლისა და აფხაზეთის ოდითგან თავისი ტერიტორიები.

როგორც მდგომარეობა გვიჩვენებს, აფხაზეთში კგბ-ი იკვეთება ახალი კონფლიქტი, რამდენადაც ამ რეგიონში საქ.-ს რესპუბლიკის მთავრობის შეუტყობინებლად რამდენიმე ასეული მედესანტე გამოჩნდა. საქ.-ს კრემლის მხრით ემუქრება მასობრივი სისხლიანი რეპრესიები, რომელთა პროპაგანდისტულ მომზადებას ემსახურება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ გაჩაღებული ზემოაღნიშნული ანტიქართული კამპანია.

ყველანაირად იჩქმალება ის ფაქტი, რომ საქ.-ს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნას და, ამრიგად, საქ.-ს ნაწილის „ოსეთად“ მონათვლას (მაშინ როდესაც ნამდვილი ოსეთი საქ.-ს გარეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს) არც ისტორიული, არც სამართლებრივი, არც მორალური საფუძვლები არ გააჩნდა და და მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა – შეექმნა საქ.-ს ტერიტორიაზე პოლიტიკური პლაცდარმი რუსეთის კომპარტიისათვის, რომელიც მანამდე ასებს საქ.-ს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდა საქართველოში.

გასაკვირი არ არის, რომ დღესაც ასი კომუნისტი ტერორისტების ანტიქართული პუტინი შიდა ქართლში მიმდინარეობს



სკპ იდეალებისადმი ერთგულებისა და საბჭოთა კავშირის შემსრულებელი ნლობაში დარჩენის პოლიტიკური ლოზუნებით.

ქართველი ხალხი მზად არის დაიცვას როგორც თავისი სახელმწიფო ებრძოცები დამოუკიდებლობა, ასევე ტერიტორიული მთლიანობა.

ცნობს რა შიდა ქართლის ოსი მოსახლეობის—ეროვნული უმცირესობის უფლებას სრულ ეროვნულ-კულტურულ აკტონომიაზე, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დაწესებული ნორმების ერთგული საქართ. რესპუბლიკის მთავრობა არ დაუშვებს, რომ საქ.-ს ტერიტორიის ფარგლებში მათ ჰქონდეთ აკტონომია ან სახელმწიფოებრიობის პრეტენზიის მქონე სხვა წარმონაქმნის.

საქ.-ს მთავრობამ უკვე წამოაყენა შიდა ქართლში კონფლიქტის მოსაგარებლად მთელი რიგი წინადაღებანი. მათგან მთავარია სისხლის ღვრის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ყველა შეიარაღებული ფორმირებების განიარებება. ამან უნდა უზრუნველყოს მოლაპარაკების დაწყება შიდა ქართლში მცხოვრები ყველა პირის და, უწინარეს ყოვლისა, ოსი მოსახლეობის წარმომადგენლობა სრული უსაფრთხოების პირობებში, რომლებთანც გაიმართება მოლაპარაკება შიდა ქართლის ოსი მოსახლეობის სტატუსის საბოლოო მოწესრიგებისათვის.

მიუხედავათ ამისა, საბჭოთა არმიის მხარდაჭერით მოიკრიშების მოქმედება კვლავ გრძელდება და თან სულ უფრო ინტენსიური ხდება, ასეთ პირობებში კრემლის მიერ საქ.-ს ტერიტორიიაზე დესტაბილიზაციის ახალი კერძების შესაქმნელად მიღებული ზომები შეიძლება განხილული გრძელებას მხოლოდ და მხოლოდ როგორც საქ.-ს წინააღმდეგ მიმართული აგრესია.

შექმნილ ვითორებაში საქ.-ს რესპუბ უზენაესი საბჭო მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს შიმართავს შემდეგი მოწოდებით:

1. დაუყოვნებლივ შეიქმნას კომპეტენტური საერთაშორისო კომისია გაეროსა და ევროპარლამენტის ექსპერტების მონაწილეობით ადგლობილი სინამდვილის შესასწავლად, რათა ფართო საზოგადოებრიობამ უტყუარი ინფორმაცია მიიღოს საქართველოში მიმღინარე მოვლენებზე.

2. დახმარება გაეწიოს საქ.-ს რესპუბლიკას ყველა იმ საშუალებით, რაც კი საერთაშორისო სამართლით არის გათვალისწინებული სუვერენული სახელმწიფოს ნებისმიერი ფორმის აგრესიისაგან დასაცავად.

საქ. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ჭ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა.



მიტინგი კინოს სახლთან

უკრაინული
უბრუნველებელი

23 თებერვალს თბილისის კინოს სახლთან გაიმართა მიტინგი, რომელიც მოაწყვეს საქ.-ს ეროვნულ კონგრესში გაერთიანებულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა აქ გამოსულმა თორნიკე ფიფიამ, ირაკლი წერეთელმა, გორგავი ჭანტურიამ, თემიტურაზ სუმბათაშვილმა და სხვებმა თქვეს, კერძოდ, რომ საჭიროა ოფიციალურად განისაზღვროს საქ.-ში მყოფი საბჭოთა არმიის ნაწილების სტატუსი, დაუყოვნებლივ გაიყვანონ ისინი რესპუბლიკის ტერიტორიიდან. გამოითქვა აგრეთვე მოთხოვნა ამ დღეებში დაპატიმრებული „მხედრონის“ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა განთავისუფლების შესახებ.

მიტინგზე გამოვიდნენ და საბჭოთა არმიის სისხლიანი მოქმედება გააკრიტიკეს სტუმრებმა – ბალტიისპირეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, თურქების, სხვა რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმომადგენლებმა.

კინო სახლთან მიტინგის დამთავრების შემდეგ მისმა მონაწილეებმა შეცვალეს თავიანთი თავდაპირველი განზრახვა – მისულიყმნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან მომიტინგეთა ნაწილი პროსპექტით მთავრობის სახლთან მივიდა.

“ურაბ გრძელიშვილი“
საქინფორმის კორ.

(გაზ. „ერთი“ 1991 წ. 27 თებერვალი)

*** *** *** *** ***

ა. წ. 25 იანვრის გაზ- „ვაშინგტონ-პოსტ“ – იდან:

მ ე ლ ო რ ს ტ უ რ უ ა: „ლ ი ტ ვ უ რ ი დ ო მ ი ნ ა“

ლიტვაში, კვირა-დღის სისხლიან ვითარებას მოჰყვა შეკითხვების ნიაღვარი: მან გასცა თუ არა ბრძანება? მან ეს იცოდა თუ არა? ის იყო ფხიზელი თუ ეძინა? და სხვა. „ის“, რა თქმა უნდა, არის მიხეილ სერგის ძე გორბაჩივი–საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და ნობელის სახელმისამართის დამშვიდობო პრემიის ლაურეატი.

მის შესახებ ზემოდ წამოყენებული ყველა შეკითხვა იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ იმავე დროს უაღრესად შეუსაბამო. შეკითხვები იყენენ შეუსაბამო, რაღვანაც დღეისათვის ყველასათვის ცნობილია პასუხი, მაშინაც კი თუ არ იციან სპეციფიურად სად, როდის და რა. ეს პასუხი გორბაჩივმა გადასცა ლიტვის ყოფილ პრემიერ მინისტრს კაუიმიერა პრუნსკიენეს: „წაბრძანდით უკან სამშობლოში და



აღალგინეთ წესრიგი“, განუცხადა მას გორბაჩივმა, „საჭიროა მოვალეობის გო შემთხვევაში მე ვიქნები ვალდებული, რომ ეს საქმე პირადად მოვაგვაროვ“. მან ეს გააკეთა.

გააკეთა კი? სისხლიანი კვირა არ იყო გათვალისწინებული მხოლოდ ლიტერატურა შესაზღუდავად. ლიტერა მხედველობაში იყო მიღებული, როგორც პირველი ლომინო გადაჯაჭვებული სხვა რესპუბლიკების შეზღუდვებთან: ლიტერა დასჯაში მოსკოვს აზრად ჰქონდა სხვების დაშინებაც. მაგრამ, დაშინების მავივრად, სისხლიანი კვირა-დღის ვითარებიდან წარმოიშვა იმედი. ამისთვის მრავალი მიზეზი არსებობს. რა თქმა უნდა, მთავარია თვით ლიტერატურის გამბედობა. შემდეგია, სისხლიანი კვირის ვითარებისაგან წარმოშობილი გულისწყრომა თვით საბჭოთა კაგშირის შიგნით და უცხოეთში. აგრეთვე არსებობს თვით მიხეილ გორბაჩივის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

გორბაჩივის პოლიტიკური გამოსახულების ყველაზე დამახასიათებულია მისი გადაუწყვეტელობა. ის ერთასოდეს ამთავრებს მის საქმეს. უმნიშვნელო, ეს საქმე არის პროგრესული თუ რეაქციული. მან დაიწყო დემოკრატიზაცია, მაგრამ ყოყმანობს რომ ის გადაიყვანოს დემოკრატიაში, შემდეგ მან დაიწყო დემოკრატიზაციის უკან დახუცა, მაგრამ ამჟამადაც ყოყმანობს რომ წინ წამოსწიოს დიქტატურა. ის ყოველთვის შუალედში იმყოფება, რადგან ის არის ტრანზიტული. სწორედ ამიტომ გამოიყურება ისე, რომ თითქოსდა ყველა იბრძვის გორბაჩივის წინააღმდეგ. სინამდვილეში ყველა იბრძვის გორბაჩივის სასარგებლოდ (პრეზიდენტ ბუშის ჩათვლით) და გორბაჩივისათვის. დღეს დღეობით, სამწუხაროდ, რეაქციონური პარტიის ბიუროკრატია და სამხედრო წყობილება იმარჯვებს ბრძოლაში.

მისი გადაუწყვეტელობის გამო, გორბაჩივი დიდი ოსტატია ნახევარი ზომებისა. მიწების ნაწილობრივი განკერძოება, ნაწილობრივი დაწესება თავისუფალი ბაზრის ეკონომიკისა, მანეთის ნაწილობრივი კონვერსიონება, პრესის ნაწილობრივი თავისუფლება და, აგრეთვე, ნაწილობრივად დაშვება მრავალპარტიული სისტემისა.

მაგრამ არსებობს ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი მის გადაუწყვეტელობაში: საბჭოთა კაგშირის ხელუხლებლობა. გორბაჩივი თავის თავს ხედავს როგორც ზეძლიერი ქვეყნის პრეზიდენტს და სხვადარაფრად. ყველა ვინც კი ემუქრება იმპერიის ერთიანობას, მის მიერ მხედველობაშია მიღებული როგორც მისი პირადი მტერი, ამიტომაც არის ის მოუქნელი, არარესპექტული და ამდენად მოუთმენელი, უზრდელიც კი დამოუკიდებლობის მოძრაობების ლიდერებთან გარი-

მ ე ლ ო ო ს ტ უ რ უ ა: „ლიტერატო დომინო“

თ ხ რ ი ც ე ც ე ბ ი

გებაში. ისინი ამას გრძნობენ და სამაგიეროს გადახდით პასუხიშემცველი შემთხვევითი არ არის, რომ წარმოდგენა კორბაზიგზე არასოდეს არ იღდა მაღალ დონეზე რესპუბლიკებში. 1989 წლის გაზაფხულზე თბილისში თავდასხმების შემდეგ ყველაფერი იღონეს, რომ მასში გორბაჩივის მონაწილეობა მიერქმალთ. ეგორ ლიგაჩივმა, რომელიც მოქმედებდა წესით, თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა. მაგრამ მათ ვერავინ მოატყუეს. როდესაც ლიგაჩივი იქნა განწირული, მან აღიარა სიმართლე. გორბაჩივსა და ლიგაჩივს შორის დაპირისპირებისას, იმ დროს საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტს მიექცხო. ეს იყო შევარდნაძის უკანასკნელი ასეთი მოქმედება. მან იცოდა, რაც იყო მოსალოდნელი, მან იცოდა, რომ რესპუბლიკათა დომინოს თამაში მხოლოდ იწყებოდა და არ სურდა, ასეთი რამის მონაწილე ყოფილიყო განმეორებით. მან დასტოვა სალაშერო ეტლი, რომელიც დოქტატურისკენ მიემართებოდა.

შევარდნაძემ, გარდა თავდაცვის მინისტრ მარშალ იაზოვისა და ამერიკის ცენტრალური დაზერგვის სააგენტოსა, ყველაზე უკეთესად იცოდა, თუ რამდენი ტანკი დარჩა საბჭოთა კავშირს. მან იცოდა, რომ ეს ტანკები არ იყვნენ მიმართულნი პრაღის, ბუდაპეშტის და ბერლინისაკენ, არამედ ვილნიუსის, თბილისისა და რიგისაკენ. მან იცოდა, რომ ახალი პოლიტიკური აზროვნება მხოლოდ საექსპორტო იყო და უარყოფდა ბრუნევის დოქტრინას ადგილობრივად გამოსაყენებლად. სწორედ ამიტომ გადადგა ის.

ამჟამად, დასავლეთი ლრმა შეშფოთებაშია და ბჭობს, თუ როგორ დაეხმაროს საბჭოთა კავშირში დემოკრატიას. რეცეპტი დევლებური და ადვილად საწინასწარმეტყველებია – კვინომიყურად დასჯა. მაგრამ ეს მუდამ იყო და იქნება უძლური. მხოლოდ ერთი ნამდვილი საშუალება არსებობს იმ რესპუბლიკების დასახმარებლად, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან: მიღებული იქნენ ისინი როგორც ასეთნი, იქნენ ცნობილნი როგორც სუვერენული სახელმწიფონი. მხოლოდ მაშინ იქნება იძულებული მოსკოვი, რომ გამოიყენოს ახალი პოლიტიკური აზროვნება მათ მიმართ და დაივიწყოს ტანკები და ბრუნევის დოქტრინა.

ეს იყო კვაკუთხედი რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის ინიციატივისა, როდესაც ბალტიისპირეთის სამ რესპუბლიკასთან ერთად მან წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნით, რომ დაუყოვნებლივ მოიწვიოს ბალტიისპირეთის კრიზისზე კონფერენცია, რომ ეს რესპუბლიკები იყვნენ მხედველობაში მიღებულნი არა



როგორც საგნები შეზღუდვებისა, არამედ როგორც სუბიექტის ერთაშორისო სამართლისა და როგორც წევრნი საერთაშორისო ერთობლიობისა. ამ იდეის მიღებით ლიტვა დაამტკიცებს, რომ ის არ-ის პირველი დომინო, რომელიც დაამხობს ტოტალიტარულ იმპერიას, რომლის ნაწილებიდან აღსდგება ახალი გაერთიანება დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა.

მელორ სტურუა
ლადო ბაბიშვილმა

ინგლისურიდან თარგმნა

* * *

მ ე ლ ო რ ი ს ტ უ რ უ ა:

„მე ვარ ჩემს ხალხთან“

გაზაფხულის თბილი საღამო იყო. მამაჩემი და მე, თბილისში, ჩვენი სახლის აივანზე ვისხედით. მთელს ქალაქს ჩვენს წინ გამოეფინა მისი დაუვიწყარი მშვენიერება. მტკვარს თითქმის ორ თანაბარ ნაწილად გაეყო ქალაქი. იმ დროს მტკვარი იყო სულთა, როგორც ბავშვის სიზმარი. მტკვარში შეგეძლოთ ცურვა, გეთევზავა და გეჭა-მათ კიდეც იქ დანაქერი თვეზი.

მოულოდნელად მამამ მითხრა: „იცი რა შვილო, ჩვენი ოჯახის ისტორია მსგავსია მონტაგუესა და კაპულეტების, იმ განსხვავებით რომ დასასრული უფრო მხიარულია“. არ ვიცი რამ გამოაღვიძა მამაჩემის მოგონებები. შესაძლოა, მტკვრის მიერ ორად გაყოფილმა ქალაქმა? მაგრამ ჩემთვის ნათელი იყო, ყოველშემთხვევაში, თუ რა ხდებოდა მის აზროვნებაში.

მამაჩემი და მისი ძმა იყვნენ სოციალ-დემოკრატები და შემდეგ კი ბოლშევიკებს შეუერთდნენ. დედაჩემი და მისი ძმები ეკუთვნონ-დენ გალარიბებულ ქართველ კუთილშობილებს. მამაჩემი და მისი ძმა იბრძოდნენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ, დედაჩემის ძმები ოფიცირუბი იყვნენ რუსეთის იმპერიული არმიის. მაგრამ ნამდვილი დაპირისპირება დაიწყო, როდესაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. მოსკოვმა დაარღვია საქ. -ს მენშევიკურ მთავრობასთან დადებული შეთანხმება და საქართველოს დასაბურობლად წითელი არმია გამოგზავნა. მამის მხრიდან ჩემმა ბიძებმა შემოუტიეს დედის მხრიდან ჩემს ბიძებს, რომლებიც საქ. -ს იყავდნენ. ძალები იყვნენ არა თანაბარი. კიროვმა და ორჯონიქიძემ, რომლებიც მეთაურობდნენ წითელ არმიას, ლენინს გაუგ-

მელორი სტურუა: „მე ვარ ჩემს ხალხთან“



უკრაინული

ზავნეს კარგად ცნობილი ტელეგრამა: „თბილისში წითელი ფლიტი გადასაცილებელი და მათთან კავშირი გაწყვეტილი დაბადებამ შეარბილა მათ შორის ურთიერთობა, მაგრამ არცერთ ოჯახს არ უცვნია მეორე როგორც მეგობარი. ორივე მხარე ცდილობდა, ჩემთვის განუმარტა საკუთარი იღები და მე თავს ვგრძნობდი ჯვარცმულად, მათ იდეოლოგიურ ჯვარზე.“

როდესაც დრო დადგა, რომ ვინმე უნდა შემყვარებოდა, მე მიკუვი ჩემი მშობლების ნაკვალევს, იგი იყო რუსი გოგონა. არც ჩემი და არც მისი ნათესავები არ იყვნენ გახარებული ამ ქორწინებით. მხოლოდ ჩემი პირველი ვაჟიშვილის დაბადებას მოჰყვა, თუმცა არა მშვიდობა, ზავი მაინც. სხვათა შორის, ჩემი მეულლის მშობლებსაც მსგავსივე პრობლემა გააჩნდათ: მისი მამა იყო უდრევი ბოლშევიკი და დედა კი პირდაპირი შთამომავალი თავად ზუბოვისა, რომელმაც მოაწყო სასახლეში გადატრიალება, რომლის შედეგადაც ეკატერინე დიდი ავიდა რუსეთის სამეფო ტახტზე, ხოლო ზუბოვი მრავალი წლის გინძავლობაში მისი საყვარელი. მიუხედავად ყოვლისა, მე ყოველთვის თავს ვგრძნობდი ჯვარცმულად და გაგლეაჯილად ჩემს ოჯახსა და სამშობლოს შორის.

მოსკოვში, ჩემს საწერ მაგიდაზე დევს წიგნი: „ქართლის ცხოვრება“. ეს არის საქართველოს ისტორია, ნაწერი მრავალი ძველი ქრისიკისისა. როდესაც შე პირველად წაგიკითხე ეს წიგნი, ჩემი ბავშნიკოსისა. როდესაც შე პირველად წაგიკითხე ეს წიგნი, ჩემი ბავშნიკოსისა. რატომ მისცეს ძეველმა იტორიკოსებმა წიგნს ასეთი სახელი? ისინი სწერდნენ არა საქართველოს ცხოვრებაზე, არამედ ხალხის განუწყვეტილ ხოცვაზედ: მონლოლების, თურქების, სპარსელების, რუსებისა და სხვების მიერ. მამამ მითხრა: „ისინი მათ ქორნია, კებს სისხლით სწერდნენ.“ საჭ. -ს ერთ-ერთმა უდიდესმა მწერალმა, კონსტანტინე გამსახურდიამ განაცხადა, რომ მას უჯავრება ის ჯვარი, რომელიც საჭ. -ს ძეირი დაუჯდა. ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად დაწესდა მეოთხე საუკუნეში. შემოფარგლულია რა დიდი მაპმადიანი მგლების მიერ, ჩემი სამშობლო გინუწყვეტლივ იმში იყო, ან იყო დაპყრობილი. მე-18 საუკუნის დასასრულში მეფე ერებლე იძულებული გახდა, რომ ორი ავიდან ერთი ნაკლებად ავი აერჩია და ქ. ვიორგიესკუში იმპერიალურ რუსეთთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებაზე.“

მხოლოდ ორიოდე წელი დასჭირდა პეტერსბურგს, რათა დაუკიდა გაორგებსკის ხელშეკრულება და ჩემი ქვეყანა ექცია რუსეთის პროვინციად.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, საქ-ს დამოუკიდებლობა მოკლე ხნიანი გამოდგა—მხოლოდ სამახეევარი წელი. გაწითლებულმა საქართველომ სცადა, რომ დამოუკიდებლობა შეენარჩუნებია ახალი სისტემის ქვეშ, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს ქართველმა ბოლშევიკებმა. სტალინმა გათელა მათი იმედება, ქართ. ბოლშევიკებმა სცადეს, ლენინი გაეფრთხილებით, მაგრამ ლენინი მძიმე ავადმყოფი იყო და არ შეეძლო ქართველების სასარგებლოდ ებრძოლა, სამაგიეროდ, მას სურდა, ეს ამოცანა ტროცკის მოეყვანა სისრულეში, მაგრამ ტროცკიმ არ ისურვა ამ პასუხისმგებლობის თავზე აღება „ცუდი ჯანმრთელობის“ მომიზეზებით. რისი გაკეთებაც ლენინს შეეძლო, იყო წერილის დაწერა, რომელშიც მკაცრი სიტყვებით დაგმო რუსული შევინიზმი.

ასე, რომ ორჯერ საქ. - ს ისტორიაში, ერთხელ იმპერიალურმა პეტერბურგმა და ერთხელ საბჭოთა მოსკოვმა დაარღვიეს საქ. - სთან ხელშეკრულება. ზოგი ფიქრობს, რომ რაღანაც სტალინი იყო ქართველი, ის უფრო რბილად ეპყრობოდა მის თანამემამულებს. პირი იქნით, მას ქართველები სძულდა უფრო მეტად, ვიდრე საბჭ. კავშირის სხვა რომელიმე ერთი. (გავიხსენოთ როგორ ეჯავრებოდა ნაპოლეონს კორსიკელები!) თუ კი საბჭ. კავშირის რომელიმე ნაწილში წმენდა ბი მიმდინარეობდა, ასე ვთქვათ, ხელდახელ, საქართველოში მას განსაკუთრებულ მიზანში ყავდა აყვანილი: ძველ ბოლშევიკთა გვარდია, რომლებიც სტალინს იცნობდნენ და მას შეებრძოლნენ, რათა შეენარჩუნებიათ საქ. - ს ავტონომია, მწერლები და მეცნიერ მუშაკები, ზოგადად შემომქმედი ინტელიგენცია.

ქართველების უკანასკნელი ცდა, რომ დამოუკიდებლობის ნაწილაკი მაინც შეენარჩუნებიათ, მოხდა, როდესაც წინ აღუდგენ ბერიას საქართველოს კომპარტიის მეთაურად გახდომას. ისინი დამარცხდნენ და მძიმე საფასურიც გადაიხადეს. ამ საქმეში ჩარეცლი თთოვების ყველა დახერიტეს ან გადაასახლეს. მამაჩემს „ბედი ეწვია“ — ის მხოლოდ გადააყენეს საქ. - ს პრეზიდენტის თანამდებობიდან.

მე მცნი, არამორალურია საანგარიშო მანქანის გამოყენება, რათა გამოვთვალოთ ან ერთმანეთს შევადაროთ დახოცილთა საერთო

მელორი სტურუა: „მე ვარ! ჩემს ხალხთან“



რიცხვი, მაგრამ მხოლოდ აღრიცხვის მიზნით უნდა ვთქვა, რომ მისი მოსახლეობის უფრო მეტი დაკარგა, ვიდრე საბჭო კავშირის სხვა რომელიმე რესპუბლიკამ.

ძალაუფლებაში ხრუშჩინვის ყოფნისას და მისი ცნობილი ლხობის დროსაც კი, საქ.-ს ისტორია სისხლიან ქრონიკას წარმოადგენდა. 1956 წელს, როდესაც უნგრეთში რევოლუცია და ნოვოჩერკასკში მუშაობა ჯანყი იქნენ ჩახშობილი, თბილისში ადგილი პქნდა სისხლის ღვრას. მრავალი სტუდენტი მოჰკლეს ჩემი სამშობლო ქალაქის ქუჩებში. როგორი თავნებობა იყო ეს! მათ სურდათ მათი ერთგულების გამოცხადება ეროვნული ფესვებისადმი, სტალინის გამოსახულების დაცვით, რომელიც დაამსხვრია პიროვნებათა კულტის საწინააღმდეგოდ ხრუშჩინვის კაპიანიამ. მხოლოდ ისტორიას შეუძლია წარმოშვას ასეთი სახის მრუდე დრამა.

კვლავ დავუბრუნდეთ 1956 წელს. ერთ დღეს მამა ოვანზე იჯდა, იმავე აივანზე, სადაც მე მომიყვა როგორ და ჯულიეტას „კეთილი“ დიასასრული, როდესაც საკუთარი თვალებით დაინახა ციც-სისხლიანი ულერა ქართველი მცირეშოვანებისა საზარელი მეექვსე პოლკის მიერ, რომელიც მხედველობაში იყო მიღებული, როგორც პროფესიონალური მკვლელების შემადგენლობა. მამა, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი კაცი, რომელიც გადაურჩა წლების განმავლობაში ცამბირში მუფის ხელისუფლების დროს პატიმრობას, არ ეშინოდა სტალინის უკაყაფილო ხასიათის, — გაანადგურა ამ მასობრივი მკვლელების სანახობამ. რამდენიმე დღის შემდეგ ის გარდაიცვალა ინფაქტისაგან.

ჩვეულებრივად აპრილი უმშვენიერესი თვეა თბილისში, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ 1989 წელს ქართველების დახმარების შემდეგ, ქრონიკოსები „ქართლის ცხოვრებაში“ არასრუს მოხსენიერების არის, როგორც საუკუთხესო დროს საქართველოში. სინამდვილეში ის დაიწყო 1988 წლის შემოდგომაზე. მე მახსოვს ბუნდოვნად და ყოველთვის მემახსოვრება ეს ცივი შემოდგომა. მე თბილისში მიმიპატიუებს საქ.-ს დედაქალაქის საპატიო მოქალაქეობის ბრინჯაოს მედალის მისაღებად. მე უაღრესად ვამაყობდი. ეს მედალი ჩემთვის იყო ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიღრე სხვა რომელი მე ჯილდო, რომელიც მე მქონდა მიღებული ჩემი პროფესიონალური კარიერის 40 წ. განმავლობაში. ზოგი მათგანი მე დავიმსახურე,

***** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ განცხადება ზოგი არა მე მიჩინებია, ისინი არ ვატარო, რადგანაც მის მიერ განცხადების მინისტრი ბრეკევის ული სტაგნაციის სამარცხვინო პერიოდს.

კი მაგრამ, დავიმსახურე მე თბილისის საპატიო მოქალაქეობა? მქონდა მე უფლება, რომ „კი“ მეთქმა? ჯილდოს გადაცემის ცერემონიის შემდეგ მე გავემართე რუსთაველის პროსექტზე მთავრობის სასახლისაკენ, სადაც სტუდენტებს მოეწყოთ შიმშილობით გაფიცვა. ისინი გარშემორტყმული იყვნენ ხალხმრავლობით. ხალხმა მიცნ და გზა დამითმეს, რომ სტუდენტების შუაში გამევლო. ისინი გაიძახონ-ნენ: „ბატონო მელორ, თქვენ ხედავთ აქ რაც ხდება, ჩადით მოსკოვში და დასწერეთ ამის შესახებ“. მე ავტირდი ... როდესაც ჩავედი მოსკოვში და ვცადე სტატიის გამოცემა თბილისის შიმშილით გაფიცვაზე, მიზანს ვერ მივაღწიუ. მოსკოვში ან თბილისში არცერთი გაზეთი ვერ ბედავდა იმ დროს ასეთი საკითხის გამოქვეყნებას. იმ დროს „საჯარობა“ ვერ წვდებოდა ამოდენა სივრცეს.

ახლა კი, საუბედურო 1989 წლის პრილი. გორბაჩივი სტუმრად იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში და მეც გავემგზავრე ლონდონში, რომ გორც მისი ამალის წევრი. ზუსტად იმავე დროს, როდესაც ჩვენი თვითმფრინავი ტოვებდა ჰიტროუს აეროპორტს გზად მოსკოვისკენ, ელეტა დაიწყო რუსთაველის პროსექტზე. კალენდარზე ნაჩვენები იყო 9 პრილი. მეორე დღეს იყო ჩემი დაბადების დღე. ჩემს მეუღლეს უკვე დაგზავნილი ჰქონდა მოსაწვევი ბარათები და კვლავერი მომზადებული საზემოდ. მაგრამ ზეიმის მაგივრად ჩვენ ვგლოვობდით.

მე გამოვტოვებ დეტალებს პრილის ელეტისა და რამდენიმე კომისიის, მათ შორის საქართველოს და საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოების კომისიისა, ამ უბედურების დღეზე. ეს დასკვნები კარგად ცნობილია დასავლეთის ხალხისათვისაც. მე დავწერე კიდევ ერთი სტატია, რომელიც გმობდა იმ ულმებელობას, რომლითაც დაშალეს თბილისში დემონსტრაცია. კვლავაც, არც ერთმა გაზეთმა მოსკოვში ან თბილისში ვერ გაბედა მისი გამოქვეყნება. ბოლოს და ბოლოს ახორციელდების ერთმა ქართულმა გაზეთმა გაბედა ცენზურისადმი წინააღმდეგობა და ჩემი სტატია გამოაქვეყნა.

გასული წლის პრილში სისტლი, რომელიც დაიღვარა თბილისში, არ დაღვრილა ამაოდ. მან დააჩქარა ქართველი ხალხის პოლიტიკური დაასაკება. ამის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს საქ. -ს პარლა-მენტის ახლანდელი გადაწყვეტილება ჩემი სამშობლოს დამოუკიდებლობაზე და მე მას მხარს ვუჭრ სულითა და გულით. მაგრამ საკ-

მარისია მოსკოვში და ვაშინგტონში ჯდომით მათდამი მხარედი მოიხდია. დიდი ხანი არ არის, რაც მივიღე საჭ-დან ცნობა იმაზე, რომ გა-ზემა „თბილისმა“ გამოაქვეყნა ჩემდამი ღია წერილი. მე არ მიმი-ლია ეს გაზეთი, მაგრამ კარგად ვიცი ამ სტატიის ძირითადი არის. მისი საბოლოო შეკითხვაა: ვის მხარეზე ბრძანდებით ბატონო სტურ-უა? შეკითხვა უბრალოდ გამოიყურება, მაგრამ ის არ არის უბრალო. ის წაგავს ჯვარს და მე კვლავაც ჯვარუმულად ვგრძნობ თავს, იმ-ის ცოდნის გარეშე, მეცუთვნის თუ არა აღდგომა.

იმედი მაქს, რომ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ასლი უფრო სიჩქა-რით მიაღწევს საქართველომდე, ვიდრე გაზეთი „თბილისი“ აღწევს ვაშინგტონამდე. მე არ შემიძლია ჩემი შვილებისა და შვილიშვილ-ბისაგან გამოვყო ქართული ნახევარი. ეს მათი პირადი გადაწყვეტი-ლების საქმეა. მორალურად მიუღებელია ერთი ინდივიდუალობის და-ძალება მეორეზე. მაგრამ, რაც პირადად მე მეხება, ჩემი პასუხი იმდენადე უბრალო და როულია, როგორც ჩემთვის დასმული შეკი-თხვა – მე ვარ ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხის მხარეზე.

მთარგმნელის შენიშვნა.

1990 წ. 18 თებერვალს, გაზ. „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნდა ცნობილი საბჭოთა კომენტატორის, წარმოშობით ქართველის, მელორ სტურუას სტატია სათაურით: „საბჭოთა საქართველო: მე ვარ ჩემს ხალხთან“. ბ-ნი სტურუა გაზ. „იზვესტიას“ პოლიტიკური კორესპონ-დენტია უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში. ამჟამად ის მიღინებულია ერთი წლით ვაშინგტონში არსებულ საერთაშორისო მშვიდო-ბისათვის კარნევის ფონდის თანამშრომლად.

მისი ეს სტატია, როგორც ისიც ამბობს, პასუხია გაზეთ „თბი-ლისში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე. როგორც მისი პასუხი იყო დაგ-ვიანებული, ასევე ჩემნა მისი თარგმნა დაგვიანებულია, მაგრამ მე მას ვთვლი მნიშვნელოვნად ყველა ქართველისთვის. მნიშვნელოვნად იმისათვის, რომ ყოველმა ქართველმა, როგორც ბ-ნი სტურუა ამბო-ბს, ვისგანმე დაუძალებლად გამოიტანოს დასკვნა და განსჯა. მნიშვ-ნელოვანია იმიტომაც, რომ ბ-ნა სტურუამ მისი ამ სტატიით სხვა-ბს თუ არა ვაშინგტონს მაინც ნებით თუ უნებლივთ გააცნო გულ-წრფელად და სიმართლით ქართული ისტორიის პაწაწინა ნაწილი მა-ინც. პირადა მე ნაირამოვნები დაგრჩი ბ-ნი მელორის სტატიით და იმედი მაქს: როცა ის ამბობს: „მე ვარ ჩემი ქვეყნისა და ხალხის

ო რ ი ც ხ ე ლ ი
მ ა ბ ი შ ვ ი ლ ი

მარჯები", ის გულსხმობს საქართველოს და ქართველების კიბილი ბაბიშვილი

* * *

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: სტურუა მელორ გიორგის -ძე დაბ. თბილისში 1928 წ., 1949 -ში დაამთ. მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის ინსტ., იმავე წელს სამსახურს იწყებს გაზ. „იზვესტიაში“ ჯერ ლიტმუშაკად, შემდეგ საერთ. ურთიერთობათა განყოფილების რედაქტორის მოადგილედ. 1964 - 68 წწ. და 1972 - 77 წწ. „იზვესტიის“ საკუთარი კორესპონდენტია ინგლისში, ხოლო 1968 - 72 წლებში იგივე გაზეთის საკ. კორ. აშშ -ში. 1977 - 82 წწ. იგი ინიშნება „იზვესტიას“ საკორესპონდენტო პუნქტის გამგედ აშშ -ში და 1982 წლიდან – „იზვესტიას“ საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორად და სარედაქციო კოლეგიის წევრად. ბ. მ. სტურუა ავტორია რამდენიმე წიგნისა, იგი დაჯილდოვებული იყო 2 შემომის, წითელი ღროშის და ხალხთა მეგობრობის ორდენებით. ქ. ს. ე.

მხოლოდ მცირედი შენიშვნა

ორმოცი წლის საბჭოთა პროპაგანდაში სამსახურს არ შეიძლებოდა კვილი არ დაემჩნია ბ. მ. სტურუას ფსიქიკაზე. ამიტომ მისი ერთი შეხედვით ლირიკულ-სათავგადასავლო სტატია მთლად უმანკო არ არ ის. 1921 წლის ომის უცოდინარ „ვაშინგტონ-პოსტის“ მკითხველს მისი სტატიის შემდეგ შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა ქართველ „დეთილშობილებსა“ და ქართველ პროლეტარიატს შორის, რომლებმაც გაიმარჯვეს და რომ ესთა წარმომადგენლები იყვენ ბ-ნ მელორ სტურუას ბიძები, მამის შხრიდან. ბ-ნი მელორი მაშინაც სცოდავს, როცა საქართველოს დახელმწიფოებრივობის გაუქმებას მხოლოდ სტალინს ადებს კისრად, ხოლო კეთილმა ლენინმა ვითომც ავალმყოფობის გამო ველარ მოახერხა ქართველების დაცვა სტალინისაგან. საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება 1922 წელს დამთავრდა, როცა ლენინი სრულიად ფლობდა მის გონებრივ და ფიზიკურ საშუალებებს. მისი უკმაყოფილება სტალინით ერთი წლის შემდეგ დაიწყო და სარჩულად სულ სხვა ედვა მას. და ბოლოს ერთიც: „ზუსტად იმავე ღროს, როდესაც ჩვენი თვითმფრინავი სტოვებდა ჰიტლოუს აეროპორტს“, წერს ბ-ნი მელორ, „ულერია დაიწყო რუსთაველის პროსექტზე. კალენდარზე ნაჩვენები იყო 9 აპრილი“.

ნიკო ნიკოლაძის ერთი სიტყვა

43

ურუვებული

დღეს ხომ უდავოდაა ცნობილი, რომ ეს საბჭოთა ოფიციალურობის
უილი იყო და რომ გორბაჩივისა და მისი ამაღლის თვითმფრინავი,
რომელზედაც ლაპარაკია ბ. სტურუას სტატიაში, 24 საათით უფრო
ადრე მოფრინდა ინგლისიდან მოსკოვში. მაშ რაშია საქმე? საქმე
იმაშია, რომ ბ-ნი მელორ აქაც. საბჭოთა პრესის კორეპონდენტია,
საბჭოთა აღმინისტრაციის მაღალი მოხელეა და, რაც საყურად-
ღებოა: იგი დახვეწილი უურნალისტია.

რედ.

*** *** *** *** ***
III. ა რ ქ ი ვ ი დ ა ნ

ნიკო ნიკოლაძის სიტყვა

ნიკო ნიკოლაძე მეტად ცნობილი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მე
მინდა მისი ერთი სიტყვა მოგავინოთ, წარმოთქმული დამფუძნებელ
კრებაზე, 1919 წ. ოქტომბრის 31- მანამდე კი 1 პატარა გადახვე-
ვას გავაკეთებ. ნ. ნიკოლაძე მე პირადად გავიცანი კიათურაში, ჩუ-
მი იქ ყოფნის უკანასკნელ წლებში. იგი იყო არჩეული შავიქვის
მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების თავმჯდომარედ. ეს საზოგ-
ადოება წელიწადში ერთხელ იყრიბებოდა და განიხილავდა თავის
საკითხებს. მერე ირჩევდენ თავმჯდომარეს და ახალ გამგეობას.

ბევრი მწარმოებელი ნ. ნიკოლაძით არ იყო კმაყოფილი. მან თავ-
ის დასაცავად წარმოთქვა მეტად მჭრმეტყველური საუცხოო სიტყვა
(რომლის შინაარსი მამამ გადომიცა) და იქნა ხელახლა უმრავლესო-
ბის მიერ არჩეული. მან თავი შეადარა იმ ინჟინერს, რომელსაც
ამერ იმერეთს შორის გვირაბი გაპყავდა რკინიგზისათვის. მან გვი-
რაბის გათხრები ორივე მხრიდან ერთ და იმავე დროს დაიწყო და
და ეს მიმართულებები ერთმანეთს უნდა შეხვედროდენ; შეხვედრას
დააგვიანდა. ცუდმა ენებმა დაიწყეს ლაპარაკი: ინჟინერი შეცდა.
იმდენად იმოქმედა ამ იქვიანობამ საწყალ ინჟინერზე, რომ მან თა-
ვი მოიკლო. ცოტა ხნის შემდეგ გვირაბი ერთმანეთს შეხვდენ. ინ-
ჟინრის ანგარიში სწორი იყო. თქვენ გინდათ, უთქვახს ნიკო ნიკო-
ლაძეს, რომ მეც იგივე ჩამადენინოთ, რაც იმ ინჟინერს. დამსწრეთ
ბევრი უცინიათ და ნ. ნიკოლაძე ხელახლა აირჩიეს თავმჯდომარედ.

ახლა ის სიტყვაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელ-
ით. ბატონებო, მე დიდხანს არ დავიჭრ თქვენს ყურადღებას, ორი-



ოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ. ყოველთვის, როცა რომელიმე მუსიკის სიტყვის საკითხი დგება ჩვენ წინ, როგორც დღეს, ჩვენ პარტიულ განხეთქილებას, განყოფილებას და უთანხმოებას კიდებთ ხელს. ჩვენ კიდევ ვთვლით თავის-თავს და ერთმანეთს ძველ პარტიების ფარგლებში. ნუთუ დღესაც არა სჩანს თქვენთვის, რომ ძველი განყოფილება არის ანაქრონიზმი? დღევანდველ ჩვენ ცხოვრების სინამდვილეს არაფერნაირად არ შეეფერება ჩვენი პარტიული დანაწილება. ნუთუ რაიმე საფუძველი და გამართლება აქვს დღეს ჩვენს ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, რომელიც საყოველთაო არჩევნებზე არის დამყარებული, სოციალ-რევოლუციონერების და სოც-ფედერალისტების პარტიის არსებობას? (ლეო შენგელია: თქვენს პარტიას?) გინდ ჩვენს პარტიასაც! ყველა პარტიას დაუდგა დრო, რომ ჩატიქრდეს, სხვანაირად შეიმუშაოს პროგრამა და აწარმოოს თავის ძალები იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც ჩვენს გარშემოა. თორემ ის ძველი სახელები, ძველი განყოფილება, ძველი უკმაყოფილება ერთი მეორის წინააღმდეგ მარტო ნგრევის და არა შენების იარაღია. (გობეჩია: შევრიგდე!) აგრეთვე სრული უსაფუძვლოა ის საყვედური, რომლითაც ერთმანეთს მიერთოთ ხოლმე, როგორც მაგალითად ჩვენს პარტიას აბრალებენ, ვითომ ჩვენი დასის, ან კლასის, რომელიმე შესამჩნევი ძალა გარეოდეს, ან შესძლებოდეს გარევა იმ გამოსვლაში, რომელზედაც არის ლაპარაკი. ეს ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი იყო და ყოვლად შეუძლებელი მუდამ იქნება. თუ მართლა სიმართლეს ლაპარაკობთ და არა ტყუილ-უბრალიდ ბარაბანს უკრავთ, ფაქტები და სახელები მოიყვანეთ. გარწმუნებთ სრულიად შეუძლებელია ჩვენი ბურჟუაზიული, ან ნაციონალური პარტია გამოვიდეს დემოკრატიის წინააღმდეგ, რესპუბლიკის და თვითარსებობის ნგრევის იარაღია გახდეს. (რუსია: ისტორია?)

ისტორია იმას მოგახსენებთ, რომ დემოკრატია შექმნა ბურჟუაზიამ. ვინც ოდნავ მაინც იცის ისტორია, მისთვის ცხადია, რომ დემოკრატია შექმნილია ბურჟუაზიისაგან. ყოველიფერი, რაც არსებობს რესპუბლიკის საფუძველებში, ეს შექმნა ბურჟუაზიამ თავის შენაძენ უფლებების დასაცავად. სოციალიზმს დემაგოგის მეტი ჯერ არაფერი შეუქმნია. ის ყოველთვის ყოფილა დესპოტიზმის წინამორბედი. დესპოტიზმის მეტი არა შეუქმნია რა და ვერც შექმნის (ხმაურობა). ნება მიბოძეთ გამოვთქვა, რაც მწარს. მე ხომ ხელს არ გიშლიდით,



როცა თქვენ ბრძანდებოდით აქ. მე მოგახსენებთ ნათქვების მიზანის შესახებ და მის მიზანის შესახებ. რომ სოციალიზმია უნდა დააარსოს პროლეტარიატის დიქტატურა? ასეა ეს თუ არა? რა არის დიქტატურა, თუ არა უმცირესობის გაბატონება უმრავლესობაზე? (თოფურიძე: ეგ გაუგებრობა არის!) ეს გაუგებრობა არ გახლავთ. ნება მიბოძეთ მოგავონოთ, ამეებს იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თქვენი პარტია და ჩვენი მთავრობა შევასუსტო ... (რეპლიკა სოც. დემოკ.: ეგ ძნელია, ბატონო!) ჩემზე უფრო ერთგული მომხრე თქვენი პარტიის მმართველებისა და მისგან შექმნილი მთავრობისა, მგონია, თქვენ წრეშიაც ვერ მოიძებნოს. (დადიანი: ძალიან საინტერესოა! ხმაურობა. თავმჯდომარე: დააცადეთ ორატორს)

რაც მე მოგახსენეთ, ჩვენი პარტიის კველა მომხრეებმა დაამტკიცეს ამ ორი წლის განმავლობაში. ლიდი უმეტესობა ჩვენი პარტიისა იყვნენ შეწუხებულნი და გაძარულნი თქვენი მოქმედებით. მაინც მთა შორის თქვენ მოწინააღმდეგ არა გყოლიათ, არც გეორგი ბათ, სანამ თქვენ დგეხართ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ნიადაგზე. ამას მოგახსენებთ დარწმუნებით, როგორც წარმომადგენლი მთელი ჩვენი პარტიისა. ამას მოგახსენებთ იმიტომ, რომ ეს არის სრული კეშმარიტება. ჩვენ სულით და გულით გვინდა დავაარსოთ ჩვენი სახელმწიფო, გავამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ დამოუკიდებლობისათვის საჭირო არის, რომ არ ვაფეხებდეთ მთავრობას, გავაძლიეროთ იგი და მიგცეთ მას ყოველგვარი საშუალება, ებრძოლოს ყველას, ვინც წინააღმდეგია ჩვენი დამოუკიდებლობისა. ამ გზას ადგა არა თუ მარტო ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი თავადაზნაურობა, სამღვდელოება, ბურჯუაზია. ეს და ამტკიცა ამ ორნახევარი წლის განმავლობაში მათმა საქციელმა.

არ მესმის რისტვის ვარღვევთ ჩვენ უკვდავ დემოკრატიულ პარტიებს, რომ ძალა ერთობაშია, რისტვის ვჭადავობთ ურთიერთშორის სიძულვილს ამ კათედრიდან, საიდანაც ყოველი სიტყვა უნდა იყოს ნათქვამი დაფიქრებულად და პასუხისმგებით! რისტვის მუდამ ვაღვივებთ სამოქალაქო ომის ცეცხლს?

ძალიან დიდი პატივისმცემელი ვარ ბატონ ჯულელისა, რადგან ის არის ჩვენი სახალხო გვარდიის მოთავე; დიდი და გულწრფელი პატივისმცემელი ვარ, აგრეთვე, თვით სახალხო გვარდიისა, რომელიც დიად როლს თამაშობს ჩვენი თავისუფლების და წესიერების დაცვა-



ში, მაგრამ, როგორც პოლიტიკური დოქტრინები, ვფიქტორი, უნდა გვარდიის წარმომადგენელი, არც ბ. ჯუღალი, როგორც ასეთი, არ უნდა გამოდიოდეს ამ ტრიბუნაზე და არ უნდა გამოთქვამდეს აქ იმისთანა სიტყვებს, რომელიც შორიდან თუ ახლოდან გვხსენებენ სამოქალაქო ომს. ეს გახლავთ დემოკრატიული პრინციპების დარღვევა. პირველი პრინციპი ყოველი დემოკრატიისა, მოგეხსენებათ, ის გახლავთ, რომ ჯარი არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში და პოლიტიკურ ბრძოლაში. გვარდია არის ჩვენი ძალების თვალსაჩინო ნაწილთაგანი და ამიტომაც გვიყვარს ეს სახალხო გვარდია; ჩვენი პარტია, ჩვენი იმ წრების წარმომადგენელნი, რომლის სახელით მოგახსენებთ, ამპარტაგონბს ჩვენი გვარდით, და დაჩრუმუნებულია, რომ ის, როგორც ჩვენი რეგულიარული არმია, ყოველთვის ნეტირალური დარჩება და არ გაერევა ჩვენ პოლიტიკურ უთანხმოებაში. მას უფრო დიადი, ძლიერი და სუფთა როლი აქვს: საერთო მამულის და წესის დაცვა. მე ამისთანა ლაპარაკით არ მოგაცდენთ. ვუბრუნდები იმ კითხვას, რომელიც დასმულია: ბ. მინისტრმა შეასრულა თავისი მოვალეობა და მოგახსენათ, თუ რა საფრთხე უდგა წინ ჩვენ ქვეყანას; ეს ოპერატორი არ ყოფილა, როგორც თქვენმა პრესამ შეცდომით გამოთქვა.

ეს იყო ნამდვილი საფრთხე, იმიტომ კი არა, რომ ჩვენს ხალხს უცხოელების დიდძალი ჯარი შემოესია, არამედ იმიტომ, რომ ძნელს მდგომარეობაშია ჩვენი ხალხი, და არც მარტო ჩვენი ხალხი, მთელი ქვეყნის ხალხები. ცხოვრება ნამეტნავად გაძვირდა, სიმშილი წინ გვიდგია და ამისთანა გასაჭირო მყოფ ხალხს ადვილად აიყოლიებს და ააშფოთებს მოქრიამული ბოროტებამზრაცხა ბრძო.

როგორც მოგახსენათ ბ. მინისტრმა, საქმე, მაღლობა ღმერთს, ასე ადვილად გათავდა. ღმერთმა ქნას, რომ ყოველი საფრთხე, როგორც ამ შემთხვევაში მთავრობას აუცილებია, ჩვენი ქვეყნისთვის მუდამ მართლაც სასაცილოდ და სამასხაროდ გადაქცეულიყოს. ეს ვისურვოთ. ის, რაც ბრძანა ზოგიერთმა ორატორმა, სამინისტროს მიერ, რატომ უფრო ადრე არ იყო მიღებული ზომები, ამგვარ საყვედურს თავი დავანებოთ, რაც იყო, იყო. მოვითხოვოთ, რომ შემდეგში, როგორც ბრძანა ბ. ჯუღალმა, სუსტად და ღმობიერად აღარ ეკიდებოდეს მთავრობა ამგვარ საქმეებს, რომ სასტიკი ზომები ყოფილიყოს მიღებული წინასწარ ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად, ყველას წინააღმდეგ, ვინც უნდა იყოს იგი, რომელიც კი შელახავს ჩვენს წესიერე-



ბას და დამოუკიდებლობას, ვინც მტერი იქნება ჩვენი თაობის მისა ბისა მთავრობამ უნდა შემუსროს. ჩვენ იქნობამდე ვიქებით მისი მომხრე, სანამ ამ მოვალეობას იგი მტკიცედ აასრულებს.

(იხ. დამფუძნებელი კრების 57-ე სხდომის ანგარიში. 1919 წ.)

ირაკლი ოთხმეზური

გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი ს შ ე მ თ ს ვ ლ ა

პ ა რ ი ზ შ ი

(მოგონებათა მეორე რვეული. პირველი იხ.

„გუშაგი“ № 15, გვერდი 44)

პარიზში მონპარნასის რაიონში ვარ. ხალხი შეშთოთებული და შეშინებულია ირგვლივ. ყოველ წუთში ვრცელდება სენსაციური ამბები: გერმანელებს გადაუწყვეტიათ პარიზი მოსპონ. რაღოთთი ყოველ ათ წუთში ხმამაღლი გაფრთხილებაა. ხალხს აქიდან ისეთი დასკვნა გამოაქვს, რომ უნდა გაიქცენ პარიზიდან. უფრო იჯერებენ ვიღაცის თქმას: არიქა, ჩქარა უნდა გაიქცეოთ!

ჭარმოუდგენელი პანიკაა. მთელი ხალხი: ქალი, კაცი, ბავშვი გამოსულან ქუჩებში, გვერდის შეელა არ შეიძლება. საგსეა ძველი და ახალი ავტომობილებით, საბარგო და საბავშვო ხელის ურმებით, შეხედებით ცხენის დროგებს, გავსილი ქუჩები მიეღინება ორლეანის მიმართულებით. სიტყვა „გაესილი“ ვერ გამოხატავს ამ საშინელ მდგომარეობას. ზოგს ცოლი დაკარგვია, ზოგს ქმარი, ზოგს ბავშვი, ზოგსაც მოხუცებული. არის საშინელი ყვირილი, ათასგარი ხმაურობა. რომ უყურებ გვინია, მთელი ხალხი გაგიუცებულია. პოლიციაც შეშინებულია, უმწეოდ გამოიყურება და თვითონაც გაქცევაზეა.

ვისაც უნდა კითხო: სად მიღიხარო? გეტიგვის: არ ვიციო. შეენიშნე ერთი ნაცნობი ხანში შესული მანდილოსანი, კარვი წრის, რომელიც აგრეთვე ცხოვრობს მონპარნასის უბანში, საღლაც უშოგნია ბავშვის სატარებელი ურემი, ჩაუყრია შიდ, რისი ჩატენაც შეიძლებოდა და გაგიუცებული თვალებით ისიც მიღის ორლეანის მიმართულებით. მივმართე: ჭ-ნო სად მიბრძანდებით - მეტ ქი. ერთი შემომხედა, მითხრა: არ ვიციო და მეორე სიტყვა ვეღარ მითხრა, უკანიდან აღარ დააცალა ხალხმა: „გასწი ჩქარო!“ ერთი სიტყვით, შეუძლებელია იმ საშინელი მდგომარეობის გადმოცემა.



წავედი ნოესთან. ის შორსაა. ყოველ კუთხიდან დაძრული ცალწერა და ის უკვირთ, რომ მე მინდა გადავჭრა გზა და არა, რომ მიუკვე ვე იმათ. ზოგმა ისიც დამიძახა: გადარეული ხარ, რომ არ მოხვალო. ერთმა ისიც თქვა: იქნება მათიანია და არ ეშინიათ. ზოგი აიმრიზა და გინება დამიწყო. მთელი ჭური გატენილი იყო, შევლა თითქმის არ შეიძლებოდა. მთელი ხუთი საათი მოვანდომე ნოესთან მისვლას. კარებთან დამხვდა ავტომობილი. შევედი. ნოე ჩაცმული ზის. მივესალმე.

— გამოწყობილხართ, თქვენც მიბრძანდებით? — ვეითხე.

— კაცო, გუშინ იოსებ ელიგულაშვილი მოვიდა, გროშები მომიტანა და მითხრა: რაღაც ცუდი ხმები დადის, შეიძლება წასვლა დაგვჭირდეს. მე უარი გუთხარი. ახლა მოვიდა ავტომობილით და ამბობს, ხალხი გარბის, ყოველ წუთში რადიოთი აცხადებენ, გერმანელებს გადაუწყვეტიათ პარიზის განაღურებათ. ჩამცივებია, თუ არ წამოდი აქვე შენ წინ თავს მოვიკლავო. ევგენს დავუძახე, იმან მითხრა, მრავალი მიზეზის გამო არსად არ შემიძლია წასვლა. იოსებმა ბევრი არწმუნა: არას გაგიჭირვებო, მაგრამ არ ქნა. იოსები გავიდა იქნებ სურასთი ვიშოვნო არმე, გზაზე ვერაფერს ვიშოვნითო. შენ რას აპირებ? — მე სად შემიძლია წასვლა.

— აგერ, იოსები მოვა, ვეტყვი, შენც წამოდი!

— თუ თქვენთვის საჭირო იქნება, მაშინ კი, ისე არასგზით არ შემიძლია წამოსვლა.

— რა გაეწყობა! იი, ეს ჩაიდევი ჯიბეში, კი არაფერია, მაგრამ მაინც ორასი ფრანკი გამომიწოდა. უარი უთხარი, მაგრამ ისე შემომხედა, ვეღარ ვთქვი უარი. უკვე გვიანდებოდა. გადამყოცნა. წამოვედი. თითქმის ღამება. მონპარნასის სადგურიდან ყოველ მინუტში გადის მატარებელი. ქუჩებში კვლავ არეული და შეშინებული ხალხი მიედინება ორლეანის მიმართულებით. პოლიცია არსად აღარ ჩანს. დაღამდა. მივედი ჩემს ბინაზე დეპარტამენტის ქუჩაზე. სასტუმროს პატრონი ცოლ-შვილით წასულა, სახლი ერთი ღრმა მოხუცი ქალისთვის დაუტოვებია.

მეორე დღეს ათ საათზე გამოვედი. ადამიანი არსად ჩანს. გავედი „მეზე“, გერმანელების ჯარი მიდის „მენის“ ქუჩით, ორლეანის მიმართულებით. ქუჩებში არავინ ჩანს, სიწყნარეა. წავედი მეტრო მენისკენ, მონპარნასის სადგური სრულიად ცარიელია, ადამიანი არსად ჩანს. მივედი მოედან „მეზე“, იქ №6-ში ცხოვრობს თამაჩა

გერმანელების შემოსვლა პარიზში

* * * * *

(მეუღლე, თამარა თაქთაქიშვილი. რ.) ქუჩაზე გადასვლა ჭრაში მოწყობული ბა, მოტორიზებული ჯარი მიდის. ცოტა ხნის შემდეგ, ჯარისკაცმა, რომელიც მიმოსვლას აწესრიგებდა, ნიშანი მომცა, გადავედი და შემდეგ კავალერიამ იწყო სვლა იგივე ორლეანის მიმართულებით, მწყობრად, არავითარ უწესრიგობას არ აქვს ადგილი.

თამარას სასტუმროში ბიუროში სხედან ორი გერმანელი სამხედრო და დალასი. დალასი უნგრელი ამერიკელია პასპორტით, რომლისათვისაც პატრონს სასტუმრო დაუტოვებია. დალასი ამ სასტუმროში იდგა და რაღაც მის გაკეთებულ სასმელს ყიდდა. თამარა ძალზე აღელვებულია: შეხედე დალასს, მეუბნება, როგორი წყნარი და მშვიდი იყო, თურმე აგენტი ყოფილა. მოვიდენ თუ არა გერმანელები, კარებში შეხვდა, უჩვენა რაღაც ქაღალდი და მოხსენება გაუკეთა, თუ ვინ და სად არის ამ რაიონში. ვიღაცის მისამართი მისცა და უთხრა, ის მოგცემს მისი რაიონის ცნობებს. მთელი დღე თამარას გამშვიდებდი, რომ დალასს არ წაყიდებოდა.

მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა ჯარების მოძრაობა ქუჩებში, რის გამოც ქუჩებში გადასვლა შეუძლებელი იყო. ასევე გაგრძელდა მეორე დღესაც. მესამე დღეს როგორც იყო გავძვერი და გავსწიე ევგენისათან. ცარიელი ქუჩების და ამ შვილ-რვა სართულიანი სახლების კარ-ფანჯრებით, რომლებიც გამოკეტილია, რაღაც შიშის მსგავს გრძნობას განიცდი. მივედი, დავრჩე ზარი. არაფერი ხმა არ ისმის. მერე დაგაეცუნე ძეველი ნიშნით, გავიმორჩე, მეშის მოძრაობის ხმა. კარი გააღო ევგენმა, საშინაო ჩუსტები ეცვა.

— ოო, ჩემო გიორგი, ძველის-ძველმა მეგობრობამ გამოგწია ჩემსკენ. ვიფიქრე, ალბათ ძველი მეგობარია, რომ ძველ ნიშანს მაძლევს. ასეთ დროს ვინ გაგიხსენებს თუ არა ძველი გულითადი მეგობარი. რა ამბავია გარეთ? — გარეთ არაჩეულებრივი მყუდროებაა. ორი დღეა თვალს ვადევნებ ჯარის შემოსვლას. ძალიან წესიერად მიემგზავრებიან ორლეანის მიმართულებით. არავითარ ექსცესებს არ ჰქონებია ადგილი. ახალი ის არის, რომ ნოე წავიდა, თქვა ბორლოსკენ მივღივართო. უთხარი ის შთაბეჭდილებაც, რაც ხალხის გაქცევით მქონდა. — ასეა ჩემო გიორგი, მითხა ევგენიმ, როცა პანიკა შეიქნება, გონებას აღარავინ ემორჩილება. სიკვდილის შეხედვას კველა გაურჩის, აგერ მეც გარეთ არ გავსულვარ. აკაციც წასულა. არ ვიც ვინ წაიყვანა. აგერ ამ უდიდესი კულტურის მქონე ერის პანიკაც ვნახეთ. რას ფიქრობ, ან რას აპირობ გიორგი?



— როგორც იცი, ჩვენმა ორგანიზაციამ ლეგალობა უარყო ტრაქტორების ბურთ ამ სხვის ქვეყანაში არალეგალური კომიტეტის თვითშედოւნის რეობა დამევალა, მაგრამ სად ვიპოვნო ჩვენი ორგანიზაციის წევ-რები? ნოემ მოთხრა: ჩვენი მთავარი და მუდმივი პრინციპი — ერთმანეთთან დაახლოება და ერთად ყოფნაა, ძველებურად ერთმანეთის ნდობა უნდა გქონდეთ, მაგრამ მუდამ ახალი აზრით უნდა გაიმსჭვალოთ. საფიქრებელია, რომ ძალიან მაღლ დაგვეირდეს გადაჯგუფება და ახალი ენერგიით ახალ ფორმებში მოქმედება და ბრძოლა. სადაც არ უნდა ვიყოთ, ჩვენი სტიქია ჭეშმარიტებისათვის ბრძოლა. ამჟამათ კონკრეტული რამის თქმა შეუძლებელია, იმოქმედე ისე, როგორც სინდისმა, გამოცდილებამ და ჭკუამ გიყარნახოს.

— ეხ, ჩემო გიორგი, ნოე ამ ღრმა მოხუცებულებაშიც დიდი შებრძოლი და გამოცდილი რევოლუციონერია. ჩვენი დასაყრდენი ჩვენი ხალხია. ჩვენ დავრჩით მხოლოთ და მხოლოთ შეგნებული და მოკრატიის პატარა ჯგუფის ამარა. არ შეიძლება, რომ ამ ჯგუფზე დაც არ იქონიოს გავლენა ღრმა და დიდი შექმნილმა მდგომარეობამ. მაგრამ არც ჩვენ ხალხს და არც ჩვენ, არც იქ და არც იქ, სხვა სამოქმედო არა დაგვრჩენია რა, ამ ერთი მუქა დემოკრატიის გარეშე. საჭიროა ძალიან ფრთხილი მოქმედება. ამ საშინელ ქალსში ჯერ კიდევ არ შეიძლება კონკრეტული რამის თქმა. უნდა მზად ვიყოთ ახალი ამბებისათვის. მანამდის კი შენ შენებურათ შეუწყვე ხელი ამხანაგ-მეგობრების დაკავშირებას.

— რას ვიზამ, ჩემო ევგენი, ბედმა ასე მარგუნა, ამ ღრმა მოხუცებულობაშიაც დავიბიჯვო უნდა ჯოხი და ვაგროვო ხალხი... მართალია გარეთ არ გამოდიხარ, მაგრამ მაინც იცი ალბათ იმდენი, ჩემი ცნობისმოყვარეობა რომ დააკმაყოფილო.

— მართალია, ტელეფონით მაძლევენ ცნობებს, მაგრამ არ არის სრული. „ლამაზშე გადასცელას ვერ შეძლებს გერმანიაო“. თუ ეს ასე მოხდა, სრულიად მაღლ შეიცვლება მდგომარეობა. ვერ კიდევ არ არის გადაჭრილი ცნობები. შენ ხედავ, რომ არ გაუმართლდათ ბოლშევიკებს, ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ საფრანგეთს და ინგლისს დიდხანს მოუხდებოდათ გერმანიასთან ბრძოლა. როცა ორივე მხარე დასუსტდებოდა შემდეგ მოვიდოდენ და ორივეს ერთი ხელის მოსმით მოსპობდენ და გაბატონდებოდენ. მოხდა წინააღმდეგი, გერმანიამ კარგი მექორწილესავით მიიარ-მოიარა ევროპაში, დარ-

ჩა ისევ ძლიერი, ამას ანგარიში უნდა გაუწიოს რუსეთში და ფრანგების
გამოირკვევა ახალი მდგომარეობა, ჩვენ ყოველგვარ შესაძლებლობის
წინაშე ვდგავართ. უკვე საკმაოდ გვიან იყო. 6 საათის შემდეგ გა-
რეთ ყოფნა აღარ შეიძლებოდა და მეც ევგენის დავემუშვილობე.

ვალიკო ჩუბინიძისგან გავიგე, რომ ნოე დაბრუნებულიყო. წავედი
მასთან. რომ მივედი ის ემზადებოდა გამოსასვლელად. მივესალმე.
მოვიკითხე.

— ჩემო გიორგი, რაც ჩემი თვალით ვნახე და განვიცადე, არავის
არ შეუძლია მისი გადმოცემა. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დავი-
ღალე და მრავალი უსიამოვნება განვიცადე, მაინც კმაყოფილი ვარ
წასვლით. როგორც ადიდებულ მდინარეს ვერ შეაკავებ, ისე პანიკი-
სგან გამოწვეულ ხალხის შიშს, დრო უნდა ყველაფერს მე კარგად
ვვრძნობ თავს და მინდა წავიდე ევგენისთან. თუ შევატყვე თავს
დაღალვა, დავბრუნდები. — მე გეახლებით მეთქი, შევთავაზე. ის შე-
ყყყანდა და მერე: თუ არ დაილები, წამოდიო. გამოვედით.

ჩავედით პორტ-ვერსალზე. თუმცა მეტროს ნდობა ძნელი იყო, მა-
ინც ის ავიღეთ. ევგენისთან მისვლას სათნახევარი მოვუნდით.
ევგენი ასე მალე არ გველოდა. მივესალმეთ. როგორ იმგზავრეთ?
ეკითხება ევგენი. ნოემაც დაწვრილებით უძმო მისი მოგზაურობის
შთაბეჭდილებები და შემდეგ იქნით კითხა: — შენ რას იტყვი?

— მე რა უნდა ვთქვა, თქვენგან ვმლი.

— რა ცნობები გაქვს?

— ცნობები თითქმის უტყუარი მაქს. როგორც იცი, გერმანიამ მიი-
არ-მოიარა მთელი ევროპა ჩევნებური მაყარივით და მიადგა ლამან-
შს. თუ გადგილოდა ლამანშე, კითხვა ნახევრათ მაინც გადაწყვე-
ტილად ჩაითვლებოდა და ზავშედაც შეიძლებოდა დაწყებულიყო ლა-
პარაკი, მაგრამ დანამდვილებით მაცნობეს, რომ ლამანშე გერმანია
ვერ გადავა და არც ემზადება გადასასვლელად. აქ წყდება და ჩერ-
დება დასავლეთის ფრონტის საკითხი და მასთან ომის ბედიც.
გერმანია არის მომზადებული ელვისებური მისითვის. მისი ძალები
დიდი-დიდი ოთხ წელში დაილევა. რაღაც იგი ლამანშე ვერ გადავ-
იდა და ინგლისი ვერ აიძულა, მიეღო მისი პირობები, ინგლისი მოა-
ხერხებს ამერიკის მმში ჩათრევას და გერმანია ვერ გაუძლებს ხა-
ნგრძლივ ომს და იძულებული იქნება თვით მიიღოს ინგლისის ულტრ-
მატუმი.



თქვენ იცით, რომ სტალინს უნდოდა გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთ
გეოს შორის ომი გაგრძელებულიყო, ორივე ბანაკი დასუსტებულიყო,
შემდეგ კი თვითონ მოსულიყო და უკელას დაპატრიონებოდა. საქმე
სულ წინააღმდეგ დატრიალდა, გერმანიამ ადგილად დაიმორჩილა ევ-
როპა, დასავლეთისკენ ბევრი არა ექნება რა და პირი რუსეთისაკე-
ნ უნდა იბზუნოს. ჩვენ ვიცით მათი ამბავი, რუსეთსა და გერმანი-
ას შორის ომი შეაფერხა სუბიექტურმა პირობებმა, ეს პირობები
ისსწება და მათი დაპირისპირებაც აუცილებელია. ერთი სიტყვით,
გერმანია დამარცხდა. მისი დამთავრებისთვის მხოლოდ დროა საჭირო.

— ევგენი, ზედმიწევნით სწორი დასკვნაა. მე ამაზე დაგწერე მო-
ხსენება ბიუროსა და მთავრობისთვის. ის საჭირო აღარ იქნება, მა-
გრამ საჭიროა ჩვენი მოქმედება. შენ იც, რომ ჩვენ გვაქვს ხაზი,
მის გადასინჯვას არ თხოულობს შექმნილი მდგრმარეობა. მეც მჯერა,
რომ გერმანია-რუსეთის დაპირდაპირება თვეების საკითხია და რად-
განაც ეს გვწამს, ჩვენი მოქმედებაც ამ მიმართულებით უნდა წარ-
ვმართოდ. აჩაა საფიქრალი, რომ გერმანია რუსეთის დასანგრევად
წავიდეს, ის წავა მის დასაპყრობლად, მისი პრინციპი და ტაქტიკა
იქით მიიღოვის, რომ ყველა ერები დაიპყროს და გერმანიის ხალხის
სახელით გესტაპოს დაუმორჩილოს. რუსეთის დასანგრევად რომ წავი-
დოდეს. მისი გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება და ჩვენი მოქ-
მედებაც გაადვილებული. ყოველ შემთხვევაში, ასე იქნება თუ ისე,
ჩვენ ჩვენს ხალხთან ვართ და ბოლომდე მათთან უნდა ვიყოთ. ჩვე-
ნი გავლილი გზა ჩვენს ხალხს მომავალშიც გაკვალული უნდა ექნეს.

გერმანია გაიმარჯვებს თუ დამარცხდება ჩვენი მომხრე ძალების
იქ გაერთიანება და გაძლიერება აუცილებელია. ამიტომ ამჟამად იქ-
ით უნდა იყოს მიქეული ჩვენი ყურადღება, პირველ რიგში კი აუ-
ცილებებლად საჭიროა ჩვენი თავის გახსენება ბალტიის ქვეყნებში.

— დღის, ნოე, ერთი მთავარი და საფრთხილო სამოქმედო ასარეზი
იქაა, ამბობს ევგენი.

ნოე: ევგენი, რადგანაც შენც მაგ დასკვნამდე მისულხარ, იქით
უნდა ვიმოქმედოთ, მაგრამ ვის ფიქრობ, რომ იქ მოქმედებას უხელ-
მძღვანელოს? ევგენი გაჩუმებულია. ნოე: ევგენი, ეს მოვალეობა შენ
უნდა აიღო შენ თავზე. ევგენი ადგა გაიარ-გამოიარა, ხელი გადი-
სვა შუბლზე და თქვა: არ ვფიქრობდი თუ ასე გამიმეტებდი, ნოე.
ვის გინდა დააჯერო, რომ მე ამ ავანტიურას არ ვუთანაგრძნობ და

გერმანელების შემოსვლა პარიზში

***** 58 *****
ორიენტი
შიდაკონცენტრი

იქ მონაწილეობას არ ვლიბულო.

ნოე: ევგენი, ჩვენ კარიერას არ ვაკეთებთ და გერმანიის თუ რუსულის დამარცხების შემდეგი მოქმედებისათვის წინასწარ ხელებს ვერ შევიკრავთ. რაღანაც იქით მოქმედება საჭიროთ მიგვაჩინია, ვის აქვს იქ ავტოროტეტი და ნაცნობობა? ირაკლის შეეძლო ეს, მაგრამ იმას აქვს „იდეფიქსი“ „პაციტისტობის“. მას სამართლიანად არ სურს, ჩვენმა ხალხმა მიიღოს რამე ავანტიურაში მონაწილეობა.

მაგრამ ის ანგარიშს არ უშევს იმას, რომ ვინ კითხავს რამეს ჩვენ ხალხს და არც იმას უშევს ანგარიშს, რომ ჩვენ ერთი ბეჭვის ოდენა არც მიმატება და არც დაყლება არ შეგვიძლია ომისაღმი და მაინც ჰერიტაჟი, ჩვენ მოზე ვამყარებთ ჩვენი ქვეყნის და ხალხის განთავისუფლების იმედს, ჰერიტაჟია, ვიღაცა დიდ ანგარიშს გვიშევს და ვაწარმოებთ ომის კომბინაციებს. ჩვენს იქით წასვლაში, იქ მომხრე ების ძებნაში და ორგანიზაციებთან კავშირში იმას მოელანდება ომის კობინაცია ის მაინც აქ არ არის და არც ჩვენთანაა. რომც იყოს, მისი იქით წასვლის წინააღმდეგი ვიქნებოდი, იმიტომ რომ, იმას არ შეეძლია ფარული მოქმედება და მისი გასწორ-გასწორ მუშაობა ორ კვირეში, თუ უფრო ადრე არა, თავს ამოაყოფინებს ან გესტაპოში, ან გვეუში. აქვს ავტორიტეტი და ყავს ზოგი ნაცნობობა აკადემიკის, მაგრამ შენ მიცემ მის იქეთ წასვლას ხმას? არის კოწია გვარჯალაძე და გრიშა ურატაძე, არც ერთს არ აქვს არც ნაცნობობა და არც ავტორიტეტი. არიან ნოე ცინცაძე და რაედენ არსენიძე, რომელთაც არც ავტორიტეტი და არც ნაცნობობა არ ჰყავთ, ამასთანავე იმ აზრის არიან, რომ არც სიტყვა და არც მოქმედება საჭირო არ არის, მისით გაკეთდება ყველაფერი.

ევგენი: ნოე, თქვენ იცით, რომ კარიერა ჩვენებს არავის არ ჰქონია მხედველობაში, პირიქით, ჩვენი სიცოცხლე მუდამ სიკვდილისკენ გადაძლეული სასწორზე მიგვეჭნდა. ახლა ისეთ მიჯნაზე ვარ, კარიერაზე ფიქრი წარმოუდგენელია. იქით წასვლა და მოქმედება 90-% მოსახლეობას უდრის. აქაც ისეთ მიჯნაზე ვარ, რომ სიკვდილის გაფრთხილება სილაჩირეა. რომ დავიღუპები ვის დააჯერებ, რომ მე ამ სამარცხვინო და წინასწარ განშირულ ავანტიურას არ ვუთანაგრძობდი და მის სასარგებლოდ არ ვმოქმედებდი და უნდა დარჩეს ჩემზე ამ მოქმედების გაუგებრობა და სამარცხვინო სახელი. თქვენ ხედავთ, სიმწარის გრძნობამ ამაყენა, გავიარ-გამოვიარე, რაც არ



უნდა ჩამედინა. უკვე ვძლიე საშინელ სიმწარეს, გადავწყვიტოთ უნდა.

ნოე: ევგენი, შენ იცი, ჩვენი თავი ჩვენ არ გვეპუთგნის, პირველ ყოვლისა ის ეკუთვნის ჩვენ ერს და შემდეგ მთელ კაცობრიობას, და რადგან ასეა თავის გაუფრთხილებლობაც და უბრალოთ და მოუფიქრებლად მისი განწირვაც დანაშაულია, მაგრამ არავითარი უფლება არ გვაქვს, პირადი ჩვენი „მე“ დავაყენოთ ერისა და კაცობრიობის სასწორზე და დავაძლევინოთ ჩვენს „მეს“.

რადგან ჩვენ ერთნაირად ვაფასებთ შექმნილ მდგომარეობას, უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც გვესმის და სინდისი გვიკარნახებს. რომ გერმანიას ისე დაეყენებია საქმე, რომ კაცობრიობისათვის ბოლშევიზმი მოხესნა, მაშინ მათი ისტორია შეუმსუბუქებდა ყოველგვარ მომხდარ ბოროტებას, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, გერმანია განწირულია, მის დაბოლოებას კარგა დიდი დრო სჭირია, ამ დროში კი მრავალ უბედურებას ვეღი. გერმანია ბოლშევიზმს თუ არ შემოიყვანს ევროპაში, მისი კარების წინ აუცილებლად მიუძღვება და მით გერმანია მთელი ევროპიანა, შეიძლება თამამად ითვას, მთელი კაცობრიობაც საფრთხის წინ იქნება. ამ მსვლელობის შემაჩერებელი ჯერჯერობით არა იხედება რა. ჩვენ ამ მსვლელობაში პირდაპირი შებრძოლება არ ძალგვიძს, უმოქმედობა და ყურება, თუ რა მოხდება, დანაშაულია. ჩვენი სამოქმედო ასპარეზი არ არის, თუ სადმე, ასევთქვათ ნემსის კურწში არ გავდგვირთ. ჩვენ ხალხთან უნდა ვიყოთ ყოველგვარ საქმიანობაში, ის კი მოსპობის შარაგზაზეა და მიერეცებიან დალუპვასაქენ. საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და მოქნილობა. ჩვენი ხალხი გონიერია, იმას ესმის მდგომარეობის სირთულე, ჩვენ მათ უნდა გურჩიოთ კი არა, მოვუწოდოთ უნდა, რომ არ აყვეს წუთიერ გრძნობებს და წუთიერ გამარჯვებებს და არ მიიღოს არავითარ ავანტურაში მონაწილეობა. ამჟამად ერთადერთი სიმშვიდეა, რომელიც ნაკლებ მსხვერპლს მისცემს ხალხს. მთელი ჩვენი მთავარი ყურადღება და მოქმედება ამ მხრით უნდა იქნეს მიქცეული.

რუსეთი დაპკარგავს მილიონობით ახალგაზრდობას, ეს ტაქტიკა მათგისაც ხსნაა. ჩვენი მთავარი მოვალეობაა გაუკვლიოთ და ვუჩივენოთ ხალხს სწორი გზა, რომ მომავლისთვის არ დარჩენს შემდეგში საძებარი. ხალხი გაკვლეულ გზას თვით გატკვნის.

მაშ ასე, ჩვენ საღლეის სამოქმედო საქმიანობას შეაღენს, ყოფ-

ელი ზომა მივიღოთ, ჩვენი ხალხი არ აყედს სხვადასხვა უკონფიდენციალური ას, მონაწილეობა არ მიიღოს არავითარ ავანტიურაში, ევგენი, თუ შენ იზიარებ ამ აზრს, მაშინ ეს უნდა მივიღეს ბიუროსა და მთავრობაში და დადასტურდეს.

ევგენი: დიახ ნოე, რა რომ ვძლიერ ჩემს თავს და დავთანხმდი, აგრე უნდა მოხდეს.

ნოე: ევგენი, არ კმარა გადაწყვეტილების მიღება, საჭირო სისრულე ში მოყვანა. იმას სკირდება ხარჯები, რომლის შოვნაც შენ უნდა იყისრო. წინასწარი ხარჯებისთვის იოსებთან მქონდა ლაპარაკი, ის დამპირდა შეძლებაზე მეტს გავიღებო. აგერ არის პარიზის ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე, მათგან მოვითხოვ ყოველთვის იჯოს ჩემს განკარგულებაში ხუთ-ხუთი კაცი, რომელთა მისამართი მექნება. როცა საჭიროება მოითხოვს, იმათ პირდაპირ გამოვიდახებ და ველაპარაკები, მხოლოდ მოცემულ კაცების პასუხისმგებელი იქნება კომიტეტი. რას იტყვი გოორგი? -თქვენი მოთხოვნილება შესრულებული იქნება, ვეუბნები მე. რას იტყვი ევგენი?

ევგენი: რა კაცი ხარ ნოე! ყველაფერი გადაწყვეტილი გქონია, ხარჯებზეც გიზრუნვია, კომიტეტის თავმჯდომარეც მოგიყვანია!

ნოე: არა კაცო, გოორგი შემთხვევით მოვიდა, მხოლოდ მისი აქციურნა სასარგებლო დარჩა.

(მეორე რვეულის დასასრული)

გიორგი კონას დე წერეთელი

P. S. მკითხველი აღბათ ადვილად მიჩვდება, რომ მხოლოდ სახელმწით ნახსენები არიან: ნოე უორდანია, ევგენი გეგეპკორი, აკაკი ჩხერიმელი, ირაკლი წერეთელი, იოსებ ელიგულაშვილი. რედ.

*** *** *** *** ***

საფრანგეთის ქართ- მწერალთა და ურნალისტთა
საზოგადოების ისტორიისათვის

სასიხარულოდ ჩვენდა, სამშობლოში ღიღი დაინტერესებაა მისი ეროვნული ემიგრაციით, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყა. ბევრ სერიოზულ კორეპონდენციებთან და ნარკევებთან ერთად, სამწუხაროდ ხშირად ყურით მოთრეული ამბებიც სიმართლედ სალდება და თუ მე არ ვცდები, ცოცხლებს მეტი ყურადღება ეჭცევა, ვი-



დღე მიცვალებულებს. უნდა იყოს კი საწინააღმდეგოდ, უფრო მნიშვნელოვანი დრო შეუწყალებლად შლის ნაკვალევს და ზოგჯერ ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნაკვალევი სამუდამოდ იკარგება დროთა სქელი შრეებისაგან.

ჩვენ აქ შევეცდებით დოკუმენტური მონაცემებით აღვადგინოთ მთავარი მომენტები ჩვენი მწერალთა და უურნალისტთა საზოგადოებისა საფრანგეთში. თავიდანვე გვინდა, მკითხველმა კარგად გაიგოს: მწერალთა და უურნალისტთა საზოგადოების (ხშირად მას კავშირადაც იხსენიებდენ) არსებითი დანიშნულება იყო ქართული კულტურის სამსახური სამშობლოდან გადმოხვეწილ თანამემამულეთა შორის, ყოველგვარი პარტიულობის გარეშე.

პარიზის პრეფექტურის II განყ. ცნობა

საზოგადოება აღრიცხვაზე იქნა გატარებული 1926 წ. 18 ნოემბერს, მან საბოლოოდ მიიღო სახელწილება: „ქართველ მწერალთა და უურნალისტთა საზოგადოება საფრანგეთში“

მიზანი: საზოგადოების წევრთა პროფესიული ინტერესების დაცვა და ურთიერთშორის სოლიდარობის განმტკიცება.

მისამართი: 8, RUE FR. COPPEE , PARIS XV

გამგეობა: გიორგი გვაზავა, თავმჯდომარე,
რაფენ არსენიძე, მღივანი,
სამსონ ფირცხალვა, მოლარე;

დამფუძნებელი წევრები: ბბ. გიორგი გვაზავა, სამსონ ფირცხალვა, შალვა ამირეჯიბი, სპირიდონ კედია, დავით შარაშიძე, მიხეილ წერეთელი, იოსებ გობეჩია, რაფენ არსენიძე, ნესტორ კალანდაძე.

ქ. მ. ქ. ს. ს. პრეფექტურაში მეორედ გატარებულია 1939 წლის 28 აგვისტოს და გამგეობაში შემდეგი ცვლილებები მომზდარა:

გიორგი გვაზავა, თავმჯდომარე,
ზურაბიშვილი ივანე, მღივანი,
ჭავჭავაძე ივანე, მოლარე;

თავმჯდომარის შესახებ შემდეგი ცნობებია აღნიშნული: გ. გვაზავა თანამშრომლობს „ბრძოლის ხმაში“ და „დამოუკიდებელ საქართველ-

ოში“, მარტო ხანგამოშვებით სცემს ფრანგულ ენაზე: **GEOGRAPHIA** (Sa quatrième) -ს ფურცელს.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ემიგრაციის პოლიტიკური და კულტურული აქტივობის ცენტრი ინაცილებს ბერლინში და ეს ცალკე შესწავლის საგანია.

საფრანგეთის ლიბერაციისა და ომის დამთავრების შემდეგ თანდათან იწყება ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების საჯარო აქტიურობა. პოლიტიკურ საქმიანობას წინ უსწორებს კულტურული. ერთი პირველთაგანი მწერალთა და უურნალისტთა საზოგადოება ანახლებს საქმიანობას, რომლის გამეობა პერიოდულ პრესის გამოცემასაც ახერხებს: „ჩვენი ქვეყანა“ -ს სახელწოდებით, რომლის პირველი ნომერი 1948 წლის თებერვლის თარიღითაა და რომელიც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის. ასე მაგ, ამ დროს პარიზში არსებობს მშობელთა კომიტეტი, ლევან ფალაგას თავმჯდომარეობით, სპორტული საზოგადოება „შევარდენი“, ქართ. ქალთა საქველმოქმედო კომიტეტი ჭ-ეკა დადიანის თავმჯდომარეობით, ქ. მ. უ. კავშირი, რომელზედაც ქრონიკაში ნათქვამია: „პარიზში, კერძო თაოსნობით, ახლი წესდებით, აღდგენილი იქნა ქართველ ემიგრანტ მწერალთა და უურნალისტთა კავშირი. კავშირმა თავის დამფუძნებელ კრებაზე აირჩია გამგეობა: თავმჯდომარე რაჟდენ არსენიძე, თავმჯდომარის ამხანაგი-გრიგოლ ურატაძე, წევრები: ნიკო ყურულიშვილი (მდივანი), გიორგი ყიფიანი(მოლარე).“

გამგეობამ თავისი საჯარო გამოსვლა მოახდინა ვახტანგ მეფის გარდაცვალებიდან ორასი წლისთავის აღნიშვნით, რის შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა ბ. არსენიძემ. ამის შემდეგ გამგეობა შეუდგა სისტემატიური მოხსენებების გამართვის. დღემდე მისი თაოსნობით მოეწყო შემდეგი მოხსენებები: ბ. კოხევიძე (ახლი ემიგრანტი) – „რომანტიზმი ქართ. ლიტერატურაში“; ბ. კ. გვარჯალაძე – „საერთაშორისო პოლიტიკური მდგრადება“, ბ. გრ. ურატაძე (ორ სხდომაზე) – „საქ. სამეფოს უკანასკნელი ხანა და მისი შეერთება რუსეთთან“. ალექსანდრე ყაზბეგის 50 წლისთავი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჭნა ელ. მამულაშვილმა ბბ. რ. არსენიძემ, პ. სარჯველაძემ, ე. ყურულაშვილმა, გ. წერეთელმა (ახალი ემიგრანტი) და გ. ყიფიანმა წაიკითხეს ყაზბეგის ლექსები.

*



„ჩეცნი ქვეყანა“ №2, რომელიც იმავე წლის მარტით არის დანერგული, შემდეგ ცნობას გვაწვდის: „მწერალთა კავშირი. 22 ოქტომბერის მწერალთა კავშირმა გამართა მორიგი მოხსენება. რ. გაბაშვილმა წაიკითხა – „ვეფხის ტყაოსანი და ლონ კიხოტი“, გ. წერეთელმა (ახალი ემიგრანტი) – ჩახრუხაიძეზე. მოხსენების შემდეგ მოხდა აზრთა გაცემა-გამოცემა. *

1952 წლიდან ბ. რაჭელენ არსენიძე ინიშნება მიუნხენში რადიო „განთავსუფლების“ ქართულად არაქციის უფროს რედაქტორად. პარიზში ქ. მწერალთა და უურნალისტთა საზეის გამგეობაში შეღიან მიხეილ გრიგოლია(თავმჯდომარე), ვახტანგ ციციშვილი (მდივანი), ვასო ლაპაძე (მოლარე). *

1961 წლის 29 ივნისიდან გამგეობაში არჩეული არიან: შალვა კალანდაძე (თავმჯდომარე), ვახტანგ ციციშვილი (მდივნად), გიორგი წერეთელი (მოლარე). *

1963 წლის 20 აპრილის საერთო კრება გამგეობაში ირჩევს: ელისე პატარიძეს (თავმჯდომარე), გიორგი ნოზაძეს (მდივნად), გიორგი წერეთელი (მოლარე). *

1965 წლის 16 ივნისის საერთო კრება ირჩევს: პოეტ გიორგი ყიფიანს (თავმჯდომარე), სანდრო ფანჩულიძეს (მდივნად), გიორგი წერეთელს (მოლარე). *

1970 წლის 14 მაისის თარიღით კავშირის გამგეობაში არჩეული არიან: პოეტი გიორგი ყიფიანი (თავმჯდომარე), ბ. ლევან ფალავა (მდივანი), ბ. მირიან მელუა (მოლარე). *

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან მოყოლებული 70-იან წლებამდე საფ. მცხოვრებ ქართველთ მწერალთა და უურნალისტთა კავშირში ლექცია-მოხსენებების კითხვით თუ თრგანიზაციული საქმიანობით მოხსენიებას იმსახურებენ: რევაზ გაბაშვილი, რაჟდენ არსენიძე, გიორგი კერესელიძე, გრიშა ურატაძე, ელისე პატარიძე. გრიგორ რობაქიძე, უენევილან, ალექსანდრ შათორიშვილი, სომოდან, კონსტანტინე გვარჯალაძე, მიხეილ გრიგოლია, შალვა კალანდაძე,

ვახტანგ ციციშვილი, გიორგი ნოზაძე, სერგო კოხერეიძე, გიორგი ჭავჭავაძე, ლევან ტიტინიძე, გიორგი ყიფიანი, პროფ. გიორგი შარაშიძე, ლევან ფაღავა, მირიან მელუა, სანდრო ფანჩულიძე: ქალი-სტრატე სალია, ვიქტორ ნოზაძე, ლევან ზურაბიშვილი, მიხეილ ქავთარაძე, პავლე სარჯველაძე ...

მასალები შეკრიბა ეთერი შენგალია-წერეთელმა

მცირე რამ დიდ გორის ბრძოლაზე

ძალიან გვიან გავიცანი შოთა მესხიას თხზულება: ძლევა საკვირველი. საერთოდ აღებულმა მან ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. თუმცა იქ აღძრულ საკითხებს საკმარისად ვიცნობდი, მაგრამ ასეთი მეცნიერულ-პოპულიარული ნაშრომის გამოცემა დიდად სასაჩვენოა. მან ჩემში გამოიწვია ზოგიერთი შენიშვნები და ზოგ საკითხებში ცოტაოდენი გარკვევის ცდაც.

1. ანსელუსის ცნობა, რომ დავითის სიკვდილის შემდეგ მისი დაქვრიცებული მეუღლე იერუსალიმში წავიდა და იქ მოლოზნად აღიკცეცა, მესხიას მიაჩნია დავითის მეუღლე გურანდუხტი, ყირჩაყთა მუფის ასული (იხ. „ძ. ს.“ გვ.76), ეს შეცდომაა. რაღაც ანსელუსის წერილი დათარიღებულია 1108 წლით. ეს ცნობილია (იხ. დედანი და ლათინური ტექსტი ზ. ავალიშვილის: „ჯვაროსანთა დროიდან“ გვ. 28). ამ დროს დავით აღმაშენებელი ცოცხალი იყო და გურანდუხტი ქვრივი ვერ იქნებოდა. მაშასადამე, ეს დედოფალი-მოლოზანი იყო სხვა. ის იყო დავითის პირველი ცოლი, რაზედაც ქართ წყაროები სდუმან. სომხური წყაროები კი მას იხსენიებენ. ის იყო სომქე მეფეთა ასული და როგორც ტახტის მემკვიდრე დემეტრე, აღბათ მისი ორი ქალიშვილიც, რომელთაგან ერთი მიათხვა შირვანშას და მეორე ბიზანტიის იმპერატორს, დავითს პირველი ცოლიდან ჰყავდა. ამაზე ქართული წყაროების სიჩქმე ივ. ჯავახიშვილმა სათანადოდ ახსნა და მას აღარ გავიმეორებ ...

2. რასაკვირველია, გერმანელი ფაშისტების მოხსენება და მარქსის დამოწმებაც წმინდა ბოლშევიკური ვითარების გამოძახილია, და „ფაშისტების“ მოქმედებას „სამამულო“ ომში გმირულ ბრძოლასა და გამარჯვებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ რეასი წლის წინ მომხდარ დიდორის ბრძოლასთან! ხელოვნურად კი აღამ და ევას



ხანძაც შეიძლება დაუკავშიროთ!

3. მესხია ფიქრობს, რომ დიდგორის ბრძოლაში „კაგბესის ზღვიუბი“ მათ ათვისი წლილი შეიტანეს; დასახელებულია: ყივჩაყები, ოსები, სომხები, შირვანელები და სხ. აქედან, ყივჩაყები უკვე ქართული ჯარის ნაწილს შეადგენდა და მათი ჩარიცხვა კავკასიელებში მისაღები არ არის. ხუთასი ოსი იყო დაქირავებული, ხოლო სომხები, შირვანელები და სხ. წყაროებში არ არიან მოხსენებულნი.

4. ამ შენიშვნების შემდეგ გამოსარტვევია ფრანგი ჯვაროსნების მონაშილეობის საკითხი დიდგორის ბრძოლაში. ამის შესახებ ჩვენ გვაქვს ორი ცნობა: სომებს ისტორიკოსის მათე ურპავლისა და იერუსალიმის კანცლერის გოტიესი, რასაც მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს. იგანე ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ (წიგნი 2, გვ. 520, 1914 წ.) მათე ურპავლზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ დავითს ჯარში ჰყოლია 1000 ფრანგი მეომარი, ხოლო მესხია იმავე ურპავლზე დამყარებული ცნობით ასახელებს მხოლოდ 100 ფრანგს, (იხ. „ძლევა საკვირველი“ გვ. 105), ხოლო გოტიე კანცლერის ცნობით, ფრანგ მეომართა რიცხვი ყოფილა 200 (იხ. ზ. ავალიშვილის „ჯვაროსანთა დროიდან“ გვ. 87).

შეთა მესხია სწერს: „წყაროების მონაცემები და თვით ჯვაროსნების და საქ.-ს ურთიერთობის საყოველოაოდ ცნობილი ფაქტები უკველს ხდიან ჯვაროსნების მონაშილეობას დიდგორის ბრძოლაში,“ (გვ. 107). ზ. ავალიშვილის სიტყვით, მათე ურპავლისა და გოტიეს ცნობები „საეჭვოა და აშკარად ტენდეციურია. ის კი, რომ ამ ოში შეთანხმებულად მოქმედებდნენ ქართველები და ჯვაროსნები – მოპირდაპირე ერთი ჰყავდათ – საფიქრებელია“ (იხ. მისი „ჯვაროსანთა დროიდან“, გვ. 71).

მონია, რომ ერთდაიმავე დროს სომებს ისტორიკოსის და ფრანგის დამოწმება უფრო დამაჯერებელია, იერუსალიმის მეფეს დამხმარეძალა გამოეგზავნა ქართველი მეფისთვის. ხოლო საკითხია: ეს იყო საგრძნობი, რეალური დახმარება, თუ მცირე, სიმბოლიური ხასიათისა. თუ ჩვენ გოტიეს მიერ დასახელებულ რიცხვს დღევანდელი მარტივი თვალსაზრისით მივიღებთ, რასაცირკელია, ეს არ არის რეალური დახმარება. თუ იერუსალიმში ორასი კაცი შესვეს ცხენზე და საქართველოში გამოისტუმრეს, სამას ათასიანი საქართველოს მტრის წინააღმდეგ, მათ როლზე ლაპარაკი სასაცილო იქნებოდა.

მაგრამ მდგომარეობა იცვლება თუ ჩვენ ანგარიშს გავუშევთ იმ

მცირე რამ დილგორის ბრძოლაზე



161

დროს ჩუალურ ვითარებას. საშუალ საუზენებში ასებათ და მოვალეობა აღმართდა. ასე ასებათ და მოვალეობა არ სტურატიოდნ. ეს ენი იყვნენ რაინდები. საქართველოში მათ ეწოდებოდათ მოყვე, რაინდ ან კაბუკი. მცნია, ფრანგული „შევალიე“ უდრიდა ქართულ „მოყვეს“. ეს იყო მძიმედ შეიარაღებული მეომარი თავისი დამხმარე ელემენტებით. საერთო ანგარიშით ს. კავაბაძე ფიქრობს, რომ ეს ორასი რაინდი, რაზეც გორიე სწერს, თავისი დამხმარე კაცებით უდრიდა 1500 - 2000 კაცს. ცხადია ეს ჯვაროსნები იყვნენ რაინდები და აღნიშნული რიცხვის მხედრობა უკვე ჩემაა; განსაკუთრებით მანევრებისა და მაშინ მიღებული ხერხების შესრულებისათვის, რასაც დავით აღმაშენებელი ხშირად მიმართავდა. ასეთი შემთხვევებისთვის კი ფართო ოდენობის ძალა არც კი იყო საჭირო.

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მძიმე „ავანტურებისათვის“ რჩეულ ელემენტებთანაც უნდა გვქონდეს საქმე. ჩვენ დროს რჩეული ჯარისკაცებზე აღარ ლაპარაკობენ, ხოლო ისრის, შუბის და ხმლის ხანაში ეს ჩემალური მოვლენა იყო. მაგ. დავით აღმაშენებელს ჰყავდა კარგად გაწვრთნილი, შეიარაღებული და შეჩრეული მებრძოლებისგან შექმნილი 5000 ე. წ. „მონა სპა“. ეს იყო მისი სამეფო გვარდია და ის ამ რჩეული ჯარით ხუთჯერ და მეტ მტრის ჯარს ამარცხებდა ხოლმე.

5. გამოსარკვევია, ვინ იყო გაგზავნილი დავითის მიერ მოწინავედ. ამის შესახებაც ორი ცნობა არსებობს. იბნ ალასირის ცნობით, ომისათვის რომ შეემზადენ, ამ დროს საქართველოს მხედრობას გამოეყო რასასი მხედარი ყივჩაყი და მტრის რაზმისაქნ გაეშურა; მა-ჰმადიანებს ეგონათ, რომ ყივჩაყებმა შეფეს უღალატეს და ალბათ უნდოდათ ჩაბარებულიყვნენ. მაგრამ ყივჩაყებმა უცბად იარაღი იშიშვლეს და მტრის ბანაცში დიდი არევ-დარევა შეიტანეს და ამან უკანა ნაწილებში ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ წინა ნაწილები დამარცხდნენ და დაიწყეს გაქცევა და სხ.

ეს უთუოდ გამოძახილია გორიეს ცნობებისა, რომლის მიხედვით მეფემ მოწინავედ გაგზავნა ორასი ფრანგი რაინდი. ყველა ამაზე შ. მესხია სწერს: „საკუთროა რომ ასეთი დიდმიშვნელოვანი მისია, რომელიც ქვეყნისა და მეფისათვის თავგანწირვას მოითხოვდა, ყივჩაყებისთვის და მით უფრო „ფრანგებისთვის“ (ჯვაროსნებისათვის) მიენდოო (იხ. მისი წიგნი გვ. 114)

შეიძლებოდა თუ არა, რომ დავითს ფრანგები გაეგზავნა მრავი პირები შესახვედრად? შეუძლებელი არ არის, რაღაც ეს მონაცილეობა დღევანდველი თვალსაზრისით არ უნდა გავიგოთ. დავითი აღმა ამას აკეთებს თავისი ცნობილი ხერხის შესასრულებლად, რის-თვისაც ფრანგთა რიცხვი საქმარისი იქნებოდა; მაგრამ რატომ ფრანგები და არა ქართველები? ამაზე შეიძლება შემდეგი პასუხი. ჩვენ ისეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რომ იერუსალიმიდან ჩამოსულ ფრანგებს სახელის მოხვეჭაც აინტერესებდათ, ამიტომ ასეთ შემთხვევაში ეს მეჯესაც ხელს აძლევდა და ისიც შეიძლება, რომ ამ მძიმე საქმის შესასრულებლად მეფესთან პირობა დაედოთ ისეთი როლის შესასრულებლად, სადაც სახელის მოსახვეჭად მეტი შანსი ექნებოდათ. ამიტომ, თუ საზოგადოდ ჯვაროსნების დაქმარებას ვიცნობთ, როგორც რეალურ დახმარებას, ხელს არაფერი უშლის, რომ დავით მეფეს ეს მათთვის მიენდო. მით უმეტეს გარდა მათი ამბიციებისა, იცოდა მათი გამოცდილებაც.

ს. კაკაბაძე გოტიერი ცნობას პირდაპირ იღებს, ის სწერს: „დიდგორის ბრძოლაში მოწინავედ ფრანგები იყვნენ, საფიქრებელია მათ მიერ ამის შესახებ წინასწარ დაყენებული პირობის მიხედვით“ (იხ. მისი „რუსთაველი და მისი ვეფუ ტყაოსანი“, გვ. 208). ამ მოსაზრებათა შესამოწმებლად უნდა გავიხსნოთ თვით ბრძოლის ფაქტი.

მტრერი და მოყვარე ყველა ერთხმად ალიარებს, რომ მაჰმადიანები სულ მალე იქნენ დამარცხებულნი და ბრძოლამ სულ სამი საათი გასტანა. თუ ლია ომი გაიმართებოდა, ნუთუ წარმოსადგენია, რომ ერთის მხრივ ქართველთა 40 თუ 50 ათასი ლაშქარი, ხოლო მეორეს მხრივ სამასი ათასი და ეს ბრძოლა სამ საათში დამთავრებულიყოს?! ეს არის ყოვლად დაუჯერებელი რამ. ხოლო რა უყოთ ერთხმად მოწოდებულ ცნობებს! თუ ეს მართალია, ამისთვის მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს. ამ უზარმაზარი რიცხვის მოწინააღმდეგეთა შორის სრული ომი არ მომზდარა. დასაწყისშივე მუსულმანთა ჯარის იმ ნაწილში, რომელიც ქართველებს უნდა შებმოდა, მომხდარი რაღაც დიდი არეულობა და დეზორგანიზაცია, რასაც ზურგსა და სხვა ნაწილებში სრული პანიკა გამოუწვევია, და როგორც ცნობები გაღმოგვცემენ, მათ უგრძვნიათ დამარცხება და დაწყებულა გაქცევა და თავის შეველა. მაშასასადამე, დავითის ხერხს გაუჭრია: მტრის ბანაკში ანარქია შეუტინია და მერე დაურტყია თავისი მთავარი ჯარით. მტრის ამ დეზორგანიზებულ ნაწილს მაინც უბრძოლია. მტრის

მცირე რამ დიდობორის ბრძოლაზე



ერთოვენი გამოცემის გარეშე

ეს ნაწილი ქართველების ძალას შეიძლება არც აღმატეს მართვის როველებს მასთან ბრძოლა სულ სამ საათში გაუთავებიათ და მერე დაუწყიათ დევნა. მაშასადამე, ქართველებთან მტრის მთელ ძალას არ უმნია, არამედ მხოლოდ ნაწილს.

დასკვნა: თუ კი მტრის ბანაკში აღრევის შეტანამ ხელი შეუწყო დავითის სწრაფ გამარჯვებას, რა გასაკვირველია, რომ მეფის მოწინავეთა აქტი გამარჯვების გადამწყვერად იყოს გამოცხადებული?! და თუ ეს მოწინავენი ფრანგები იყვნენ, ვინც აღნიშნულ პრივალუ გიას მათ მიაწერს, არც ეს არის გასაკვირველი! ხოლო თუ ეს მოწინავენი ქართველები იყვნენ, ეს მდგომარეობას არ ცვლის.

ჩასაკვირველია, ვინც ამ მდგომარეობას მარტივად შეხედავს, რომ 2000 კაცს გადაეწყიოთ ბედი ასეთი დიდი გამარჯვებისა, ყველას სასაცილოდ მოეჩენება, მაგრამ ეს 2000 მეომარი ხომ დავითის ძლიერი არმიის ნაწილს შეადგენდა?! და ვინც დავითის ბრძოლის ტაქტიკას იცნობს, სრულებით სასაცილოდ არ ჩათვლის, რომ მოწინავეთა მიერ დავითის ტაქტიკის ღირსეულ შესრულებას გზა გაეხსნა დავითის მთავარი შეტევისა და გამარჯვებისათვის.

ა. მ ა ნ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

31 / 12 / 1990. არვანდა, კოლორადო

ე პ ლ ე ს ი ა დ ა დ ე მ თ კ რ ა ტ ი უ ლ ი წ ყ მ ბ ა

ამ ერიკელები ერთ-ერთი ყველაზე მორწმუნე ხალხია მსოფლიოში. მოსახლეობის რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, შეერთ. შტატებში აღმართ უფრო მეტი სალოცავია, ვიღრე სხვა ქვეყნებში, პროტესტანტული ეკლესია იქნება ესა თუ სხვა: კათოლიკური, მართლმადიდებლური, ეპუსტები, სინაგოგები, ტაძრები, მეჩეთები და სხვა რელიგიური ცენტრები. გარდა ამისა, ჩვეულებრივ ამბად იქცა ე.წ. *Cristian revivals*, რაც სინამდვილეში ქრისტიანული რელიგიის უშუალო, ხმაურიან პოლოგიას ნიშნავს: ხალხში, ქუჩაში გამოსული თავიანთი სურვილისა და რწმენის დემონსტრაციას; და ამას დაემატა კიდევ ერთი ფორმა ხალხის რელიგიური განწყობის დაკმაყოფილებისა – სატელევიზიო ევანგელისტთა-ქადაგთა გადაცემები, რაც აგრეთვე დიდ აუდიტორიას იზიდავს.

მთელი ეს აქტიური რელიგიური ცხოვრება, ამასთანავე, მზღვებად გერძოა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ცალკე პირთა ფულადი შესაწირავის წყალობით. იგი სრულდება პირადი საკუთრების არეალში და არავითარ დახმარებას არ იღებს არავითარ სახელმწიფოებრივი დაწესებულებიდან და მართლაც, მცდასიისა და სახელმწიფოს გამიჯნვა-განცალკევება მკაცრად არის და ცული და სრულდება ამერიკული კონსტიტუციის კანონის თანაბმად.

უძველესი დემოკრატია, უძველეს კონსტიტუციასთან ერთად, რომელიც უწყვეტად ტარდება ცხოვრებაში, არის არს ამერიკის შეერთებული შტატებისა. ამერიკული კონსტიტუცია კანონად იქცა 1789 წ. 4 მარტს, ანუ 13 წლის შემდეგ, რაც გამოაქვეყნეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია და 6 წლის შემდეგ, რაც დაიდო პარიზის ხელშეკრულება, რამაც დაასრულა ომი დამოუკიდებლობისათვის და სრული გამარჯვება მოუტანა შეერთებულ შტატებს.

საკონსტიტუციო კრილობა, რომელიც 1787 წ. 25 მაისს შეიკრიბა, და ოთხ თვეს უწყვეტად გრძელდებოდა, 17 სექტემბერის დასრულა მუშაობა. შტატებს სარატიფიკაციოდ გაუგზავნეს მოყვე დოკუმენტი— მთელი ტექსტი სულ 14 გვერდს შეადგენდა. რატიფიკაციისათვის საკმარისი იყო ცხრა შტატის მხარდაჭერა ცამეტ არსებულიდან. ამას მოჟვა ცხოველი სკაბაასი და ბოლოს, ორი წლის შემდეგ, 1789 წლის ოთხ მარტს კონსტიტუცია ძალაში შევიდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ შეიძლებოდა კონსტიტუციის გაშვა შესწორება-დამატებების ხარჯზე. ასეთ შესწორებებს ძალა რომ ჰქონოდათ, საჭირო იყო მათი რატიფიკაცია შტატების საერთო რიცხვის ორი მესამედით. შესაბამისად 1789 წლის 8 ივნისს, ჯეიმს მედისონმა შესთავაზა ათი შესწორება, რომლებმაც გაიარეს რატიფიკაცია და ძალაში შევიდნენ 1791 წლის 15 დეკემბრიდან. ამ ათივე შესწორება-დამატებების „უფლებათა კანონპროექტის“ უწოდებენ, ხოლო პირველს მათ შორის ლამის უფრო არსებითად თვლიან, ვიდრე მთელს დანარჩენ კონსტიტუციას. ეს პირველი შესწორება გარანტიულად უზრუნველყოფს ლოცვის თავისუფლებას, სიტყვის თავისუფლებას, იძლევა მშვიდობიანი შეკრებისა და მთავრობისადმი პეტიციის მიმართვის თავისუფლებას. ამასთანავე იგი კრძალავს სახელმწიფო სახსრებით ეკლესიის დაფუძნებას და მოიხოვს ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებას.

ამ მისი ქართული თარგმანი: კონგრესი არ დადგენს არავითარ კა-



ეკლესია და დემოკრატიული წყობა

ნონს, რომელიც შეეხება რელიგიის დაფუძნებას ან ასეთი მიზანების სამართლების ფალი აღსრულების აქტალგას, ან შეზღუდვას სიტყვის თავისუფლა-ბის, ანდა პრესისა, ან ხალხის უფლებას მშვიდობიანი შეკრებისა და მთავრობისადმი პეტიციით მიმართვისა, დარღვევათა შესასწორებლად.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ეს გამიჯვნა ნიშნავს, რომ არავითარი საზოგადოებრივი თანხები არ უნდა იქნეს გამოყენებული ეკლესიათა ასაგებად ანდა მათი მოვლისათვის, მღვდლთა ან რელიგიის მამათა ხელფასებისათვის და ნებისმიერი საქმიანობის მიმართ, რაც ეკლესიასთან არის დაკავშირებული.

მეორე მხრით, ეს იმასაც ნიშნავს, რომ არავითარი კანონი თუ წესი არ ჩაითვლება კონსტიტუციურად, თუ მან შეიძლება ხელი შეუშალოს რელიგიის თავისუფალ აღსრულებას, სანამ ამას აქვს პირადული ფორმა, ე. ი. არა მთავრობისუული, და არ იხმარიებს საზოგადოებრივ სახსრებს.

შეერთებულ შტატებში უმაღლესი სასამართლო არის ის პარატი, რომელიც იძლევა კონსტიტუციის ინტერპრეტაციას და აღასრულებს მის დაცვას, ძალაუფლების გაყოფის პრინციპის შესაბამისად, რაც ჩაქსოვილია კონსტიტუციაში და გულისხმობს საკანონმდებლო ძალაუფლებას, აღმასრულებელ ძალაუფლებასა და სამართლებრივ ძალაუფლებას, უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეს თავისი ადგილი უკავია მთელი სიცოცხლის მანძილზე, და არ შეიძლება გადაყენებული იქნეს. ისინი დაცული არიან პოლიტიკური ზემოქმედებისა და მასობრივი მოძრაობისაგან და სამართლის ქმნიან საკუთარი სინდისის შესაბამისად. რაც შეეხება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხს, ორასი წლის მანძილზე უმაღლესი მოსამართლენი განუხრელად ატარებენ მყაცრი გამიჯვნისა და ჩაურევლობის პრინციპს.

ამ მხრით ყურადღასაღებია რამდენიმე არცუ ისე ძველი მაგალითი.

1925: ორეგონის შტატში კანონი მოითხოვდა მშობლებისაგან, რომ მერვე კლასამდე (დაახლოებით 14 წლამდე) ეტარებინათ ბავშვები საშუალო სკოლაში. უმაღლესმა სასამართლომ გააბათილა ეს კანონი, რადგანაც ის წინ აღუდგა „მშობელთა უფლებას გაეგზავნათ ბავშვები რელიგიურ სკოლაში, თუკი ჰქონდათ ამის სურვილი“.

1977: არაკონსტიტუციურად გამოცადდა ნიუჰემფლის შტატის კანონი, რომელიც მოითხოვდა ავტომობილების სალიცენზიონ ნომერთა

ფირფიტაზე ყოფილიყო შტატის დევიზი: „თავისუფალი სიკურიტე ან სიკვდილი“. (აშშ-ში ყოველ შტ-აქცის საკუთ-ავტომანქატების სალიცენზიონ ფირფიტები). ჩელიგიურმა ჯგუფმა „იელოვას მოწმეებმა“ შეუტია ამ კანონს, როგორც მათ მორალურ, ჩელიგიურ თუ პოლი-ტიკურ მრწამსათან შეუთავსებელს.

1947: ავტობუსით ბაგშვების გაგზავნა ჩელიგიურ სკოლებში (რაც საზოგადოებრივი ხარჯებით ხდება), რათა მშობლებმა შეძლონ უხი-ფათოდ და სწრაფად წაიყვანი - წამოიყვანონ ოფიციალურად აღ-იარებულ სკოლებში, განურჩევლად მათი ჩელიგიისა - ამ კანონს არ დაურღვევია ეჭლესისა და სახელმწიფოს გამმიჯნავი კედელი.

1962: უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა დადგენილება 22 სიტყვი-ანი ლოცვის შესახებ, რომელიც ყოველდღე უნდა აღვლინათ მეცად-ინების დაწყების წინ ნიუ-იორკის შტატში. სასამართლომ დაადგინა, რომ „მთავრობის საქმიანობაში არ შედის შეადგინოს ოფიცია-ლური ლოცვა ნებისმიერი ჯგუფისათვის ... ანდა მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ჩელიგიურ პროგრამაში“.

ეჭლესისა და სახელმწიფოს გამიჯვნა აგრეთვე გულისხმობს, რომ არავითარი რელიგიური ფუნქცია არ შეიძლება დაუკავშირდეს რაიმე საზოგადოებრივ ინსტიტუტს, ანდა კერძო ინსტიტუტის (დაწესებულების) ნებისმიერ მხარეს, რომელიც აგებული იქნა საზოგადოებრივი სახსრებით და ამავე სახსრებს ეყრდნობა მისი მოვლა. მაგალითად,

1971 წლს უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დასაშვებია დახმარება ფედერალური ან ცალკე შტატისაგან სასწავლებლად გან-კუთვნილ შენობათა მიმართ, რომლებიც ეჭლესიებთან არის დაკავშირებული, აგრეთვე სხვა კერძო კოლეჯების შენობებისა, მაგრამ ეს შენობები არასოდეს არ შეიძლება გამოყენებული იქნენ რაიმე რელი-გიური მიზნისათვის. ასეთი გამიჯვნა ნიშნავს აგრეთვე, რომ არავი-თარი საზოგადოებრივი ცერემონიალი არ უნდა შეიცავდეს რელიგიურ მსახურებას. მაგალითად, ცერემონია, რომელიც თან სდევს სახ. უნი-ვერსიტეტის გახსნას, არ შეიცავს რელიგიურ მსახურებას, მაგრამ კერძო უნივერსიტეტის გახსნისას ასეთი სამსახურის ჩატარება შეი-ძლება.

შეერთებული შტატების ეს უძველესი პრინციპი - ეჭლესისა და სახელმწიფოს გამიჯვნის - განმტკიცებული პრინციპია ყველა დემოკ-რატიულ ქვეყანაში: საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, სკანდი-ნავიაში და ა. შ. ყველგან ერთია, თუმცა არსებობს მისი ნაირსახე-



ობებიც, მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში საზოგადოებრივი სახსრები შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ძველი ეკლესიების აღსაღენად და მოსავლელად, რომლებიც ეროვნულ ძეგლებად არიან მიჩნეული. შობა საერთოდ საზოგადოებრივი დღესასწაულია: ნიუ-იორქში არაქრისტიან სახელმწიფო მოსამსახურეს შეუძლია დაისვენოს საკუთარი რელიგიური დღესასწაულების დროს – ეს ეხება ებრაელებს – ებრაელი აღდგომის დღეებში ებრაულ აღდგომას უქმნბს, ჩინელები-ჩინური ახალი წლის დღეებში.

და მართლაც, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა რჩება დემოკრატიის ერთ-ერთ ბურჯად, ვინაიდან, სახელმწიფოსაგან მხარდაჭერილი რელიგია აუცილებლად იწვევს დაუშვებელ ჩაგვრას და მთავრდება რელიგიურ გრძნობათა გაქრობით. მაგალითად, ფრანგის მართველობის პერიოდში, ესპანეთში განსაკუთრებით აუცილებელი იყო ეკლესიის ღვთისმსახურების დასწრება. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ხალხი თავის არიდებას ცდილობდა და რელიგიური შეგრძნება გაცილებით შესუსტდა.

მართლმადიდებლობის აღორძინება დღევანდელ საქართველოში აღვილი გასავებია **70** წლიანი კომუნიზმის შემდეგ, რაც სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ რელიგიად იყო ქცეული. მიუხედავად ამისა, მე მჯერა და იმედი მაქსი, რომ ახალი საქართველოს მთავრობა მტკიცედ გაატარებს ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის პრინციპს, რაც შევა ახალ კონსტიტუციაში – როგორც ეს იყო **1918 - 1921 წ.-წ.** პირველ თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკაში.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ოფიციალური განცალკევება ხელს შეუწყობს დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას, გაძლიერებას პირად ღვთისმსახურებას და უჩვენებს ბევრ ქართველს – მავმალიანური, იუდეისტური თუ სხვა რწმენისას, რომ თავისუფალი საქართველო, მართლაც ყველა ქართველისთვისაა – როგორიც უნდა იყოს იგი, რათა გადარჩეს და გაიფურჩქნოს

რეჯებ უორდანია

(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 13 დეკემბ. 1990.)



ქ რ თ ნ ი კ ა

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ქ უ თ ა ი ს შ ი

გასული წლის ოც სექტემბერს განსაკუთრებული ზეიმი იყო იმერუ-
თის დედაქალაქში. აქ სრულიად საქართველო ზეიმობდა მეორე სახ-
ელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას საქართველოში. ქუთათური უნივე-
რსიტეტი არაფრიდან არ იწყებს სათავეს, იგი შეიქმნა 1933 წლი-
დან არსებულ პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე. როგორც უნივერსი-
ტეტის რექტორმა ქადაგიშვილმა ნანული კავაურიძემ განაცხადა:
— საუნივერსიტეტო სწავლება დღევანდველ ეტაზზე წარიმართება ჩვ-
ენთან არსებული ექვსი ფაკულტეტის 21 სპეციალობაზე. ქუთაისის
უნივერსიტეტი ატარებს აკაკი ჭირეთლის სახელს. „ა კ ა კ ი 150.“
ასე იწყებს არსებობას ქუთაისის მეცნიერებათა ტაძარი.

ილია საქართველოვ!

კ ო ლ ა უ ნ ა დ ი რ ა ძ ი ს გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა


ოქტომბრის უკანასკნელ დღეებში, როცა საქართველო საარჩევნო
ပიებ-ცხელებაში იყო, ამა სოფლიდან უხმაუროდ გავიდა, თითქმის
საუკუნეს მიღწეული, ცისფერ ყანშელთა პოეზიის ორდენის უკანას-
კნელი რაინდ კოლაუ ნაღირაძე.

კოლაუ ნაღირაძე დაიბადა ქუთაისში 1895 წლის 26 თებერვალს.
ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა
მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სამწერლო ასპა-
რეზზე გამოდის 1916 წელს, ხოლო მისი ლექსების პირველი წიგნი
„ბალდახინი“ გამოვიდა 1919 წელს. დაესწრო სამშობლოს აღდგომა-
სა და დამხმაბას. ეწამდა სულით, მაგრამ უვნებლად გადაცურა საში-
ნელ ქარიშხლით აღძრული ტალღები. სასუფეველი დაუმკვიდროს ღმერთმა!

ი მ ე რ ე თ ი

შენ ვეღარ გიმზერ, ჩემი სიმღერა
ალარ მოესმის შენს ცისფერ ველებს,
მე მშობლიური დავკარგვ კერაც
და მაინც გიშვდი ალერსით ხელებს.

კოლაუ ნადირაძე: „ი მ ე რ ე თ ი“



69
ეროვნული
პიტურისტის

რად მაგონდება ასე უღმერთოდ
შენი თხემები ჩამოქცეული?
რად მინდა, მოვკვდე და შეგიერთო
შენ ჩემი სისხლი, ჩემი სხეული?

რად შემიყვარდა დღეს ისევ ისე
თოვლი, წვიმები და ღელები?
ზღვად მოვარდნილი შენი მაისი,
ქაჯებით სავსე შენი ტყეები?

ვიცოდე მაინც, რად არ მასვენებს
ქოხში სმენილი სიმღერა ტკბილი!
ზაფხულის წვიმა ისევ მასველებს,
ისევ მომკვეთა ალუჩამ კბილი.

ისევ ხარები მიღიან ნელა
ვიწროდ ამოჭრილ სოფლის შარაზე
და მზის ჩასვლამდე თოხები ელავს
აბიბინებულ გლეხის ყანაზე-

მე თითქოს ცქერა ახლა ამეცრა
და გამოვფხიზლდი მძინარ გონებით...
თითქოს ამღერდნენ ჩემში უეცრად
სერაფიმების ლეგიონები!

მე მინდა, დავთვრე ჩუმად და ტკბილად
ამ ულაუვარდეს, უძირო ზეცით.
მოვზილო მჟადი და, როგორც წინად,
კვლავ ავაფიცხო ბუხართან კეცით.

არა, არასდროს არ მეღირსება
გადავიწყება შენი სიმწვანის!
გხედავ, მარნები მაჭრით ივსება
და ოქროდ ღელავს სიმწიფე ყანის.



ხელახლა სოფლის ვიწრო ბოგირზე უკრიცხული
გააქვს ჭრიალი ღმერთი ურემს
და გლეხსაც სძინავს ყანის ნაპირზე,
როცა შუალის მზე დაახურებს.

ქვეყანავ ჩემო, ზეცით ნაკურთხო,
უხვად მორწყულო მზითა და მთვარით!
მე შენს კალთებზე დავეძებ კუთხეს,
მომეცი შენთან თავშესაფარი!

ისევ შემიშვი მოწნულ ფაცხაში,
სადაც ქართულად აკვანს არწევენ,
მანახე შენი ზეცის კაშკაში,
მასმინე ხმები – გულს რომ ანგრევენ.

რომ კიდევ ერთხელ, ქცეულმა შველად,
გადავირბინო შენი ნოხები,
რომ ფეხშიშველამ ვიარო ველად,
ვიყნოსო კვამლი შენი ქოხების!

რომ ხელმეორედ ვიგრძნო სინაზე
ჭალადიდის და ორპირის კუთხის,
სადაც ნიავის ფრთებით დილაზე
მოჰქრის შავი ზღვის სურნელი მწუთხე.

სადაც ტყები, ჩარგული წყალში,
გარშემორტყმულან მაღალ ისლებით
და ზეცის კიდეს, გახვეულს ალში,
მძიმედ არხევენ ლურჯი ნისლები.

მოვსულვარ შენთან შერიგებული,
რომ გითხრა მაინც – სურველი ახდა,—
მე ვარ ბულბული ამღერებული,
ატირებული საყვარელ ბალთან!..

ქ რ თ ნ ი ჭ ა

ეროვნული

შილდის მიერაცხვა

რომ გითხრა მაინც – კიდევ ეს გული
სალამურივით მკერდში მიძღვის,
რომ ვარ ქართველი, ქართული რჯულის
და მიყვარს შენი ქვიშა და მტვერიც!

და თუ მე დღემდე ბედს ვეჭიდები –
ჩანს მშობელ ზეცის კურთხევა მიცავს!..
მოვედი შენთან რომ მორიცებით
კიდევ ვემთხვიო შენს წმინდა მიწას!

კოლაუ ნადირაძე

1926

სოლომონ II ის ნეშტი სამჟაბლო ში

ტრაპიზონიდან, სადაც ის რუსთა მძლავრობას გამოქცეული გარდაიცვალა 175 წლის წინად, იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ მეორის ნეშტი გადმისვენებული და დაკრძალული იქნა ბაგრატიონთა, მცხეთის სვეტიცხოვლის სამეფო საძვალეში.

„ლემის“ მეორე ყრილობა

სადროშო „ლემის“ ინიციატივა ეკუთვნით აფხაზებში მცხოვრებ სვანებს და მას ქართული ინტერესების დაცვა ჰქონდა მიზნად, ამ კუთხეში მოძალებული ანტიეროვნული დამარცვებელი მოქმედებათა წინაღმადგრად. მოძრაობა სწრაფად გაიზარდა, საყოველთაო სვანური გახდა და იგი ყველგან იყო „სადაც მამულს უჭირდა. „ლემის“ უმაღლესი ორგანოა „მთავარი ნაფიცთა საბჭო“ და სადროშო „ლემის“, თავმჯდომარეა აკაკი გასვიანი.

გასული წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდა „ლემის“ მეორე ყრილობა გულიფუში. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, ამიერიდან სადროშოს შეეცვალოს სახელწოდება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“, რომელიც სტრუქტურულად დაიყოფა სადროშოებად და პირველად ორგანიზაციებად. პრეამბულაში ხაზ-



გასმითაა აღნიშნული, რომ სრულიად საქ.-ს საზოგ. პოლიციური მორგანიზაცია „ლემი“ -ს საქმიანობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ბრძოლა საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. იგი ერის წინაშე მდგომი ყველა პრობლემის პარტიისანი დიალოგის გზით გადაჭრის მომხრეა, და გმობს ყოველგვარ ძალადობას, მაგრამ მათვე დროს უკომპრომისოდ დაუპირისპირდება ყველა ორგანიზაციას, პოლიტიკურ ჯგუფს თუ ცალკეულ პიროვნებებს, რომელთა საქმიანობა წარმართულია ერის ინტერესების წინააღმდეგ. ორგანიზაცია მთლიანად უჭირს მხარს საქართველოს ახალი უზენაესი საბჭოს მიერ აღებულ კურსს და თავის პროგრამას ახორციელებს მის მიერ მიღებულ ლონისძიებათა შესაბამისად... დასასრულს ყრილობამ აღტერნატიულ საფუძველზე აირჩია ორგანიზაციის მთავარი ნაფიცთა საბჭოს თავ - რედ აკაკი გასვიანი, თანათ აემჯდომარედ - დავით ჯაფარიძე.

(იხ. „საქ. რესუბლიკა“ № 1 6 / 12 / 1990)

შეიქმნა ეროვნული გვარდია

გასული წლის 20 დეკემბერს საქ. რესუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომამ, სხვა ღონისძიებათა შორის, მიიღო დადგენილება ს. რ. შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროსამ ყალიბდება მთავარი სამმართველო გვარდიის სახელმძღვანელოდ. მისი უფროსი იმავდროულად იქნება შინაგ. მინისტრის პირველი მოადგილური ეროვნულ გვარდიის მეთაურობს სარდალი, რომელსაც ნიშნავს საქ. რესპ. უზენაესი საბჭო. ეროვნული გვარდია მოწოდებულია იცავდეს სამშობლოს ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და პირად ღირსებას და სხ. ერ. გვარდიის რიგითი შემადგენლობის დაკომპლექტება ხდება საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების საფუძველზე, საქ. რესპ. მოქალაქეებით, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ, ხოლო მეთაურთა შემადგენლობისა – საქ. რესპ. მოქალაქეებით ნებაყოფლობით საფუძველზე, კონტრაქტით.

ეროვნულ-დემოკრატიული და დემოკრატიული
პარტიების გაერთიანება საქართველო
სიმარტინი

წელს 8 თებერვალს—დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს—
თბილისში გაიმართა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და
დემოკრატიული პარტიის ერთობლივი კონფერენცია. სხდომას
თავმჯდომარეობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტი-
კური მდივანი მამუკა გიორგაძე. ორივე პარტიის ლიდერებმა,
კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გიორ-
გი ჭავარიამ და დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევ-
რმა თენგიზ შარმანაშვილმა განმარტეს მათი პარტიების პო-
ზიციები. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც და საბოლოოდ
კონფერენციამ მიიღო დადგენილება პარტიების გაერთიანებისა.
გაერთიანებული პარტია ატარებს ეროვნ. —დემოკრატიულ პა-
რტიის სახელს, მაგრამ მომავალი ყრილობამდე სახელს დაე-
მატება სიტყვა „გაერთიანებული“. დროშად დარჩა ეროვნულ-
დემოკრატიული პარტიის ტრადიციული სამფეროვანი დროშა,
ხოლო პარტიის გერბია წმინდა გრაალი. კონფერენციამ იმს-
ჯელა „თეოდემოკრატიის“ პრინციპის შესახებ და გადაწყვდა
მისი ძველებურად დატოვება პარტიის პროგრამაში. პარტიის
ეყოლება თავმჯდომარე და მისი აჩჩევა მოხდება ზოგადწყლი-
ურად. კონფერენციამ დაადგინა, რომ გაერთიანებული ეროვ-
ნულ-დემოკრატიული პარტიის მეოთხე ყრილობა გაიმართოს
1991 წლის მაისის მეორე ნახევარში, რომელიც მიიღებს ახ-
ალ პროგრამა-წესდებას და მოახდენს მთავარი კომიტეტის
არჩევნებს. მანამდე კი მთავარ კომიტეტს წარმოადგენს:
გიორგი ჭავარია, მამუკა გიორგაძე, თენეგიზ შარმანაშვილი,
ვახტანგ ტალახაძე, გურამ ჩახვაძე, ირინა სარიშვილი, ვას-
ილ ჭყაიძე, ვანო ხუსუნაშვილი, დავით კვარაცხელია, ნიკო-
გონაშვილი, გია ჭუმბაძე და პარტიის საზღვარგარეთის ბი-
უროს მდივანი თენეგიზ გუდავა.

(ლიტ. საქართველო 15 თებერვალი 1991.)

„ა მ ი რ ა ნ ი 1990“. იგივე გაზეთის იგი ნომრის ცნ-
ობით, სრულიად საქ. —ს რუსთაველის საზოგადოებას და საქ-
თეატრის კავშირს გამოუყიათ ოპოზიციური ლიტერატურულ-
მხატვრული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრებული „ამირანი“,
1990“, რომლის შემდგენელ-რედაქტორია ნოდარ წულეისკირი.

ქართულ-ევროპული ინსტიტუტის პრემიების კონკურსი: მოთხევა

სწორედ ახალი წლის დღესასწაულს დაემთხვეა პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ლიტერატურული პრემიების პირველი კონკურსის ღაურეატებისათვის ჯილდოების გადაცემის ცერემონია.

როგორც გამოცხადებული იყო „ივერიის“ უკანასკნელ 35 - ე ნომერში, I. ილია ჭავჭავაძის პრემია -10.000 ფრანგ. ფრანკი მიენიჭა მიხეილ თამარაშვილის წიგნის: „ქართ. ეკლესია დასაბამიდან დღე მდე“ მთარგმნელებს: მანანა ბანძელაძეს (გარდაცვალების შემდეგ), სოფიკო ბენდიაშვილს, სალომე გაბუნიას, სიბილა გელაძეს, გურანდა დათაშვილს, ნელი კაციტაძეს, ნინო ხმალაძეს; რედაქტორებს: ზაზა ალექსიძეს და ჯუმბერ ოლიშვილს.

II. ქართ. ევროპ. ინსტიტუტის პრემია, 3000 ფრ. ოდენობის თოთვეულს: სოფიო კედიას მოგონებათა წიგნისთვის: „105 წლის ხანგრძლივობის წერილი შვილს“, ეთერ თათარიძეს, წიგნისთვის: „მამამა ღმერთს ჩამახყარა სახელი“ (გულჭან რაზიკაშვილის ნაამბ.), ვახუშტი კოტეტიშვილს, თარგმანთა წიგნისთვის: რილგვა: „დუინური ელეგიები და სონეტები ორფეოსისადმი“.

პრემიების საზემო გადაცემის შესახებ ჩვენ არაფერი შეგვიძლია მოვუთხროთ ჩვენს მკითხველებს, რადგანაც იგი დაკეტილ კარებში მოხდა ძალიან ვიწრო ელიტას შორის. სამშობლოდან ჩამოსულ სტუმრები, ეტყობა, სადღესასწაულოდ გაჩირალდებული პარიზის ხილვითაც მოხიბლულ ან, მაგრამ საჯარო მანიფესტაცია საჯაროდ უნდა ხდებოდეს და რაც შეიძლება ფართოდ. რა თქმა უნდა, ამისთვის ჯ. კაშიას ბინა არ იქმარებდა, მაგრამ პატარა ზალის ჭირაობა ძვირი არ დაჯდებოდა, თუ არადა სრულიად უფასოდ შეიძლებოდა ჩვენს ელემენტი. იმედია, რომ ეს ნაკლი თავისთავად გამოსწორდება, რადგან ინსტიტუტს ბინის უკმარისობის პრობლემა აღარ ექნება. ამის თაობაზე სიტყვას გადავცემ ზოგიერთ სტუმარს: ვახტანგი კოტეტიშვილი: „ზედმეტი არ იქნება, ჩვენშიც შეიტყონ ერთი კარგი ჩანაფიქრის თაობაზე. პარიზში მოლვაშვილს ქართველებისათვის ნაცნობი რამაზ პატუაშვილი, რომელიც საქმის კაცია, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მამამისს სიკვდილის წინ თურმე შვილები დაუბარებია და ანდერძად დაუტოვებია, რაც მე



ვერ შევძეღლ საქართველოსთვის, ეცაფთ თქვენ შეძლოთ და, რამაზმა, ჯანრიშ, გუჯიმ და იქაურმა ქართველებმა გადაწყვიტეს, შევმნან ქართული კულტურის ცენტრი პარიზში, ბუნებრივია, ინსტიტუტიც ამ ბაზაზე იქნება. მ ზია ბა ქრაძე: „აქამდე ინსტიტუტს თოახიც არ გააჩნდა და მისი აღგილსამყოფელი ჯანრი კაშიას ბინა გახლდათ.“ ვახუშტი კოტეტიშვილი: „შეარჩიეს მონარქასზე, შესანიშნავ აღგილსა მშევნიერი სახლი. ამ სახლის ორი სართული 500 კვ. მეტრის მოცულობისა, შეიძლება ჩათვალოს, რომ უკვე პროექტიც მაჩვენეს: ამ შენობაში იქნება საკონფერენციო დარბაზი, ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საგამოფენო დარბაზი, ქართული რესტორანი და პარტარა სასტუმრო. ამ კულტურულ ცენტრში და ინსტიტუტში აპირებენ, რომ მიიწვიონ ქართველი ახალგაზრდები სტაუირებისათვის ერთი ან ორი თვით, მეტი ხნითაც; და იმედოვნებენ, რომ წელიწადში ათასი ახალგაზრდა გაიღოს ამ ევროპულ სკოლას.“ ჯუმბერ თდიშვილი: „ათასი ახალგაზრდა ცოტა ირეალური მეჩვენება ... (იხ. „ლიტერატურული საქართველო“ 25 იანვარი 1991, გვ. 12.) ბარონო ჯუმბერ, თქვენებრ ჩვენც ირეალურად გვესახება ყველაფერი ეს. იგი უფრო ნაცარქექიას იმ ზღაპრს ჰგავს, რომელიც ასე უყვარს ქართველ ბავშვებს.

გორგაზო მკვლელი!

თორმეტსა და ცამეტ იანვრის ღამით, როგორც ეს ყაჩაღებს აქვთ წესად, წითელ არმიის სადესანტო ნაწილებმა იერიში მიიტანეს მშევიდად მძინარე ქ. ვილნიუსის მოსახლეობაზე, მრავალი ამოხოცეს და დაჭრეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ლიტევებმა დამოკიდებლად ცხოვრება გადაწყვიტეს. მიუხედავად სარსეთის ყურეში არსებული უაღრესად დაძაბული საერთაშორისო განწყობილებისა, მსოფლიო საზოგადოებრიობა შეაძრწუნა საერთაშორისო ბანდიტიზმისა და მუხანათობის შემზარავმა გამოვლინებამ. 14 იანვრის საღამოს, საბჭოთა კავშირის საერთოს წინ პარიზში გაიმართა მდლავრი საპროტესტო მანიფესტაცია, საბჭოთა კავშირის ტყველების მყოფ ერთა წარმომადგენლების მონაწილეობით. თვით ლიტევების შემდეგ ქართველ ლტოლვილთა ბირთვი ყველაზე მრავალრიცხოვნად იყო წარმოდგენილი. გუშინწინდელი ვილნიუსის პარალელი აშკარა

იყო 1989 წლის 9 აპრილის თბილისთან. ლიტველთა და ქართველთა ბრძოლაცა და მსხვერპლიც საერთოა. მანიფესტანტებისგან უზრუნველყოდა: გორბაჩოვი მკვლელი! გორბაჩოვი მკვლელი! ამ სიტყვებში უცნაური ის იყო, რომ იგი კუთვნოდა იმ პირს, რომელიც გამოცხადებულია 1990 წლის ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატად!

ჯანსულ კანიძე მეორედ პარიზში

პარიზის დიდი მუსიკის მოყვარულები ერთხელ კიდევ ეზიარებ ბ-ნ ჯანსულ კანიძის ხელოვნებას ამ წლის პირველ დღეებში. მისი სახელი პროგრამაში არ ყოფილა და აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მისი მოწვევა უკანასკნელ წუთებში გადიწყდა. ამ ჯერადაც მან მოხიბლა დამსწრე საზოგადოება. მის დიდ წარმატებას ხაზი გაუსვეს მუსიკის კრიტიკოსებმაც, რომელებმაც ერთხმად აღიარეს: „კართველმა დირიჟორმა გვიძლვნა კეშმარიტად მომჯადობელი სკექტაკლი: ფაუსტის წაწყმენდა“.

ქართული წიგნები პარიზის „ფუარზე“

14 - 17 თებერვალი პარიზში ჩატარდა წიგნის საერთაშორისო ბაზრობა. საბჭოთა კავშირის პავილიონში ქართულ წიგნსაც ჰქონდა ერთი პატარა კუთხე დათმობილი. სიმართლე რომ ვთქვთ, მას უფრო დიდი ფართობი არც ესაჭიროებოდა. ჩვენს ეროვნულ გამომცემლობას ერთი სიმპათიური ბატონი რეზო ლლონტი ახლდა, დირექტორიც ის იყო და მოსამსახურეც. ჩვენ ცუდ დროს მოგვიხდა ვიზიტი. ბატონ რეზოს სადღაც მიეჩქარებოდა და სალამ-ალ-იქმიც ცერ მოგასწარით, რომ შორიდან დაგვიქნია ხელი. სამწუხაოდ, არაფრის თქმა არ შეგვიძლია, თუ რა ნაყოფი გამოიღო ამ მანიფესტაციაში ქართული გამომცემლობისათვის.

საქართველო საფრანგეთის ტელევიზიაში

ა. წ. 17 თებერვალს პარიზის ტელევიზიაში მესამე არხით გადაიცა ბ-ნ გიორგი ხაინდრავის ლოკუმენტური ფილმი, გადაღებული უშუალოდ მოვლენების პირისპირ, პერიოდში: ოქტომბერი 1988 - 1989 წლის აპრილი.



ფილმის პროდუქტორებად მოხსენებული არიან აგრეთვე ნიჭილებული და გიორგი შენგელიაები. ქართული ფილმის ჩვენების თაოსნობა და აღსანიშნანავი სიყვარულით წარმდლვანებული ახსნა-განმარტება ეკუთვნის ბატონ პიერ-ანდრე ბუტანგს, რომელსაც სათაურად შუურჩებია: „საქართველო: ერთი გამო ღვიძება“. ფილმი მაყურებლებზე სტარებს წარუშლელ შთაბეჭდილებას. გაზეთ „ლე მონე“-ში ვრეცელი წერილია მიძღვნილი ბ. არიან შემენმანისა, მასში, სხვათა შორის, ნათქვამია: ერთმა ქართველმა ნაციონალისტმა ვიდეო კამერის მოყვარულმა გადაიღო ფარულად გარკვეული პერიოდის მნიშვნელოვანი ეროვნული ამბები, სისხლიან რბევის ჩათვლით. ფილმი ფრანგულ ტელევიზიაში გადის სულ რამდენიმე კვირით ადრე ლიტვის „ამბები დან“, რაც, რასაცვირველია, შემთხვევით არ არის. ეს ლოკუმენტური ფილმი ლახვარს სცემს ოფიციალურ განცხადებებს: ცენტრალური ხელისუფლების უდანაშაულობის შესახებ და ეს მიუხედავად იმისა თუ ვინაა პიროვნულად პასუხისმგებელი: თვით პრეზ. გორბაცხაძი თუ მისი უახლოესი თანამშრომლები.

„ფილმი შემაძრუნებელია, ის ჯიგრითაა შექმნილი, იგი უპირველესად წარმოადგენს თვით კამერმანის გულიდან ამოხეთჲილ კივილს და ეს სწორედ იმ დროს, როცა ცხადი გახდა ქართველი ერის დრამატიზმით საცხე გამოღვიძება, განმარტავს პიერ-ანდრე ბუტანგი და უმატებს: ფილმში თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ გაცილებით მეტი, ვიდრე იქნა ნაჩვენები. მასში მინიშნებულია მღვლვარე, მქუჩარე და ტრალიზმით საცხე ისტორია ქართველი ერისა. ფილმში ჩანს მხურვალე პატრიოტიზმი და ღრმა ქრისტიანული რწმენა. უცნაური სურათია ბოლოში, როცა მთელი ხალხი, დოდი და პატარა, ერი და ბერი ინათლება მდინარეში... ეს ალბოთ გამოძახილია პირველ ყოფილ ქრისტიანობის, როცა მოციქულები ანდრია თუ სიმონ ქანანელი თელავდენ ამ ქვეყანას და კიდევაც იქ დამარხულან.

ფილმი მიძღვნილი იყო უკელა მერაბისადმი: მერაბ კოსტავა, რომელიც თავისუფლებისათვის ეწამა და დაიღუპა, მერაბ მამარდაშვილისადმი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ფრანგული ტექსტის შექმნაში და რომელიც მასზე მუშაობის დროს უეცრად გარდაიცვალა. მაგრამ ფილმი უმთავრესად 1989 წლის ცხრა აპრილის მსხვერპლთა არდავიწყებას ეძღვნება.



დ ა პ ყ რ ი ბ ი ს 70 წ ლ ი ს თ ა ვ ი

ჩვენი სამშობლოს დაპყრობის სამოცდათი წელი ემიგრაციამ აღნიშნა საეკლესიო შეკრებით, კეირას 24 თებერვალს, ჩვეულებრივი საკვირაო წირვის შემდეგ, გადახდილი იქნა პანაშვიდი ყველა იმ მამულიშვილის სულის საოხად, ვინც სამშობლოს დაცვას ან შემდეგ მის განთავისუფლებისათვის ბრძოლას შეწირა. მოძღვარმა მამა მეთოდითმა შეაჩვენა მის ქადაგებაში თავისუფლი ერის დაპყრობის ფაქტი და გამოთქვა იმედი, რომ ღვთის შეწევნით ქართველი ხალხი მალე კვლავ აღიდგენს მის ეროვნულ დამოუკიდებლობას.

არჩილ დავრიშაშვილის დიაკონად კურთხევა

წლევანდელ ათ მარტს მეტად სიმპათიური და საზემო ღვთისმსახურება შესრულდა ჩვენს წმინდა ნინოს ეკლესიაში: დიაკონად იქნა კურთხეული ჩვენს სათვისტომოში აღზრდილი და კლესის მსახურებისადმი მიღრეკილებით კარგად ცნობილი არჩილ დავთის ძე დავრიშაშვილი. კურთხევის ცერემონიას ხელმძღვანელობდა მისი უწმინდესობა ეპისკოპოსი იერემია, რომლის თანამწირველებიც იჯვენ: მეთოდით ალექსიუ, ჩვენი დროებითი მოძღვარი და მამა სტეფან პალე, მოწმებად ესწრებოდენ დიაკონის თანაშემწენი: თავადი კონსტანტინ ანდრონიკოვი და ნიკო ჭავჭავაძე.

ცერემონიის დამთავრების შემდეგ მონსენიორმა იერემიამ მეტად გულთბილი გამობრივი სიყვარულით გამთბარი სიტყვებით მიმართა დიაკონ არჩილს და ამ უკანასკნელმაც შესაფერის ტონში გადაუხადა მაღლობა მამობრივი მზრუნველობისა და მიმტევებლობისათვის.

შემდეგ მ. ვოდე მიესალმა ეკლესის საბჭოს და მთვლი მრევლის სახელით ახლად ხელდასხმულ დიაკონსა და მომავალ საეკლესიო მამას. და ბოლოს, მრავალრიცხვან დამსწრეთ სახელოვნად უმასპინძლეს საეკლესიო საბჭოს მანდილოსნებმა.

დიაკონ არჩილის სიტყვა: ყოვლად უსამღვდელოესო მეუფე!

დღეს თქვენს წინაშე წარვსდგები დიდი მღელვარებითა და შიშით.

ბავშვობიდან მიზიდავდა ღვთის, მისი სიტყვისა და მისი საკრუბულ - ეკლესიის სამსახური. ამაში მამხნევებდა და გზას მიჩვენებდა მაღალ-აღმატებული და ღირსი დკანოზი მამა ილია მელია,

არჩილ დავრიშაშვილის დიაკონად კურთხევა

79
სამრევლი

ჩვენი სამრევლოს ნეტარხსენებული მოძღვარი. ის დიდი პრეზიდენტის ით, ყურადღებით, სიყვარულითა და ღმობიერებით ადევნებდა თვალს, წინ წასულიყო ის მოწოდება, რომელიც დღეს ხორცს ისხამს, იმ სამრევლოს სასამსახუროდ, რომელიც მას ასე უყვარდა.

ეს პატარა სამწყოს, წმიდა ნინოს მფარველობაში მყოფი, ყოველგვარი გაურკვევლობის გარეშე, სრული ლეგიტიმურობით იმყოფება მხოლოდ საპატრიიარქოს საფრანგეთის საეჭისკოპოსოს წიაღში.

იგი აგრეთვე კულტურული და სულიერი მემკვიდრეა საქართველოს უძველესი ეკლესიისა.

ნება მიბოძეთ თქვენო მაღალ უსამღვდელოესობავ, მოკრძალებით მოგახსენოთ ჩვენი მაღლიერება და სიყვარული თქვენდამი, ვინაიდან თქვენ მუდამ გვიქადაგებდით გაგვეძლიერებია ჩვენი ეროვნული ტრადიციები, ზნეჩვეულებები და ჩვენი დედაენის ცოდნა.

იმ მომენტში, როცა ჩვენი უფალი მაცხოვრის იესო ქრისტეს კვალს, დიაკონობას, ე. ი. ეპლესის სამსახურს, უდგები, მინდა გამოვთქვა ჩემი სიხარული, რომ ვეკუთვნი იმ ეპარქიას, რომლის სათავეშიც დგას ისეთი დადებითი თვისებებით შემკული მღვდელთმთავარი, როგორიც თქვენ ბრძანდებით. თქვენო მაღალ სამღვდელოებავ, თქვენთან მე მაკავშირებს არა მარტო იერარქიული ურთიერთობა, არამედ ღრმა პატივისცემაც და ნდობა სრული. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ მესმის ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების შსხვერპლის სიმძიმე, რომელიც თან სდევს ამ პასუხისმგებლობას, სულიშიმიდის მაღლის, რომელიც კურნავს ყველა ნაკლა და სიმახინჯეს და თქვენი მამობრივი მზრუნველობით, ჩემი ულირსობის მიუხედავად, ვხედავ იმედი ვიქნიო, რომ ვიქნები ღმერთისა და ჩუმს მოყვასთა სამსახურში.

ამ საზეიმო მომენტში ჩემს თავს გავედრებთ თქვენო მაღალ უსამღვდელოესობავ, ჩემო მამებო და თქვენც ჩემო ძმანო და დანო, ილოცვთ ჩემთვის, რომ არ შთავარდე საშინელ წყვდიადსა შინა, არამედ, მიუხედავად, რომ სადღესასწაულო სამოსი არ მმოსავს, ვმსახურებდე უფალს მის სერობაში.

მნათე მიხეილ ვოდეს სიტყვა.

თქვენო უსამღვდელოესობავ! მამაო! დანო და ძმანო, ჩემო ძვირდასო არჩილ! ამ დიდ დღეს ჩვენი მრევლი ელოდა, სულ ცოტა 1988 წლის 15 მარტის შემდეგ.



ჩვენი ეკლესია, ერთადერთი ეროვნული ტერიტორიის ცენტრული უაღრესად იყო მონღომებული, რათა ერთ-ერთი ჩვენთაგანი გამზღვდა რიყო ერთ დღეს ჩვენი ეკლესიის მოძღვარი, ჩვენი სულიერი მწყემსი.

დღეს მისმა მაღალ უსამღვდელოესობამ დიქვნად გაკურთხა, რაც პირველი საფეხურია მღვდლობის გზაზე, გილოცავი და გმაღლობა და გმაღლობთ შენს ოჯახს, რომ შენ მიხვედი ამ გადაწყვეტილ-ზამდე.

თქვენ მაღალ სამღვდელოებავ, ჩვენ მუდამ გვახსოვს ის თქვენი ბრძნული სტუცები, რომელიც თქვენ აქ წმიდა ნინოს დღესასწაულზე წარმოთქვით. დიახ, ჩვენ ერთგული ვართ იმ წესების, რომელიც ეკლესიის მამებმა სიბრძნით, ცოდნით და ღვთის შეწევნით დააწესეს. ჩვენ მით უფრო ერთგული ვართ, რომ ვიცით ის როლი, რომელიც ეკლესიამ შეასრულა ჩვენი ერის ცხოვრებაში.

ჩვენ მეტირო კავშირი გვაქვს ჩვენს ხალხთან, ჩვენს ძმებთან და იმ სიყვარულმა, რომელსაც გულში ვატარებთ საქართველოს კათალიკოსისადმი, ჩვენ გაგვაძევინა, დაუვიწყარი მამა ილიას გარდაცვალების შემდეგ, რომ ჩვენი წმიდა ნინოს ეკლესიის მოძღვრის დანიშვნა მოხდება ჩვენი მრევლის თანხმობით და ვერც ერთი სხვა ავტორიტეტი, არც დღეს და არც მომავალში, მას ვერ შეცვლის. მე შემიძლია გითხროთ ახლა, თუ რა ბედნიერი იყო საქართველოს კათალიკოსი, როცა გაიგო, ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი კერძო ვიზიტის დროს, რომ ათ მარტს არჩილი იქნებოდა დიაკვნად ხელდასხმული.

ჩემო ძეირთას არჩილ, შენი მომავალი მრევლი გელოდება.

ჩვენ გვჯერა, რომ მამა მეოთხიოთან მცირე დროთი შეგირდობის შემდეგ, შენ შეგეძლება გააგრძელო მამა გრიგოლის, მამა ნიკოლოზის და მამა ილია მელიას მიერ წარმოებული სულიერი მისია.

შენ იცი, რომ ამ ჩვენი ქართული ეკლესიის მოძღვრობა ადვილი არ არის, შენი წყნარი ხასიათი, შენი დიდი მოთმინება დაგეხმარება ყველა სიძნელის დაძლევაში, ჩვენც ვედებით, რომ ტვირთი შეგიმსუბუქოთ.

არჩილ! მე განვიცდი დიდ სიხარულს და ბედნიერი ვარ, რომ ამ ჩვენი სამრევლოს სახელით გილოცავ და გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

საქართველოს ოქროს ხანა საფრანგეთიში იმპერიაზის
რადიო ტალღებში

ორშაბათი 18 -დან პარასკევი 22 მარტამდე 1991, საფრანგეთის რადიომ, ფრანს-კულტურის განყოფილებაში, ოც წუთიანი საუბრები გადასცა საქართველოს ოქროს ხანის შესახებ. გადაცემის პრო-დუქტორია ქალბატონი გისლენ მათიო, რომელიც დაინტერესებულია და კარგად იცნობს ახლო აღმოსავლეთს. როგორც ჩანს, მან ეს თვემა საქართველოზე განვითარებს შესახია ამ ქვეყნის რეფერენციულის წინა დღეებში, რათა ფრანგი რადიომს მენეჯები უკეთ გაათვითებობიეროს ქართული ნაციონალიზმის საფუძვლიანობაში. გადაცემას ბრწყინვალედ უძლვებოდენ პროფესიონალი გიორგი შარაშიძე და ქალბატონი დომინიკ გოტიუ-ელიგულაშვილი. იგი არ იყო მშრალი რეჭცია, არამედ საინტერესო საუბარი, გასაგები საშუალო დონის მსმენელთა ვისაც და მაღალი კულტურის მქონეთა ვისაც. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ამ გადაცემისთვის შერჩეული დრო (ათი საათი და ოც წუთი) არ არის საერთოდ დიდი მხენალობის დრო, მაგრამ ამდენსაც ნუ მოვთხოვთ საფრანგეთის რადიოს დირექტორს, არამედ ნადლობა ვუთხრათ იმისთვის, რაც და როგორც გაკეთდა.

ეთერი შენგელია – წერეთელი

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ ვ ა უ წ ყ ე ბ თ ს ა ზ ი გ ა დ ი ე ბ ა ს :
ქ. სენტ-ამანდში, 1990 წ. 17 დეკ., 85 წლის ასაკში გარდა-იცვალა და ადგილობრივ დასაფლავდა მიხეილ (მიშა) თარაშვილი.

ორშაბათს 7 იანვარს, სოფ. *Biot L'Eglise* (ქ. კლერმონ ფერან-თან, საფრანგეთში), სადაც ის უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა, ხანგრძლივი ავალმყოფობის შემდეგ, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა იროდიონ (უორჟ) ბეგიაშვილი და ქ. კლერმონ-ფერანის კრემატორიუმში იქნა შესრულებული კრემაცია 11 იანვარს 1991.

ა. წ. 14 იანვარს ხანდაზმულობაში გარდაიცვალა ქალბატონი ლიდა ნოზაძე, დაბადებული შარაშიძე. დაკრძალა ლევილში.

ეროვნული
კულტურული

ა. წ. 25 იანვარს, ქ. არლინგტონში (ა.შ.შტ.) 88 წლისა მაც-
ში გარდაიცვალა ბატონი მერაბ კვიტაშვილი.

წელს 27 იანვარს ნორთ-ჰოლივუდში (ა.შ.შტ.), 83 წლისა გარ-
დაიცვალა ბატონი შოთა მარგველაშვილი.

წელს 16 თებერვალს 90 წლის ასაკში, თითქმის უავადმყოფოდ,
მიიცვალა ბატონი გიორგი (გოგო) ნოზაძე. დაიკრძალა ლევილში.

წელს 17 თებერვალს, ქ. ბორდოს მახლობლად სენონში გარდაიც-
ვალა 69 წლის ასაკში, საფრანგეთის საქართველოს მოქადა-
ნი, საფრანგეთის განთავისუფლებაში გაწეული დამსახურებისათვის,
ბატონი პიერ ქიტიაშვილი.

წელს 25 თებერვალს, კვლავ ლევილში, 84 წლისა გარდაიცვალა
ბატონი ჯაბა ხაბულიანი და ანდერძის თანახმად მოხდა მისი ნეშ-
ტის კრემაცია. ურნა გადასცენდება სამშობლოში.

აქვე ვაუწყებთ ქალბატონ ნატო ჯაფარიძის, კარლო ჩხეიძის ას-
ულის გარდაცვალებას თბილისში, 1991 წლის 7 მარტს.

და თანაგრძნობასა და სამიმარს ჭუცხადებ მათ კირისუფალთ.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა ღ ვ ა წ ლ მ ო ს ი ს ა

ჩვენ ხომ წესად გვიქვს გახსენება ღვაწლმოსილ ადამიანთა,
რომელნიც ამ ქვეყნად აღარ არიან, მაგრამ ისინი, დიალაცი, განა-
გრძნებენ აწმყოში არსებობას თავიანთი შემოქმედებითი მემკვიდრე-
ობით, რაც მათ შთამომავლობას დაუტოვეს, როგორც მაგალითი
თავდადებისა და ღვაწლისა სამშობლოსათვის. და ეს გარდასულნი
არა მხოლოდ აწმყოს ემსახურებიან თავიანთი სამაგალითო საქმეე-
ბით, არამედ მომავალსაც აგრეთვე, მომავალ თაობებსაც.

მაგრამ, ძვირფასნო, ჩვენ ჯერობინ წლილი უნდა მიუძღვნათ
იმჟააც, ვინც სულ ახლახან განგვეშორნენ, ვინც ცოტა ხნის წინ
ცოცხალთა შორის იყვნენ, და ვინც აგრეთვე რაღაც მნიშვნელოვა-

ეროვნული
შემადგროვებელი

ნი პქმნეს ერისა და კაცობრიობისათვის, დატოვეს რა კვალი მე-
ტყველი და საგულისხმო.

ერთი ამათგანი გახლდათ აწ განსვენებული მერაბ სვიმონის ძე
კვიტაშვილი, რომელიც მიმდინარე წლის 25 იანვარს მახლობელ
ქალაქ არლინგტონის ერთ-ერთ ჰოსტილში გარდაიცვალა, წყნარად,
უღრტვინველად, ძილში, გულის ინფარქტით. მას ღმერთმა უბოძა
სიცოცხლის 88 წელი, ხუთი თვე, სამი კვირა და ორი დღე, დატო-
ვა რა ამ ქვეყნად ორი მშვენიერი ასული ლისტი და მერი, სიძე
და პატია შვილიშვილი ლარისალარიკო, და დაძმები, მათი ოჯახ-
ები და მრავალი ნათესავ-მეგობარი აქა და საქართველოში, რომე-
ლთაც, რასაცვირველია, ჩვენი რედაქციის წევრები უდრიეს სამძიმ-
არს და თანაგრძნობას უცხადებთ.

ჩვენი მიზანი აქ არ არის განსვენებულის მდიდარი ბიოგრაფიის
დაწვრილებით გაღმოცემა. ეს მომავლის საქმეა. ამჯერად სულ მც-
ირედით უნდა დავგმაყოფილდეთ.

განსვენებული გახლდათ უფროსი ვაჟი თავადის ასულ მარიამ მი-
ქელაძისა და ისტორიაში კარგიდ ცნობილი გვარის შთამომავლის:
სიმონ მერაბის ძე კვიტაშვილისა მერაბზე ფეხმძიმე მარიამი მის
სახლში კულაშში იმყოფებოდა. ძველი ადამ-ჩვეულების მიხედვით,
ფეხმძიმე ქალს მშობლების ოჯახში უნდა მოელოგინებინა. მარიამის
დედა კი გახლდათ თაყაიშვილის ასული ჩოხატაურიდან, და მერაბ-
იც იქ მოევლინა ამ ქვეყანას, თორემ იგი იყო მკვიდრი მამაბაძუ-
რი სოფ. ველევისა, რაჭაში, სადაც

მათი ისტორიული ციხე „კვიტაშ-
ვილიც“, ეპლესია-მონასტერი და სა-
სახლე იყო განლაგებული, უკვე მე-
ათე საუკუნიდან. ზემო კრიხის მთ-
ავარანგელოზის ეკლესის კედელს
ახლაც ამშვენებს წარწერა: „უფა-
ლო, განუსვენე სულსა კვიტაისა“.
არქეოლოგებმა დააღინეს, რომ წა-
რწერა, ასოების მოყვანილობით, მე-
ათე საუკუნეს განეკუთვნება, და
აი, ამ „კვიტაისგან“ შთამომავლო-
ბენ კვიტაშვილები. ჩვენმა მერაბმა



ეს ბუნდოვნად თუ იცოდა და როდესაც მე მას ვუთხაროდ მაგრამ უნდა იყო, ასეთი ძველი და სახელოვანი გვარიშვილი ხარ მთეჭი, მან იმ წამსევე მომაგება აფირიზმი: „თუ კაცი თითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.“ საქმე კი იმაში გახლდათ, რომ მერაბი ვარგოდა, ის იყო ვარგისი წინაპრების სახელოვანი მემკვიდრე.

მერაბი **17** წლის იყო, როცა სწავლის მისაღებად ლონდონში გადასახლდა. ჯერ ინგლისური ენის შესწავლას მიჰყო ხელი. ფრანგული და გერმანული მან ბაქოშივე ისწავლა გუვერნანტებისგან. შემდეგ ის შედის ოქსფორდის განთქმულ უნივერსიტეტში, მაგრამ ბაქოს გასაბჭოების შემდეგ, ხოშტარიას ცნობილი ფირმა, სადაც მერაბის მამა დირექტორია, არსებობას წყვეტს, მერაბს ოქსფორდისათვის საკუთრისი სახსრები აღარ გააჩნია და სწავლას აგრძელებს ბირმინგამის საინჟინერო სამთო ინსტიტუტში, რაც მას შემდეგ არ უნანია, რადგანაც ამ პროფესიაში ის თითქმის მთელ მსოფლიოში მოატარა და დიდი პრაქტიკული გამოცდილება მიაღწია.

მეორე მსოფლიო ომმა ბ. მერაბს სამხრეთ აფრიკაში მოუსწრო, ოქროს დამშუშავებელი ფირმის დირექტორის პოსტზე. იგი იღებს ინგლისის ქვეშეგრძლომობას, მოხალისედ შედის დიდი ბრიტანეთის არმიაში. იბრძვის სატანკო ნაწილებში და ღებულობს მრავალ ჭრილობებს, ერთეულთი კინაღამ საბედისწერო არ გამოდგა. ერთხანს სრულიად მხედველობა დაეკარგა, მაგრამ, საბედნიეროდ, მალე განიკურნა. ამის შემდეგ მერაბი იგზავნება სამხედრო სადაზვერვო სკოლაში, რომელსაც ლეიტენანტის ჩინით ამთავრებს. განსაკუთრებული მისით იგზავნება ჯერ ეგვიპტეში, შემდეგ კი საერთოდ ახლო აღმოსავლეთის საომარ თეატრზე. აქ მან დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა, მიაღწია პოლკოვნიკის ჩინამდე და, როგორც ამჟამად ყველათვის ცნობილია იგი იყო უინსტრონ ჩერჩილის ამაღლის წევრი და მონაწილეობდა თეირანის ცნობილ კონფერენციაში.

1952 წელს მერაბ კვიტაშვილი გადმოსახლდა ამერიკაში. მას შესთავაზეს თავის პროფესიაში მაღალხელფასიანი თანამდებობა, როგორც კარგ სამთო ინჟინერს, მაგრამ მან ამჯობინა პატრიოტული საქმე და ჩიარიცხა „ამერიკის ხმის“ ქართ. რედაქტორის წევრად, სამჯერ ნაკლები ხელფასით. აქ ის კარგად დაეცულა

ორიველი

ქართულ ენას, იყო ინგლისურის ექსპერტი და შემდეგ შემუშავითისა რედაქტორი, ხოლო 1969 - 1972 წლებში ქართული დეპარტამენტის უფროსი. მერაბს აღმოაჩნდა წერის ნიჭი, იქცა რადიო-ურანა ლისტად და რადიო-კომენტატორად. მან დაგვიტოვა ფრიად საყურადღებო „მოგონებანი“ თეორიანის კონფერენციაზე, ასევე ბაქოს ქართული სათვისტომას მოღვაწეობის შესახებ და აგრძელების მხედარობის ბაზორები ამილახ ვარის შესახებ. ნაწილი მისი მემუარებისა ინგლისურიდან თარგმნა ქართულად ქალ პროფ. დოლონა კიზირიამ, რომელმაც თბილისის „ლიტ. საქართველოში“ გამოიცვეუნა სამ ნაწილად. გვაქვს იმედი, რომ მკითხველი საზოგადოებრიობა ერთ მშვენიერ დღეს მიიღებს მ. კვიტაშვილის მოგონებების სრულ კრებულს, ცალკე წიგნის სახით.

გაცილებით მეტის თქმა შეიძლება განსვენებულზე, მაგრამ აქ ეს მცირეც უნდა ვიყმაროთ, ხოლო განსვენებულს კი მეთე საუკუნის ლაპიდარული წარწერით მიუზღვოთ ჯეროვანი საზღაური:

უ ფ ა ლ ო, განუსვენე სულსა კვიტაიას „ შვილისასა .

გ ი ვ ი კ ო ბ ა ხ ი ძ ე

გაშინგტონი - ტაკიმაპარკი თებერვალი 1991.

ლ ი დ ა დ ა გ ი ო რ გ ი ნ ო ზ ა ძ ე ე ბ ი

ეს ზამთარი განსაკუთრებით დაუნდობელი გამოდგა ჩვენთვის. თვით განსაჯეთ: გასული წლის 17 დეკემბრიდან ა. წ. 25 თებერვალი დამდე ჩვენმა მცირე საზოგადოებამ რეა წევრი დაკარგა და შეიძლება, რომ ეს არც კი იყოს სრული სია. მარტო ლევილში 14 იანვრიდან 25 თებერვლამდე სამი შესანიშნავი თანამემამულე და უფროსი მეგობარი დაკარგეთ. მართლია, რომ ისინი საკმაოდ ხანდაზმულები იყვენ, მაგრამ სრულიადაც არა უძლურ-დაგარნილები. ჩვენ არ ვაპირებთ მოთქმა-გოდება შევქმნათ, არამედ მათი ამ საუკუნო გამგზავრებისას ამ ცხოვრებიდან, მცირედი მაღლი მაინც გადასხადოთ იმ სიკეთისათვის, ასე მათ ჩვენს შორის დათესეს.

ლიდა შარაშიძის ასული და გიორგი ნოზაძე ფიზიკურად და მორალურად უნაკლონი იყვენ, აფსუს! რა საწყენია. რომ მათმა სიყვარულმა ნაყოფი ვერ გამოიღო. სამაგიეროდ ხასიათით ისინი




განსხვავებული იყვნენ და მათ შემთხვევაში ძალის მქონე მამა თამაში ითქვას, ერთმანეთს აცხებდნენ. ჭინი ლიდა იყო ამაყი, მტკიცე ნებისყოფის, მუდამ კაპლუცი, ხან შეუვალი-უკარება, მაგრამ უაღრესად მომზიდლავი, თუ საჭიროება ამას მოითხოვდა.

მამულაშვილების მდიდარ ოჯახში აღზრდილს, საფუძვლიანი სწავლა-განათლება და ლირეულად თავის დაქერა ახალგაზრდობიდანვე სრულიად ბუნებრივად ჰქონდა შევისებული. ქართულთან ერთად ის არა მარტო რუსულ და ფრანგულს ფლობდა უნაკლოდ, არამედ აგრეთვე ლიტერატურებსაც, ხელოვნებებსაც და საერთოდ კულტურა-კიონიზაციებსაც. ამიტომაც ის

საინტერესო მოსაუბრე გახლდათ. საზოგადოება, საზოგადოებრივი ცხოვრება მას უყვარდა და საზოგადოებაში ის შეუმჩნეველი არ დაგრჩებოდათ. იგი მუდამ საჭირო იყო საზოგადოებისთვის და ისიც ყველას უყვარდა და ყველა მოკრძალებით ეკიდებოდა, ვინც მას იცნობდა.

ბატონი გიორგი ც ფართო კულტურის კაცი გახლდათ და ძალიან ბევრს კითხულობდა როგორც ქართულ, ისე ფრანგულ ლიტერატურას. განსაკუთრებით უყვარდა მხატვრობა და სამხატვრო განათლება რომ მიეღო, აღბათ კარგი მხატვარი იქნებოდა. ხელოვნების საკითხებზე კი დიდალ ლიტერატურას იცნობდა. წინააღმდეგ მისი მეუღლისა ბ. გიორგი მეტის-მეტად მოკრძალებული იყო, კირივით ეჯავრებოდა წინ გამოჭრა, თავის გამოჩენა. ჩვენი ახლო ნაცნობობა ასე დიაწყო:

სულ ახალბედა ემიგრანტი ვიყავი, ბიძაშვილმა სხვენში, დამლაგებლებისთვის განკუთვნილი ერთი პატარა ოთახი დამიჭირავა, სადაც მხოლოდ ლოგინის, პატარა მაგიდის და ერთი სკამის დადგმა შეიძლებოდა. გასაგებია, რომ სტუმარს იქ არ ვღებულობდა.



ლილა და გიორგი ნოზაძეები

ერთ საღამოს კარებზე დამიკავუნეს. კარებში ბ-ნი გოგი იდგა და
ილიმებოდა. რაღას ვიზამდი, შიგნით შევიპატიუე და ერთადერთი
სკამი შევთავაზე. ის, რა თქმა უნდა, სალალობოდ არ მოსულა.
იმ ხანად ქართულ თეატრს არსებობის ასი წლისთავი შეუსრულდა.
ემიგრაციის კულტურულ ძალებსაც სურდა ეს თარიღი აღნიშნა.
მთავარი მოხსენება გიორგის ჰქონდა დავალებული. მას დავალება
მშევნივრად შეესრულებია, მოხსენება დაეწერა და ახლა მე მოხო-
ვდა, რომ იგი წამყითხა. კი მაგრამ, შენ რატომ არ გინდა შე-
ნი დაწერილი მოხსენება რომ წაიკითხო-თქმ? მეო, მითხრა, ხმა არ
მივარგა, ხალხი ვერ გთვონებს, შენ შენებურად რიხიანად წაიკი-
თხე. გიორგის მშვენიერი ხმის ტემბრი ჰქონდა, მაგრამ ასეთი
იყო ის - ჭირივით ეჯავრებოდა ფართო საზოგადოების წინაშე გამ-
ოსვლა. ბ. გიორგი უწყვეტად მოღვაწეობდა ჩვენს მწერალთა და
ურნალისტთა კავშირში. ხანდახან იძულებულს გახდიდენ, რომ მდი-
ვნობაზე დათანხმებულიყო, მაგრამ თავმჯდომარეობაზე კი-ვერაფრ-
ით, თუმცა ყველაზე უფრო მას ვეუთვნოდა იყო.

გიორგი ბევრს არ წერდა, მაგრამ წერდა ყოველთვის საკითხის
ლრმა კოლით და უშუალოდ ნანახსა და განცდილს. ომის შემდეგ
მისი სტატიები ქვეყნდებოდა „ბედი ქართლისაში“, „ერის დიდებაში“,
„ტავისონში“, იყო „თავისუფლ ტრიბუნას“ სარედაქტო კოლეგი-
ის წევრი მუ-8 ნომრიდან 17 - 18 ნომრიდან თანამშრომლობდა
„ტავისონის“ რედაქტორის მისი ძმა ვიქტორის გარდაცვალების
შემდეგ.

უკანასკნელ წლებში ეს ტკბილად შებერებული წყვილი თითქმის
ბურნებრივად იყო შერწყმული ლევოლის ქართული შამულის პეიზაჟს.
როგორც კი უცხო ან სამშობლოდან ჩამოსულ სტუმარს წავიყვან-
დით სასაფლაოსა და მამულის დასათვარიელებლად, პირველ რიგში,
თუ ღია არ იყო, მათ ბინას მივაკავუნებდით. ისინიც ღიმილით,
სიყვარულით შევგიპატიუებდენ, ან წინ ბალში მიგვიწვევდენ, თუ
კარგი ამინდი იყო. მათი პატარა, მაგრამ გემოვნებით გამართული
დარბაზი ნამდვილი სამხატვრო გალერეა იყო. აქ მხატვრობის მო-
ყვარულნი სტკბებოდენ ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის
ჭაბუკობისდროინდელი ნახატებით, ფელიქს ვარლას, ვერა ფალავას,
თუ ვანო ენუქიძის და სხვა. ჭნი ლიდა შეუმჩნევლად შლიდა
მაგიდას და იმართებოდა საინტერესო საუბრები ქართველ ხელოვა-

ნთა ოციანი წლების თაობის შესანიშნავ წარმომადგერულების ასეზოდ ვლივ, რომლებთანაც მათ, ჯერ კიდევ შეულლებამდე, ათლა შეგა-ბრობა აკაგშირებდათ. არა ერთი მამულიშვილი სამშობლოში მწუ-ხარებისგან შეირჩევა, რომელსაც ბედნიერება პქონდა მათი გაც-ნობის და ახლა გაიგებს, რომ ლიდა და გოგი ნოზიანები ამ ქვეფ-ნად აღარ არიან, რომ გიორგიმ ერთი თვის შეტე ვერ გაძლი ული-დაოდ და ისიც საყვარელი, მზრუნველი მეულის საუკუნო გზას შეუდგა... ახლა მათი სულები აღბათ სამშობლოს მფარველ ანგელ-ოზებად დასტრიალებენ.

საუკუნო იყოს ხსენება მათი!

გ უ შ ა გ ი

ი რ თ დ ი თ ნ ბ ე გ ი ა შ ვ ი ლ ი



იროდიონი დაიბადა ქველ ანაგაში, დალოცვილ კახეთში, 31 იანვარს 1909 წ. ის დედის ერთა ვაჟი გახლდათ გიორგი (გორა) ბეგიაშვილისა. მან სწავლა სიღნაღმი დაიწყო და თბილისში გააგრძელა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მას უნდოდა, არქიტექტორი გამხდარიყო. იყო ბეჭი-თი მოწაფე და მასწავლებლებს ის უყვარდათ. პატარა იროდიონი გულით იყო მოწადინებული, რომ მისი სათაყვანებელი მამა ესახელებინა.

სამწუხაროდ, თანდთან პოლიტიკურმა მდგო-მარებამ ხელი შეუშალა როგორც ეროვნულ,

ისე ოჯახურ საქმეებს. მამამისი კულაკად გა-

მოაცხადეს და გააღარეკეს უსაშველ გადასახადებით.

1924 წლის აჯანყების დროს, ჯერ კიდევ სულ ყმაშვილკაცი, ბი-ძებთან ერთად იღებდა მონაწილეობას, დამარცხების შემდეგ კი მათ გადაარჩენაში შველოდა, რომლებიც დიდხანს იმაღებოდნენ. ამდენ უბედურებას დაემატა საყვარელი დედის გარდაცვალება, მამას მოელი მამულები და ქონება ჩამოართვეს, შავ სიაში შეიტანეს. აღარავითარი მომავლის იმედი აღარ არსებობდა, მის თავისუ-ფლებასაც საფრთხე დამუქრა და ერთი ახლობელი პროფესიონის რჩევით გადაწყვიტა, რომ დროებით საზღვარგარეთ წასულიყო თა-

ეს საშველად. 1928 წლის ივნისის ბოლოს, საზაფხულო კონცერტების დასაწყისში 6 ახალგაზრდა მეგობარი დაადგა ლტოლებილობის გზას. მათ შორის ყველაზე უფროისი იროდიონი ცხრამეტი წლისა და ნახევრის იყო, ხოლო მისი ბიძაშვილი დიმიტრი (მიტო), რომელმაც იროდიონთან დაშორება არ ინდომა, ორი წლით უნცროსი იყო. მათ ფეხით გადაიარეს საქართველო და გადალახეს თურქეთის საზღვარი, სადაც მათ მოუხდათ მძიმე პირობებში მუშაობა, რათა თავი გამოეკვებათ. ორი წლის შემდეგ მათ საფრანგეთის ვიზა ითხოვეს, რაზედაც მათ უარი მიიღეს. ბოლოს და ბოლოს, 1931 წ. მათ მიიღეს ურუგვაიში წასვლის ვიზა, რაც გადასახლების ტოლფასი იყო. მათ ხერხი იხმარეს, ვითომც თანხმობა განაცხადეს, მაგრამ, როცა მათი გემი მარსელს მოადგა, ისინი საფრანგეთში დარჩენ უვიზოდ.

მეორე მსოფლიო ომის დროს იროდიონ ბეგიაშვილი „თამარა პირველის“ რიგებში იბრძოდა. მოგონებები მისი ცხოვრების ამ ვპიზოდზე მან გამოაქვეყნა „ივერიის“ 34 ნომერში (აპრილი 1990) და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ამ უურნალის შეძენა.

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის შეურიგებელი მტერი, რაც ადგილი გასაგებია მისი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, იროდიონი იზიარებდა ეროვნულ-დემოკრატიულ იდეებს. აღმათ ამ-იტომაც იყო, რომ მიხეილ ლაშქარაშვილმა სიკვდილის წინ მას მიანდო მისი ბრძოლების თუ ემიგრანტული განცდების მოგონებათა წიგნი. იროდიონმა მასზე ბევრი იმუშავა, რაღაც, მცირე განათლების მ. ლაშქარაშვილის ნაწერები ძნელი გასაჩჩევი იყო. იროდიონი დიდხანს ყოყმანობდა მის გამოცემაზე ემიგრაციაში, რადგანაც იგი დიდ უთანხმოებას გამოიწვევდა ისედაც დაპირისპირებულ ემიგრაციაში. იროდიონი ბუნებით არ იყო მებრძოლი და მუდამ ცდილობდა, ემიგრაცია ერთსულოვანი ყოფილიყო, რომ შეძლებოდა ცოტაოდენი სამსახური მაინც გაეწია სამშობლოსათვის.

მოხუცებულობამ და ავადმყოფობამ ბოლოს მიიყვანა გადაწყვეტილებამდე მისი გამოქვეყნებისა და მან ეს მიანდო უურნალ „რესპუბლიკას“, რომელიც მას ამჟამად აქვეყნებს.

რვა იანვარს მან სული განუტევა. დაე, იმ მარადიულ ცხოვრუბაშიც მისი გზა ისევე სწორი და ნათელი იყოს, როგორც ის იყო ამ ქვეყნად!


შოთა მარგვალაშვილის გარდაცვლება



გასულ კვირას, მართლაც რომ დიდი სამწუხა-
რო რამ მოხდა აქ ამერიკაში ყველა ქართვე-
ლისთვის, და დარწმუნებული ვარ, რომ სხვა
ქართველებისთვისაც, ვინც კი იცნობდა შოთა
მარგველაშვილს.

შოთა, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 83
წლის ასაკში გარდაიცვალა შტატ კალიფორ-
ნიის ნორთ-ჰოლივუდში, 1991 წლის 27 იანვ-
არს. დავასაფლავთ 1 თებერვალს სან-ფერნა-
ნოს სასაფლაოზე, კალიფორნიაში, სადაც ის
ცხოვრობდა 1949 წლის დასასრულიდან.

შოთა დაიბადა 1907 წლის 22 სექტემბერს,
თბილისში. მას დარჩა მეუღლე რაჭაელი, ორი
ვაჟიშვილი: გაბრიელი და დარიო და ორი შვილიშვილი.



ლადო ბაბიშვილი

მიშა თარაშვილის შესანდობა

„რნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა“

ღიდებული ტატოს ეს უკვდავი ლექსი თავის-
თავად ცოცხლდება გონებაში, როცა მიშა თარა-
შვილის ცხოვრების მიმწუხრზე ვფიქრობ.

სილამაზით და სილალით სავსე, სიყვარულით
გარემოსილმა დასტოვა სამშობლო და მშობლიუ-
რი სოფლები გურჯაანი, პატარძეული ... ალბათ
ფიქრობდა: ცოტა ხნით თაგა გადავაფარებ, ევრო-
პაში სწავლას მივიღებ, ამასობაში საბჭოთა
ტირანიაც გადაშენდება და მეც ჩალე ჩემს მამუ-
ლს დავუბრუნდებიო. რამდენი ახალგაზრდა ფიქ-
რობდა ასე იმ დროს? მაგრამ გრძელი გამოდგა
მიშას ლოდინი, ყველას ლოდინი...
მიშა დაიბადა მაშინ კიდევ სოფელ გურჯაან-



მიშა თარაშვილის შესანდობარი



ში, 1905 წლის თებერვალში. ამის თაობაზე, განსცენებულ სახელმწიფო მუზეუმი აქვს მოვონებაში: „ალბათ ამიტომ დამცვება ომები და დამარცხებებით“ (იხ. „გუშაგი“ № 8, იანვარი 1986). მამამისი ბენო, რომელიც მას ხუთი წლისას მოუკვდა, შეძლებული ვაჭრისა და მეცნახის შეილი იყო, ხოლო მიშას დედა სოფელ პატარ-ძლეულელი ნინო ჯილაური გახლდათ, რომლის სახელსაც ის მოხუცებულებაშიც ეთაყვანებით და თავისთვის ვერ ეპატიებია, რომ ის სახლში მიატოვა და თვითონ აქვთ წამოვიდა.

საფრანგეთში მიშა „თეთრი ვიორგის“ მოძრაობას მიუკელა და მისი მეთაურები ლეო კერესელიძე და მიხაელ წეროველი მამაშვილურად უყვარდა და ბოლომდე დიდ პატივს სცემდა მათ მამული-შეილობას. მიშა ისეთი მგზებარე პატრიოტი იყო, რომ მან მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის ლამაზმანებსა და ტებილ ცხოვრებას თავი დაანება და მოხალისედ წავიდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. იბრძოლა ყირიმში, ჩრდილო კავკასიაში და მხოლოდ 1943 წლიდან დაუბრუნდა საფრანგეთში სამოქალაქო ცხოვრებას. შეირთო ცოლი, დაიწყო ვაჭრობა, დასახლდა შუაგულ საფრანგეთის ერთ პატარა ქალაქ სენტ-ამანდ-მონტროში, სადაც მან ბოლომდე იცხოვრა. ბელნიერებას აკლდა მხოლოდ სამშობლოსა და ნათესავების უნაბობა. სამშობლოს თავისუფლება უღვთოდ აგვიანებდა ... ხანგრძლივი სიცოცხლე ყოველთვის ბელნიერების სინონიმი არ გახლავთ. ხანგრძლივი მძიმე ავალმყოფობის შემდეგ მიშამ დაკარგა სათნო ფრანგი მეუღლე უკანასკნელ ხანებში ის ბევრს ნანობდა აგრეთვე მისი ერთგული ძალის სიკვდილსაც, რომელმაც მიშა ადრე თვითმკვლელობას გადაარჩინა. ქართველებიდან შორს მყოფი, ყურთა სმენა ძლიერ დაკლებული, თითქმის მარტოობაში მიიცვალა განსცენებული, შორს მის მშობლიურ გურჯაანიდან. მშობელო ქვეყანავ, იყავ სულგრძელი, ნუ დაივიწყებ შენს ერთგულს შეილს მიხეილ; მიშა თარაშვილს!

გუშაგი

ჯაბა ხაბულიანის გამოსათხოვარი



ჯაბას რომ აღექსანდრე ერქვა ნათლობის სახელად, ეს აღბათ ცოტამ იცოდა მის ნაცნობებში. „ჯაბა“ მას ისე შეენოდა, თითქოს მასთან ერთად იყო დაბადებული. აღექსანდრე ერქვა აგრეთვე მის დიდად პატივცემულ მამას ჭიათურაში, თუმცა წარმოშობით იგი სვანი იყო. ჯაბას დედა ქუთაისელი ეკატერინე გერსამიას ასული გახლდათ და იმერეთის ამ უმშვერიერეს ქალაქში ახლილა თვალები ჯაბა-აღექსანდრესაც.

ჯაბას ბავშვობამ ზღაპარივით ჩაიარა. მამა მისი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. ჯაბას მხოლოდ ერთი დაიკო ჰყავდა, ერთადერთი მემკვიდრე ვაჟიშვილი გასაგებია, რომ მშობლებს განეხივრებული ჰყავდათ, არც არაფერს აკლებდენ და არც არაფერს უშლიდენ. აქედან მოლიოდა მისი ხასიათის ზოგიერთი თავისებურობანი: ამპარტავნება, თვითნებობა, სიჯიურე.

1924 წლის მარიამობის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, მამამ შეიტანა კი გადაარჩინა, მაგრამ შემდეგ დაპატიმრების მუდმივ საშიშროების წინაშე იდგა. ამიტომ მამამ თვით ურჩია საფრანგეთში წამოსულიყო დროებით და აქ სწავლა მიეღო.

საფრანგეთში ჯაბა 1926 წელს ჩამოვიდა. ჯერ ნანსში დასახლდა და და იქ ჩაირიცხა სასწავლებლად. მაგრამ, ვინაიდან იმ დროს ბევრი ქართველი ახალგაზრდა ქ. გრენობლში ცხოვრობდა, ისიც იქ გადავიდა და ჰლექტრო-მექანიკურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ჯაბამ ინსტიტუტი ვერ დაამთავრა, რადგანაც სამშობლოში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა სულ უარესდებოდა და მამა ვეღარ ახერხებდა შვილისთვის საარსებო საშუალებები მოეწოდებინა.

ჯაბამ სასწავლებელს თავი დაანება, ცოლად შეირთო ქალაქ ნანსელი ქალიშვილი მარგარიტ მარი ბრაუნი, დასახლდენ ქ. მარსელში, ჯაბამ ხელი მიჰყო ლვინისა და მაგარი სასმელების რეპრეზანტანობას. მალე მათ გოგონაც შეეძინათ: ვენერა უაკლინ ხაბული-

93

ჯაბა ალექსანდრე ხაბულიანის გამოსათხოვაზე

ანი. ჯაბამ დიღხანს ვერ გაძლო მარსელში და მალე ოჭველი მოვალეობა
იზში გადმოსახლდა, სადაც მას მრავალრიცხოვანი თანამემამულებე
ბი და მეგობრები იზიდავდა.

ჯაბა ლამაზი შესახედობის, მკვირცხლი და დედათა სქესის უსა
შველო მაღვებარი იყო. აღბათ ეს იყო მიზეზი, რომ ის გაშორდა
მეუღლეს, მაგრამ მეორე ცოლის შერთვა აღარ ინდომა და ასე და-
რჩა ბოლომდე ერთადერთი ქალიშვილის ამარა, რომლითაც ის სამარ-
თლიანად ამაყობდა.

პენსიაში გასვლის შემდეგ, აგრე თა წელზე მეტი იქნება, ჯა-
ბა ლევილის ქართულ მამულში დასახლდა, სადაც მან მოხუცებულო-
ბაშიც არ დაივიწყა დალოცვილი ქართული მასპინძლობა. ის ერთგ-
ვარი სამკაული გახდა „შატროსი“. მისი ბინა სასიამოვნო თაგშესა-
ფარს წარმოადგენდა სამშობლოდან ტურისტულად თუ საქმეზე ჩა-
მოსულ თანამემამულეთათვის. დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი
მათგანის გული სიმწრით შეირჩევა, როცა ჯაბა ხაბულიანის სიკა-
დილს შეიტყობს.

და ბოლოს, ჯაბა თავიდანვე სოციალ-დემოკრატიას ეკუთვნოდა
პარტიულად, თუმცა იგი პარტიული აქტივისტი არ ყოფილა და ალ-
ბათ კრებებსაც იშვიათად დასწრებია, იგი ბოლომდე ერთგულად
შერჩა ამ პარტიულ იდეებს. გაგვაკვირვა მისმა ანდერძმა მისი
ნეშტის კრემაციის შესახებ. ეს არაა არც ქართული და არც საე-
რთოდ ქრისტიანული წესი. მაგრამ ეს გადაწყვეტილება გასაგებია,
თუ გავითვალისწინაბოთ, რომ ასე უფრო პრაქტიკულია მისი ნაშთის
სამშობლოში ჩასვენება და მშობლების გვერდით დასაფლავება, მშო-
ბლებისა, რომელთაც ის აღმერთებდა და განსაკუთრებული სინაზით
უყვარდა. საუკუნო იყოს ხესნება მისი და ღმერთმა შეუნდოს ყვე-
ლა შეცოდებანი, ნებითი თუ უნებური! ამინ!

ა ქ ს ი თ მ ე ბ ი



„მოყვარეს პირში უძრავე,
მტერს – პირს უკანაო.“

იმ საშვილიშვილო ეროვნული განთავისუფლების ბრძოლას, რომელსაც ჩვენი ხალხი ამ უკანასკნელ 70 წლის განმავლობაში აწარმოებს, უფალავი მტერი ჰყავს. მათ შორის ერთი უმნიშვნელოვანესოაგანია უნდობლობა. უნდობლობა მეგობრებს შორის, უნდობლობა თანამემამულეთა შორის.

ჩათვლით თუ არა ხელში ძალაუფლება ლენინმა, მისმა მთავრობამ უპირველეს ყოვლისა შექმნა ეგრედ წილებული „ჩეკა“, რომლის მთავარი დანიშნულება იყო ადამიანთა მორალური გათახსირება. უმთავრესად წამების საშუალებით, დასმენების, ღალატისა და გამცემლობის მასობრივი გავრცელება და მით საზოგადოებაში უნდობლობის ფსიქოზის შექმნა. ეს სიმახინჯე მათ ისე განავთარეს, რომ მშობლებსა და შვილებს შორისაც კი დათესეს უნდობლობა. „ჩეკის“ სახელწოდება რამდენჯერმე შეცვალეს, მაგრამ ეს მისი ტარტარზული მეთოდი უცდლელი დარჩა უკანასკნელ დრომდე.

ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ამ ჯაჯოხეთიდან ახლახან გამოსული ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებული უნდობლობის ფსიქოზისაგან. საკმარისია მცირედი უთანხმოებაც კი ყოვილ მეგობრებსა და თანამებრძოლთა შორის, რომ ერთმანეთი ჯაშუშის, მოღალატის ან გამცემის ეპითეტით შეამკონ. ეს ძალიან მკრელი იარაღია ჩვენს წინააღმდეგ ჩვენი ეროვნული მტრების ხელში.

ჩვენ შეგიძლია გავიმარჯვოთ მხოლოდ მორალური სიჯანსაღით. მორალურ გაჯანსაღებაზე ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ძალიან ცოტა მაგალითს იძლევან. რაც მთავარია, სულიერი განსპერაკების მაგალითები მაღლიდან უნდა მოღიოდენ, ჩვენი ეროვნული ბრძოლის წინამძღვრებისაგან. ისინი უაღრესად ფხიზელნი, ნათელმხილველნი უნდა იყვენ, რადგანაც უდავოა, რომ მტერი გვიგზავნის და გამოგვიგზავნის კიდევაც მის აგენტებს ჩვენს რიგებში, მაგრამ იმავე ღრის ისინი ზედმიწევნით სამართლიანიც უნდა იყვენ. ტყუილად კი არ ამბობს ქართული ანდაზა: „ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამბრალებელმა – ათასიო“.

ქართველ კაცს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლს



უნდა მოეხსნას უმართებულო ბრალდება მოღალატისა. მთელი კითხები უნდა იქნას გამოყენებული ქართული სახელმწიფო ნაგებობის მშენებლობაზე, თუნდაც მშენებელთა შორის იყვენ პირადი მტრებიცა და მოწინააღმდეგენიც. რაც არსებითია, პირადმა მტრობამ არ უნდა დაგვაპრმავოს. ეს პირველი აქსიომაა, ურომლისოდაც აღთქმულ ტაძარში ვერ შევალო.

ასი დღის შემდეგ

„გარდამავალ ხანაში“ ყველაზე ამაღლებული მომენტი იყო, როცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ ქართველ ხალხს მიმართა საჯაროდ, განურჩევლად ყველას ხელი გაუწოდა, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ ქრისტიანული შემწყნარებლობა შესთავაზა და ყველას ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს აღდგენის ბრძოლისაკენ მოუწოდა.

მაგრამ რა სამწუხაროა, რომ ეს ლამაზი და საჭირო ეესტი ჯერ ჯერობით ცხოვრებაში არ აისახა. მე არ მინდა აქ დეტალებს შევხეოს ეროვნული კონგრესის ოპოზიციის უმწიფრობას უკეთელად თავისი დიდი წევლილი მიუძღვის, მაგრამ პოზიცია ამით თავს ვერ დაიმშვიდებს, რადგანაც საქმე ადგილიდან არ დაძრულა. 23 თებერვლის კონფერენციაზე თვით ზ. გამსახურდიამ აღიარა: „ჯერჯარობით რეალური სასიკეთო ძვრები არ შეიმჩნევა და მდგომარეობა არ არის სახარბიეროო“. ამაში ის ბრალს დებს: „უნტრს, ჩეგნი საზოგადოების გადაგვარებულ ნაწილს, კორუმპირებულ ძალებს, ფსევდო ოპოზიციას“. ყველა ეს წინააღმდეგობა აღმართლაც არსებობს და ეს მეტად სავალალოა, მაგრამ ასი დღის ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგ რაღაც იმედი მაინც უნდა დაესახა, რადგანაც უიმედოდ გამარჯვება არ არსებობს. ესეც მეორე აქსიომაა.

ო კ უ პ ა ც ი ა

საქ. რესპუბლიკის მთავრობამ უარი თქვა ხელი მოეწერა ბ-ნ გორბაჩივის მიერ შემოთავაზებულ ახალ სამოკავშირეო ხალშეკრულებაზე- ეს სწორი გადაწყვეტილებაა. სხვ განაირად მას არც შეეძლო იმ დაპირებების გამო, რომელიც მან მის ამომრჩევ ქართველ

ხალხს მისცა. ამის გარდაც მის ხელის მოწერის არავიზუალური როგორისო იურიდიული ღირებულება არ ექნებოდა, როგორც დოკუმენტის შედეგს, რადგანაც ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ჯარების იკუპის ქვეშ იმყოფება. მაგრამ მანამ სანამ დამოუკიდებლობა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ გამოცხადებულა, მანამდე დეკუპაციაზე ლაპარაკიც ჟედმეტია. ესეც დიდი პოლიტიკის ერთ-ერთი აქსიომაა.

სამწუხაოლო, ამ საოცნებო მოვლენის განხორციელების მოახლოების ნიშნებს ვერ გვედავთ. არის პირიქით დამალონებელი ნიშნუბი. ჩვენ დიდი ინტერესით ველიდით ჩვენი დაპყრობის 70 წლის თავს გვევონა, ეს იქნებოდა იშვიათი მიზეზი, თუ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა არა, მასიური საპროტესტო გამოსვლებისა მაინც ქუჩებში, სადაც პოზიცია და ოპზიცია, მთელი საქართველო ერთხმად მოითხოვდა საბჭოთა ჯარების გაყვანას ქვეყნის საზღვრებიდან. ამის მავივრად ჩვენ მოწმე გავხდით შემდეგი ფაქტის:

23 თებერვალს ეროვნულ კონგრესში გაერთიანებულმა პარტიებმა მიტინგი გამართეს „საქვინოს“ სახლთან. მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა მოითხოვეს, რომ განისაზღვროს საქართველოში მყოფი ჯარების სტატუსი და რომ გაყვანილი იქნენ ისინი რესპუბლიკის ტერიტორიიდან და სხვა. იმავე საღამოს გამართულ პრეს-კონფერენციაზე, ბ-ნა გამსახურდიამ, ამ მიტინგის შესახებ დასმულ კითხვაზე, ასეთი პასუხი გასცა:

„რაც მიტინგს შეეხება, მე მიმაჩნია ეს პროვოკაციად. ცენტრს სურს დაასაბუთოს, რომ საქართველოში არის შეიარაღებული აჯანყება, თავდასხმა ჯარებზე და სხვა. ყოველგვარი გაღიზიანება სამხედროების მიმაჩნია უგუნვრებად ...“

ბ-ნი გამსახურდიას ასეთი განცხადება უსამართლო და დამალონებელია. ასეთი დონის სახელმწიფო მოღვაწეებმ მხოლე ფაქტებით უნდა იმსჯელოს. ფაქტი კი იმას შეტყველებს, რომ მანიფესტაცია მშვიდობიანი იყო, იგი წითელი არმიის მთავარი შტაბის წინაც რომ მომხდარიყო, პროვოკაციად არ ჩაითვლებოდა, მაგრამ მანიფესტაციის მომწყობლებმა მანიც სიფრთხილე გამოიჩინეს და მიტინგი „საქვინოს“ სახლის წინ გამართეს. „პროვოკაცია“, „ხულიგნური თავდასხმები ჯარსა და საბჭოთა არმიელებზე“ შეიძლება სხვა დროს მართლაც არსებობდა, მაგრამ ამ კონტექსტში ეს ბრა-

ლეტები უსამართლობაა და იმავე დროს იგი ეწინააღმდეგრიც მთავრულობის დროინდელ განცხადებას. სახელმწიფო მოლვაშე და განსაკუთრებით სახელმწიფოს მეობური ერთგული უნდა იყოს ერთხელ გაცემულ მისი სიტყვის ესეც სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი აქსიომაა.

31 მარტის რეფერენცუმი

პ-ნ გორბაჩივის მიერ ჩატარებული რეფერენცუმი 17 მარტს იყო უაზრობა, სრული აბსურდი და მაღლობა ღმერთს, რომ საქართველომ მასში მონაშილეობა არ მიიღო. ბალტიის პირეთის რესუბლიკებმაც არ მიიღეს სსრკ მასშტაბით ჩატარებული არჩევნები. მათ უფრო ადრე მოაწყვეს რესუბლიკური რეფერენცუმები და მიიღეს კარგი შედეგები დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, თუმცა ასც ისინი იყვენ ვალდებული მის ჩატარებაში. გორბაჩივმა ისინი წინასაწარ ბათილად გამოაცხადა.

საქ. გარდამავალ ხანის მთავრობამ რეფერენცუმის ჩატარება და ნიშნა 31 მარტს. თარიღს, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ რეფერენცუმის ჩატარება ეწინააღმდეგება მრავალი მაგიდის პოლიტიკურ პოზიციას. ჩვენ, რასაკვირველია მხედველობაში გვაჭვს რეფერენცუმი ეროვნული თვითგამორჩვევის შესახებ. ჩვენ პირადად ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით და ვართ ქართველი ხალხის ხელახალი გამორჩვევისა. რეფერენცუმი მით უფრო ალოლიკურია, რომ აჩცერთი პარტია, რაგინდ მცირე არ იყოს იგი, წინააღმდეგი არ არის დამოუკიდებლობისა. მაშ, რისთვის რეფერენცუმი?

წარმომადგენლობის საკითხი

საქართველოს დღევანდველმა მდგომარეობამ ბუნდოვნება შეიტანა და ყვიტურობ საჭიროა, ყველამ გამოვიწვათ აზრი, რომ ნისლი გაიფანტოს. ჩვენი პოზიცია სრულიად შეცვალა იმ მდგომარეობამ, რომ საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული დემოკრატიული არა-ჩევნები და ჩვენმა ხალხმა აირჩია ანტიკომუნისტური, ნაციონალისტური პოლიტიკური პარტიების კოალიცია.

მე ყველას სახელით უფლება არ მაქვს ვილაპარაკო. პირადად კი სიძპატიით გუშურებ ქართველი ხალხის უმრავესობის მიერ არჩეულ მთავრობას და მოწადინებული ვარ, რომ მან რაც შეიძლება მალე

გააღადოს დაპირება და აღადგინოს საქართველოს დამტკიცებულების სახელმწიფო. მანამ სანამ ეს არ მომდარა, ის ჩემი შესაფირისა არ არის. მე შემიძლია მასთან ვითანამშრომლო არაფორმალურად, ამა თუ იმ საკითხში, მაგრამ მე ვერც მისი დაქირავებული მოსამსახურე ვიქნები, ვერც მისი წარმომადგენელი და ვერც მისი დაწესებულება-საზოგადოების წევრი. მე მგონია, რომ ამას მავალდებულებს ჩემი ეროვნული ემიგრანტის მორალი.

როგორი არ უნდა იყოს დემოკრატია

ჩემს წინ არის გასული წლის 30 დეკემბრის გაზეთი „საქართველოს რესუბლიკა“, რუბრიკა: „საკუთარ სახლში“ იწყება სურათით, რომელზეც გამოსახულია ხუთი ლოგინში მწოლარე მანდილოსანი. მათ თავთან პლაკატი ღამისადებს: „მიეცეს მუშაობის ნორმალური პირობები ერის მიერ არჩეულ კანონიერ მთავრობას“, სურათს მოყვება წერილი სათაურით: „პერმანენტურად გარდელდება“, რომილი-დანაც ვგებულობთ, რომ მეექვსე დღეა ტელევიზიის შენობაში (თავ-მჯდომარის მისაღებში) შიმშილობას აგრძელებს ქართველ დედათა ჯგუფი, რომლის მიზანია პლაკატზე აღნიშნული წარწერა. გაფიცვა გამოწვეულია კონგრესის ზოგიერთი წევრის გამოსვლით ტელევიზი-იონში, რაც მანიფესტანტების აზრით ცილისმწამებლურია.

მოშიმშილენი აცხადებენ, გააგრძელონ მათი აქცია, სანამ არ შესრულდება შემდეგი: „მოვითხოვთ წერილობით გარანტიას, რომ ტელევიზიით აღარ გადაიცეს შეურაცხყოფა და ცილისწამება უზენაესი საბჭოსადმი. გადაიცეს მხოლოდ შემოწმებული ინფორმაცია. ი. წერეთელს, ჯ. იოსელიანს, რ. მიქაელიძეს, ი. ქადაგიშვილს, ი. სარიშვილს, გ. ჭანტურიას და სხვებს არ მიეცო ნება ტელევიზიით უზენასი საბჭოს მიმართ გაუმართლებელი და ცილისმწამებლური გამოსვლებისა. მხოლოდ ამ გარანტიის მიღების შემდეგ შევწყვეტო შიმშილობას“.

მე არ ვიცი, მიიღეს თუ არა წერილობითი გარანტია ამ პატივემულმა დედებმა, მაგრამ მე ვიცი, რომ ეს დემოკრატია არ არის და აღბათ ასეთი ჰქონდა მხედველობაში ფრანგ ალექსი დე ტოკევილს, როცა მამობდა: ამერიკული დემოკრატიის უმრავლესობის ტირანია ზოგჯერ ევროპის აბსოლუტური მონარქიის ტირანია ზე უარესია. მე არ მიკვირს, რომ საქართველოში ჯერჯერობით

დემოკრატია უნაკლო არ არის. ეს არც შეიძლება იყოს. მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, რომ მისი ყოველი უხეში დარღვევა, განსაკუთრებით ხელისუფალთა მხრიდან, მხილებული იყოს. მხოლოდ ამით მივაღწევთ მის სრულყოფილებას, და მთავრობის რომ გაფიცხა არ უნდა მოიწაროს, ეს დემოკრატიის მთავრობი აქიმია.

გიორგი წერეთელი

*** *** *** *** ***

ქართველი სკულპტორის დიდი გამარჯვება

ნიუ-იორქის ქართ. სათვისტომოს ერთ-ერთი შეკრება ტარდებოდა. ვინც ერთხელ მანც დასწრებია ამ თავყრილობას, ალბათ ემახსოვრება, რომ იგი კარგა ლიდანს გასტანს ხოლმე. არის ერთმანეთის მოკითხვა, საუბარი, ძველის გახსენება, ახლის შეტყობა.

ასე იყო იმ დღესაც. სხვა ნაცნობთა შორის სკულპტორი ლადო გუჯაბიძეც მოვიკითხე. კითხვაზე: „რა ხდება თქვენები ახალი“, მან მიპასუხა: „ისეთი არაფერიო“. „როგორ არა, არის სიახლეო“, მითხრა იქვე მდგომაში შეკიმ, მისმა მეუღლემ, და ის იყო, კონკრეტულად უნდა ეთქვა სახელდობრ რა, რომ სათვისტომოს თავმჯდომარემ ავთანდილ პაპიაშვილმა კრების დაწყება გამოაცხადა.

თითქმის ჩათავდა ყველა თემა და კრებაც დასასრულს მიუახლოვდა, რომ სათვისტომოს წევრმა დილარ ფირცხალაიშვილმა სიტყვა ითხოვა და საზოგადოებას აუწყო:

მინდა გითხრათ, რომ სკულპტორ ლადო გუჯაბიძეს დიდი წარმატება ხვდა წილად იაპონიაში, ჰაკონეს მუზეუმში, როდენის ყველწლიურ კონკურსზე მისი ნამუშევარი ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნიეს. ამ კონკურსში, დასძინა მან, მსოფლიოს **31** ქვეყნის ათას ხუთასამდე სკულპტორი მონაწილეობდა.

სასიამოვნო სიახლე იყო და მერე როგორი!..

ლადოსთან და მის მეუღლესთან ჩემი პირველი შეხვედრა მომავინდა. როცა მის შესახებ მიამბეს, მითხრეს, ძალიან სახელოვანი მხატვარიაოდ და ამიტომ, ცოტა არ იყოს, მოკრძალებულად ვგრძნობდი თავს მის წინაშე. მაგრამ იგი ისეთი უბრალო ჩანდა, რომ ადვილად გადაიღახა საზღვარი. მიჩვენებდა თავის ნამუშევრებს, მის მიერვე დაარსებული სტუდიის „არტ დე ლაქსის“ თარიებზე განლაგებულს, ყოველგვარი კომენტარის გარეშე და ვგრძნობდი, რა საინტერესო ხელოვნებას ვეცნობოდი. თითქმის არც ერთ ქმნი-

ლებაში არ შეინიშნებოდა, რომ მათი ავტორი სთახლით გადაიცილება. მთელი ეს გაღერებაც დიახაც ორიგინალური გახლდათ, ფანტაზიის ზემი, მაგრამ იმავე დროს ლრმა ნააზრევით იყო აღმოჩენილი და სრულყოფილებამდე დახვეწილი. ფორმისმიერი ძიებები მის სკულპტურებში შინაარსის შთამბეჭდავად გადმოცემის ემსახურებოდა მხოლოდ. ეს დროსა და სიერცეში შეჩერებული, ფიგურებად განსხვეულებული განცდები მათი ავტორის პიროვნული დაბადებული სატკივარი-დან ზოგადადამიანრჩამდე იყო ამაღლებული.

შეკრების დამთავრების შემდეგ ლადომ მიამბო, რომ მას რამდენიმე დღის წინ ჰქონდა იაპონიიდან მიღებული დეპეშა. მისი ნამუშევარი „სადავეების გარეშე“ მიღებული იყო ფინალურ კონკურსი მონაწილეობისათვის დიდი პრიზის მისაღებად.

ეს ნამუშევარი აღრე მქონდა ნანახი: ორი ფაფარაყრილი, უკანა ფეხებზე შემართული რაში მიკვრის და მიაპოს ჰაერს. დაკუნთულ სხეულებს. ზღვა შინაგანი ენერგიით ამოძრავებულთ, თითქოს ვერაფერი შეაკავებთ ქვეყნად, სანამ გასაჩენს არ გაიჩინენ, დასახარჯს არ დახარჯავენ ... აქვე ისიც მომავნებად, რომ მარადიული სწრაფვის იდეა ამ რაშების ავტორისათვის უცხო არ იყო...“

აგვისტოში, როგორც დაგეგმილი იყო, ლადონ სპეციალური პრიზის მისაღებად ტოკიოში მიიწვიეს. მისი ქანდაკება ჰაკონეს სახელოვანი მუზეუმის მუდმივ ექსპონატად იქცა და იქ გაშლილ ვალზე, ლია ცის ქვეშ დაიღო ბინა. ღიღი იყო გამარჯვების სიხარული, მაგრამ იქიდან დაბრუნებულს ერთი ტკივილი ჩამოჰყევა. კატალოგში მის შესახებ დაუწერიათ: რუსეთშია დაბადებულიო! ეს, როდის იქნება, რომ ამ საკითხს მოევლება...“

ამ სახელოვანი ქართველი ხელოვნის ნამუშევრები უამრავი კერძო და სახელმწიფო კოლექციების კუთვნილებაა, როგორც ასევე ევროპასა და აზიაში. მისი ბიოგრაფია ბევრ სხვა გამარჯვებასაც მოითვლის: 1981 წელს კოპერისტოუნის სკულპტორთა პრიზი მიიღო, 1982 -ში ნიკერბოკერის მხატვართა ოქროს მედალი, ხოლო 1986 -ში ჯეკობ ჯევიტის ცენტრში მოწყობილი პერსონალური გამოფენისათვის ნიუ-იორკის წლის საუკუთხეს მხატვრად იქნა აღიარებული. კიდევაც მრავალ გამარჯვებას ვუსურვებთ მომავალში.

ლექსები პოეტ ვაღურიას ხელნაწერი წიგნიდან:
პირით წყაროს სათავის კენ! პიროვნეული

მე და ის!

მიყვებით ერთმანეთს მე და ის,
მოგვსდევენ მხეცები კვალდაკვალ,
გავრჩივართ ქურდნი და მეძავნი,
ვენდობით უბადლო გადამყვანს.

სასწრაფოდ იხსნება ცისკარი,
ეშვება კიბე და ავლივართ,
რაც გელით დროულად გითხარით,
გიცხადებთ ტირილით სამძიმარს !

მაცხოვარს შევთხოვე შენდობა,
ცოდვილნი ვცურაობთ მის სისხლში,
შემცდარნი ჯვარს ვაკრავო მეგობარს,
მე და ის ვტირით და ვიცინით.

* * *

წიგნი და ცეცხლი

ვეღარ შერიგდენ წიგნი და ცეცხლი,
მთა ადგილიდან რწმენით დავძარი,
სულმოკლეები გადამემტერნენ,
ჩააგდეს წიგნი, ჩაქრა ხანძარი !

ღვთის სასწაულით იმარჯვებს წიგნი,
უძლებს ამღვრეულ მდინარის ტალღებს,
გასცურავს გალმა, მიაგნებს ნაპირს,
სამოთხის კარსაც იმედით აღებს !

იბრძვიან ისევ წიგნი და ცეცხლი,
ხანძარი ქრება მისი სისქისგან,
ვერ უძლებს ქარი იმის სიმძიმეს,
გამარჯვებული არის სიკვდილთან !

ს ი ტ ყ ვ ა



უწმინდეს ტაძარს აშენებს სიტყვა,
იგი აშენებს უკუნეთ ღილებს,
ბრძენი სიმართლეს სარტყელად ირტყამს,
წიმიდანთა დასის თვალებში იგებს !

წინდახედული მაცხოვარს ბაძავს,
ნარბევი ფარა საყდარში შეყავს,
სიტყვით აგებულ ბრწყინვალე ტაძარს,
ვეღარ დაანგრევს საზარი სეტყვა !

გულიდან სევდას გარეკავს სიტყვა,
საკვირველ ძალით იქრება შიგნით,
წამოფრინდება ვინც ლაფში იწვა,
მართალი სიტყვა ღმერთს ფარას მიჰვრის !

ის გადაარჩენს ქურდსა და მეძავს,
ჭაობებს მოსპობს გვირგვინის ქარგვით,
აუღებ კოშკის აღებას ბედავს,
გადამქცეველი სასახლედ ჩარგვლის.

მართალი სიტყვა იარაღს ლესავს,
არსალ აჩერებს უთავო მხედარს,
კაფავს წალლივით გაუვალ ტყესაც ,
ხედავს ზეცაში სიმართლის შედეგს .

სიტყვით მკურნალი გვეწვევა ხშირად,
რომ არ მოედოს ჩვენს გულებს ხავსი,
არ გამოდგება მაცდურის შირმად,
ის ემარჯვება სიკეთით აღვსილს.

ღმერთია სიტყვა, წამალი ხალხის,
გამხსნელი ათას ჩაკეტილ გულთა,
არ დამთავრდება ღვთისკენ სვლა მარცხით,
გაგვიზრდის მრავალ პოეტებს ურთა !

„გ უ შ ა გ ი ს“ ფონ დი (ფრანგებში)

*** * * * * *
ეროვნული
პუბლიკური

- 192

ნიკოლოზ თოფურია - 40	ამერიკა. დ.	
გიორგი მორალიშვილი - 100	ამ. დ.	456
ნიკოლა ანთაძე	-	- 200
აკაკი შავგულიძე	-	- 500
ვარლამ ანთელავა	-	- 500
მიშა გოგორიშვილი	-	- 1500
მელიტონ ქლენტი	-	- 200
სუნანო თოხაძე	-	- 300
ნათელა ნიკოლაძე - ვილექურ		- 300
იონა და ნოელ გუნია -		- 300
ვახტანგ საყვარელიძე - 40	ამ. დ.	- 233
ილია კუჭუქიძე - 130	გერ. მარქა	- 410
პეტრე ხვედელიძე - გიორგი ნაკაშიძისა და მერაბ კვიტაშვილის მოსახსენებლად 100 - 100 ა.დ.		- 1000

	ჯამი	- 6 091

1990 წლის შემოსავალ - გასავალი

შემოსავალი გასავალი

გუშაგი № 21	11565	15093
, , 22	5942	11062
, , 23	7080	12644

ჯამი 24587 38799

დანაკლისი: 14. 212 ფრანკი

*** *** ***

მერაბ კოსტავას: „ფიქრები საქართველოს მისიაზე“ სულ მალე გამოვა. მისი შემოწირულებების სრული სია გამოქვეყნდება წიგნის ბოლოს, პირობის თანახმად ისინი წიგნს მიიღებენ საჩუქრად. დანარჩენ მსურველებს ვთხოვთ გაღმოგვიგზავნონ 20 დოლ. ან 100 ფრანკი. წიგნი გამოდის მცირე ტირაჟით და საქართველოში მსურველებს ვერ დაეგზავნება, საბჭოთა ფოსტის სრული მოშლობის გამო. ჩვენ მაინც შევეცდებით ქ-ნ დედამისს და ახლო მეგობრებს მივაწვდინოთ დაახლოებით ასი წიგნი.



ნომრის შინაარსი

გვერდი

სტატია

ავტორი

- .1 შესავალი ლირიკული პოემიდან „უღელი“
მიხეილ დანიშაშვილი
რედაქცია
- .2 ეროვნული გლოგის 70 წლისთავი
ნოე ქორდანია
- .11 ქართველ ერს (ამ წლისთავზე)
საერთო კრების რეზოლუცია (50 წლისთავზე)
ლევან ზურაბიშვილი
- .12 საერთო კრების რეზოლუცია (50 წლისთავზე)
განო ბაქრაძე
- .15 ტაბახმელის გმირებს (ლექსი)
საფუ ჭ. მწ.-ჟ. ს. და გუშაგის მემორანდუმი 70 წლისთავზე
გიორგი შარაშიძე
- .16 საფუ ჭ. მწ.-ჟ. ს. და გუშაგის მემორანდუმი 70 წლისთავზე
ვანო ბაქრაძე
- .18 საფუ ჭ. მწ.-ჟ. ს. და გუშაგის მემორანდუმი 70 წლისთავზე
პატუნა
- .19 ოსური ხაფუანგი
ს. რ. პრეს-ცენტრი
- .21 ოსების საზ -ის თავმჯდომარეს პარტიში
ს. რ. პრეს-ცენტრი
- .24 ქინისტრიან-დემოკრატიულ პარტიის სახელით
ლევან ურუშაძე
- .30 ს. რ. უზენაეს საბჭოს მიმართვა გაერთის, მსოფლიო ხალხებსა და
მთავრობებს
ს. რ. პრეს-ცენტრი
- .33 ეროვნული კონგრესის პარტიების მიტინგი თბილისში – „ერი“ (27 / II)
მელორ სტურუას 2 სტ. „ვაშინგტონ-პოსტში“, თარგ. ლ. ბაბიშვილი
- .43 ნ. ნიკოლაძის სიტყვა დამუჟარებელ კრებაში – ირ. ოთხმეზური
- .47 გერმანელები პარტიში. მოვონება
გიორგი კონას ძე წერეთელი
- .55 საფუ ჭ. მწ.-ჟ. საზ -ის ისტორიისათვის – თერი შენგელია-წერეთელი
- .59 მურე რამ დოდორის ბრძოლაზე –
ალექსანდრე მანველიშვილი
- .63 ყვლესია და დემოკრატიული წყობა –
რეჯებ ურულაძია
- .68 ქრონიკა
იმ ერთი (ლექსი)
კოლაუ ნადირაძე
- .81 სამღლოვიარო განცხადებები და ნეკროლოგები
გიგი კობახიძე
- .82 გახსენება ღვაწლმისილისა –
გუშაგი
- .85 ლიდა და გიორგი ნოზაძეები –
ედით ბეგიაშვილი
- .88 იროლონბ ბეგიაშვილი
ლადო ბაბიშვილი
- .90 შოთა მარგველაშვილის გარდაცვალება –
გუშაგი
- .90 მიშა თარაშვილის შესანდობარი –
კიათურელი
- .92 ჯაბა ხაბულიანის გამოსახვევარი
გიორგი წერეთელი
- .94 ა ქ ს ი მ ე ბ ი
მანანა ჯინჯიხეაშვილი
- .99 ქართ. სკულპტურის გამარჯვება
სამი ლექსი ვაღურიას ხელნაწერი წიგნიდან: პირით წყაროს
სათავისაკუნ.
- .101 სამი ლექსი ვაღურიას ხელნაწერი წიგნიდან: პირით წყაროს
სათავისაკუნ.

kp 319/3



GOUCHAGUI

*PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE
(POLITIQUE - LITTERATURE - MÉMOIRES)*

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE